პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 239 (1984)

დღიური

- მზადება ოქტომბრის 10 წ. თავისათვის უცხოეთში.
- პოლონეთის პრეზიდენტმა დახურა სეიმის სესია.
- ამერიკის ჯარები აქრობენ აჯანყებას ნიკარაგუაში.
- გაფიცვის ტალღა ჩინეთში.
- უჩ-ჟოუში და ციუქიანში სიკვდილით დასაჯეს 26 კომუნისტი.
- რუმინეთის მთავრობა აღარ მოითხოვს კეგლეშის გაცემას.
- კლარა ცეტკინის სიტყვა გერმანიის რეიხსტაგში.
- ესპანელ მემაღაროეთა საყოველთაო გაფიცვა.
- მოსკოვში ჩავიდა გერმანელ მუშათა მესამე დელეგაცია.

ღარიბ გლეხობის კოოპერატიული შეკავშირება

ღარიბ გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება, მისი მეურნეობის წელში გამართვა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის და მუშაობის ერთ უმთავრეს საგანს შეადგენს. ამის ნათელსაყოფად მჭერმეტყველურ საბუთს იძლევა, სხვათა შორის, საკავშირო ცაკის უკვე ცნობილი მანიფესტი, რომელშიაც მთელი რიგი უაღრესი მნიშვნელობის ღონისძიებებია დასახელებული სოფლის მოსახლეობის ღარიბ ფენების კეთილდღეობის ასაწევად, როგორიცაა: ღარიბ გლეხობის კიდევ ათი პროცენტის (25 პროცენტის გარდა) განთავისუფლება სას.-სამეურნეო გადასახადისაგან, თან დამატებითი თანხების გადადება [illegible] მიწათმოწყობისათვის და სხ.

გარდა ნივთიერი დახმარებისა და შეღავათებისა, სახელმწიფოსაგან ღარიბ გლეხობას ეძლევა, უპირველესი მნიშვნელობა აქვს თვით მისი დარაზმვას და შეკავშირებას, რათა მან ჯეროვანი ადგილი დაიკავოს სოფლის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სრულად განთავისუფლდეს კულაკობის ეკონომიურ გავლენისაგან და თავისი მეურნეობა კოლექტიურ ნიადაგზე დააყენოს.

დღეს ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელ მომენტზე გვინდა შევჩერდეთ, განსაკუთრებით ღარიბ გლეხობის კოოპერატიულ ორგანიზაციის საკითხზე. ზედმეტია იმ დებულების განმეორება, რომ კოოპერაცია მთავარი გზაა სოფლად სოციალიზმის განხორციელებისათვის. ისიც ფაქტია, რომ საბჭოთა კოოპერაციის იდეები ყველაზე უფრო გასაგები და მისაღებია ღარიბ გლეხებისათვის, რომელნიც დაქსაქსულად ვერ აღწევენ თავის სიბჩავეს, ხოლო გაერთიანებული ძალღონით ადვილად შესძლებენ ყოველგვარ დაბრკოლებებთან წარმატებით ბრძოლას.

მაგრამ კოოპერაციაში გაერთიანება იოლი საქმე როდია. გარდა სათანადო იდეურ და ორგანიზაციულ მუშაობისა, ამისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები. ღარიბ გლეხს უჭირს საპაიო გადასახადის გაღება, მით უფრო, რომ ეხლა, კოოპერაციის ფინანსიური გაძლიერების მოსაზრებით, ხდება პაის ნორმის გადიდება.

და აქ სახელმწიფოსთან ერთად ღარიბ გლეხობას უნდა მიეშველოს კოოპერაცია. უკანასკნელის წინაშე ერთ უმთავრეს ამოცანად წამოჭრილია სპეციალური ფონდის გამოყოფა ღარიბ გლეხობის კოოპერატიული შეკავშირებისათვის. ჩვენმა კოოპერაციამ ამ მიმართულებით უკვე გადადგა ზოგიერთი ნაბიჯი. ჩვენხელთ არსებული ცნობების თანახმად, მაგალითად, ცეკავშირის სისტემაში თვითეულ კოოპერატივს საერთო მოგებიდან ხსენებულ ფონდის შესაქმნელად გასულ წელს ერიცხებოდა ხუთი პროცენტი, ხოლო წელს ეს პროცენტი გადიდებულ იქნა ათამდე. მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის ამ გზით მოგროვდა დახლოვებით 60 ათასი მან. ამ თანხით განზრახული იყო 20 ათასამდე ღარიბ გლეხის ჩაბმა კოოპერაციაში. თუ რამდენად განხორციელებულა ეს გეგმა, ამის შესახებ ჯერ ცნობები არ მოიპოვება. ამასთან, ღარიბ გლეხს საშუალება ეძლევა ნაწილ-ნაწილად (თვეში 50 კაპ.) შეიტანოს საპაიო გამოსაღები, რაც, ცხადია, მას უადვილებს კოოპერაციაში შესვლას.

აღნიშნული 60 ათასი მან. საკმაოდ დიდი თანხაა, მაგრამ საჭიროა შემოწმება, სრულად ხმარდება ის თუ არა თავის დანიშნულებას. არის შემთხვევები, როცა ღარიბ გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირების ფონდებს სხვა საჭიროებებისათვის იყენებენ. ამას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. ისეთ ფაქტებსაც აქვს ადგილი, როცა ჭიანურდება ღარიბ გლეხობის კოოპერატიული დარაზმვა, თუმცა საამისოდ საშუალებები გამონახულია. ეს, რა თქმა უნდა, კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოების დაუდევრობას და ორგანიზაციულ მუშაობის სისუსტეს უნდა მიეწეროს.

შემდეგ: სისტემატიურად უნდა ვადევნოთ თვალყური, რათა კოოპერატივები ქართლა სდებდენ პროცენტებს ღარიბთა ფონდისათვის და ეს პროცენტები ათზე ნაკლები არ უნდა იყოს.

გარდა სამომხმარებლო კოოპერაციისა, რა თქმა უნდა, ასეთივე მუშაობას უნდა აწარმოებდენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და სხვადასხვა კოოპერატიული გაერთიანებანი.

აღსანიშნავია, რომ კოოპერაცია თავის რიგებში ღარიბ გლეხობის ჩაბმის საქმეში დღემდე თითქო დამოუკიდებლად მოქმედებდა, ის ნაკლებად უკავშირდებოდა სოფლის სხვა ორგანიზაციებს— საბჭოებს, გლეხკომებს, მოჯამაგირეთა კავშირებს და სხ. ამაში დანაშაული მიუძღვით თვით ამ უკანასკნელებს, რომელნიც არ იჩენდენ საკმაო ინტერესს ღარიბ გლეხობის კოოპერატიული გაერთიანების საკითხისადმი. ეს საკითხი კი მთელი სოფლის საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მოქცეული და მის გადასაჭრელად კოოპერატივებმა და სხვა სასოფლო ორგანიზაციებმა შეთანხმებულად და წინასწარ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით უნდა იმუშაონ. აქ ჩვენ არას ვიტყვით იმაზე, რომ ადგილობრივი პარტორგანიზაციები უნდა ხელმძღვანელობდენ მთელ ამ საქმეს,—ეს თავის თავად ცხადია.

საკმარისი არ არის, რომ ღარიბი გლეხობა კოოპერაციაში შევიყვანოთ. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ღარიბი გლეხი არ იყოს კოოპერაციის პასიური წევრი, არამედ მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მის საქმიანობაში. ამ მიზნით კერძოდ აუცილებელია, რათა ღარიბ გლეხთა წარმომადგენლები მეტი რაოდენობით გავიდნენ კოოპერატივების ხელმძღვანელ ორგანოებში (გამგეობა, სარევიზიო კომისია და სხ.) და მათი მუშაობა ამ ორგანოებში ჯეროვან სიმაღლეზე იქნეს დაყენებული. ამ გზით კოოპერაციის საქმიანობაში უფრო მტკიცედ გატარდება ჩვენი კლასობრივი ხაზი და მასში უფრო ფართედ იქნება უზრუნველყოფილი ღარიბ გლეხობის ინტერესები.

ახლო ხანში მოხდება არჩევნები ქვედა საფეხურის კოოპერაციაში. მის მუშაობის ავკარგიანობის ერთ მთავარ საზომად უეჭველად უნდა გახდეს ის გარემოება, თუ რამდენი ფონდები მოაგროვა კოოპერატივმა ღარიბ გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირების მიზნით, რამდენი ღარიბი გლეხი შეიყვანა კოოპერატივში წევრად და რა როლს თამაშობენ ღარიბი გლეხები კოოპერატივის მუშაობაში. ამ მომენტმაც უნდა განსაზღვროს არჩევნების შედეგები. ჩვენი ამოცანაა— მთელი ღარიბ გლეხობის თავმოყრა კოოპერაციაში და მისი არა მარტო რიცხვობრივი ხვედრითი წონის გადიდება ამ ორგანიზაციაში, არამედ პარალელურად ღარიბ გლეხობის კოოპერატიული აქტივობის უმაღლეს დონემდე აყვანა. ამ მიზანს ჩვენ მივაღწევთ, თუ საქმეს ხელს მოვკიდებთ ჯეროვანი შეგნებით და ენერგიით.

პარტიული აპარატის შესახებ

ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, რომლის გადაჭრა უზრუნველჰყოფს ჩვენი პარტიის ძალების და მის ბრძოლის უნარიანობის ზრდას, წარმოადგენს შინა - პარტიული დემოკრატიის სისტემატიური, თანდათანობითი გაშლა და მისი ყოველდღიური განხორციელება. შინა - პარტიული დემოკრატიის ზრდის მნიშვნელოვან გამოხატულებათ უეჭველათ უნდა ჩაითვალოს კონტროლის ზრდა, რომელიც ხორციელდება პარტიული მასის მიერ. სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება მშენებლობის პერიოდის შინა-პარტიული დამოკიდებულებანი.

არჩევითი პრინციპის ურყევი გატარება, პარტიის არჩეული ორგანოების მიერ სისტემატიურათ ანგარიშების ჩაბარება პარტიულ ამომრჩეველთათვის, პარტიულ მასებისათვის დღემდე უნახავ მასშტაბით ინფორმაციის გადაცემა ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამბებისა და პარტიულ ხელმძღვანელობის ღონისძიებათა შესახებ — აი როგორ მიმდინარეობს უკანასკნელ წლების განმავლობაში შინა - პარტიული დამოკიდებულებათა განვითარება.

ის, ვინც შინა - პარტიულ დამოკიდებულებათა განვითარების შეფასების დროს, ვერ ამჩნევს ამ პროცესს, ის ვერ ამჩნევს უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობის მოვლენას.

პარტიული აპარატის დემოკრატიზაცია, ეს ერთ-ერთი იმ უმნიშვნელოვანეს საკითხთაგანია, რომელიც ყოველდღიურად სწყდება ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში.

თავის თავად ცხადია, რომ ამ მხრივ ჯერ არ არის გაკეთებული ყველაფერი ის, რაც უნდა გაკეთდეს და რომ ბიუროკრატიული გადამახინჯებანი, რომელსაც ადგილი აქვს სახელმწიფო აპარატში, ადგილი აქვს ჩვენს პარტიაშიაც, თუმცა გაცილებით უფრო ნაკლებათ.

მაგრამ ამ ფაქტიდან გამომდინარეობს მხოლოდ იმის საჭიროება, რომ უფრო ენერგიული მუშაობა იქნეს წარმოებული პარტიული აპარატის გასაუმჯობესებლად და მოქნილობის და მისი უნარიანობის გასაძლიერებლად და არა აპარატის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების საჭიროება.

პარტიული აპარატის დაშლა ნიშნავს მთელი პარტიის დეზორგანიზაციას. სწორედ ამიტომ ყოველგვარ ([illegible] პარტიული აპარატის სიმწყობრის დაშლისაკენ, სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს პარტიის მხრივ.

ტროცკისტული ოპოზიცია სისტემატიურ ბრძოლას აწარმოებს პარტიული აპარატის დეზორგანიზაციისათვის და ამასადამე პარტიის განიარაღებისათვის.

ჯერ კიდევ პარტიის მე-13 ყრილობაზე დამტკიცებული იქნა მე-13-ე პარტკონფერენციის რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ოპოზიცია, რომელსაც მეთაურობს ტროცკი, გამოვიდა ლოზუნგით, რომელიც მოითხოვს პარტაპარატის დაშლას და ამასთანავე ოპოზიციამ მოინდომა სიმძიმის ცენტრის გადატანა სახ. აპარატში გამეფებულ ბიუროკრატიზმთან ბრძოლიდან, პარტიული აპარატის „ბიუროკრატიზმის" წინააღმდეგ ბრძოლაზე. ასეთი ხელაღებული კრიტიკა და პირდაპირი ცდა მიმართული პარტიული აპარატის სახელის გატეხისაკენ, ხელს უწყობენ მხოლოდ სახელმწიფო აპარატის პარტიის ზეგავლენისაგან განთავისუფლებას და სახელმწიფო ორგანოების პარტიისაგან ჩამოშორებას".

პარტიის მე-14-ე ყრილობა და მე-15-ე პარტკონფერენცია კვლავ დაუბრუნდენ ამ საკითხს. მხოლოდ აღსანიშნავია, რომ პარტია იძულებული შეიქნა ახლა ზემო აღნიშნული დებულება, რომელსაც მაშინ ზინოვიევი და კამენევი იზიარებდენ, წამოეყენებია „ახალ ოპოზიციის" ამ იდეოლოგების წინააღმდეგ, რომლებიც ტროცკის მხარეზე გადავიდენ.

დღევანდელ მომენტში „პარტაპარატის ნგრევის" ლოზუნგს, ოპოზიციურ ბლოკის „პროგრამაში" უკავია პირველი ადგილი. მაგრამ სწორად იმიტომ, რომ შინა-პარტიულ დემოკრატიას აქვს თვალსაჩინო მიღწევები, სწორედ იმიტომ, რომ პარტიული აპარატის მოქმედებას დღეს მეტ კონტროლს უწევენ პარტიული მასები, ვინემ წინედ, სწორედ იმიტომ, რომ პარტიაში ვითარდება პარტიული აპარატის დემოკრატიზაციის პროცესი, სწორედ ამიტომ ხვდება ოპოზიცია ამ დარგში წინააღმდეგობას და მომავალშიაც უფრო გადაჭრილ წინააღმდეგობას შეხვდება, ვინემ წინედ.

პარტიული აპარატის სისტემატიური გაუმჯობესება, ახალი ძალების, და უპირველესად ყოვლისა პარტიის მუშათა ნაწილიდან გამოსული ძალების წამოყენება სახელმძღვანელო სამუშაოზე, მოქნილი და პარტიულ მასებთან მჭიდროთ დაკავშირებულ აპარატის გაუმჯობესება — აი რისთვის იბრძვის ჩვენი პარტია. მანამ, სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, სანამ პარტიის დიქტატურა აშენებს სოციალიზმს ისეთ პირობებში, როდესაც მოსახლეობაში სჭარბობს წვრილ - ბურჟუაზიული ელემენტები, პარტიას არც შეუძლია და მან არც უნდა „გათქვიფოს" თავისი აპარატი და შეასუსტოს პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა. პარტიას შეუძლია მხოლოდ და კიდეც ენერგიულად უნდა მუშაობდეს ამ აპარატის გასაუმჯობესებლად და პარტიული მასების მხრით მისი განაყოფიერების გასაძლიერებლათ.

ოპოზიცია ამჟამად აწარმოებს გამწვავებულ ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ, იგი სასტიკათ ილაშქრებს პარტიული აპარატის წინააღმდეგ, თეორიულად „ასაბუთებს" პარტიული აპარატის დეზორგანიზაციას, ვინაიდან მის მიზანს შეადგენს მთლიანად მთელი პარტიის დეზორგანიზაცია.

მაგრამ ასეთ მოქმედებასთან ერთად ოპოზიცია ქმნის თავის „აპარატს" თავის პარტიის „აპარატს", იმ პარტიის აპარატს, რომელიც იქმნება ლენინის პარტიასთან საბრძოლველათ, ეს უნდა შევიგნოთ. თუ-კი თავის განვითარების პირველ საფეხურზე ტროცკისტული ოპოზიცია პარტიულ აპარატს უპირისპირებს პარტიულ მასას და არ ქმნის სხვა პარტიის აპარატს, ახლა თავის განვითარების „უმაღლეს" სტადიაში, ის ქმნის უკვე ამ აპარატს. ამიტომ ოპოზიციის ბრძოლა პარტიული აპარატის წინააღმდეგ ღებულობს სულ სხვა სახეს, პარტია სათანადო პასუხს გასცემს გამ[illegible]. ის მომავალშიაც ივლის შინა - პარტიული დემოკრატიის გზით, დასძლევს ბიუროკრატიზმს პარტიის შიგნით და მოიპოვებს ახალ მიღწევებს აპარატზე ფართე პარტიული მასების კონტროლის გაწევის საქმეში.

პარტია ნებას არ მისცემს ოპოზიციას შექმნას სხვა პარტია, რომლის არსებობის აზრი იქნება ბრძოლა ლენინის პარტიის წინააღმდეგ.

„პრავდა", 20 ოქტომბერი.

სპარსეთის მეჯლისმა დაამტკიცა შეთანხმება საბჭ. კავშირთან

უცხოეთის პრესა ოქტომბრის რევოლიუც. 10 წლის თავის შესახებ

„დეიჩე ალგემაინე ცაიტუნგ" სწერს: „საბჭოთა სახელმწიფო, რომლის ძალაუფლება წარმოშობის დღეებში რამდენიმე ქალაქით განისაზღვრებოდა, იმდენათ ძლიერი აღმოჩნდა, რომ გარეკა თეთრი არმიები.—1923 წლის კონსტიტუცია გამოდგა ბრძნული აქტი, როგორც შინაური, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, რადგან საბჭ. კავშირი იმდენათ მძლავრ მაგნიტად გადაიქცა, რომ შესაძლებელი შეიქნა საბჭოთა სახელმწიფოების შექმნა ჩინეთში".

გერმანელ მემაღაროეთა გაფიცვა მწყობრათ მიმდინარეობს

სპარსეთ-საბჭოთა ხელშეკრულება დამტკიცებულია

თეირანი, 20 ოქტომბერი. მეჯლისმა ერთხმად (ერთმა თავი შეიკავა) დაამტკიცა სპარსეთ-საბჭოთა ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ. თავი შეიკავა სომხეთის დაშნაკცუთიუნის პარტიის დეპუტატმა საგინიანმა. (ადს).

თეირანი, 20 ოქტომბერი. საბიუჯეტო კომისიამ, რომელმაც დაამტკიცა სპარსეთ-საბჭოთა პაქტი, შეიტანა მეჯლისში თავისი მომხსენებლის შირვანის ხელმოწერილი კანონპროექტი პაქტის და მისი ოქმის დამტკიცების შესახებ. 19 ოქტომბერს კომისიამ მთლიანათ დაამტკიცა აგრეთვე საბაჟო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან და კონვენცია მეთევზეობის შესახებ. 20 ოქტომბერს მეჯლისის პლენუმი განიხილავს პაქტს და, თუ სხდომა ძლიერ არ გაჭიანურდა, კონვენციასაც მეთევზეობის შესახებ. (ადს).

ოქტომბრის 10 წ. თავი და უცხოეთი

გერმანიის პრესა საბჭ. კავშირის ათი წლის თავის შესახებ

ბერლინი, 20 ოქტ. გერმანიის გაზეთები უკომენტარიოთ აქვეყნებენ დაწვრილებითი ცნობებს ცაკის საიუბილეო სესიის შესახებ.

„დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგ" ამის შესახებ სწერს:

„ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავი ერთ და იმავე დროს წარმოადგენს რევოლიუციონურ დღესასწაულს და იმ სახელმწიფო წესწყობილების არსებობის დღესასწაულს, რომელიც, როგორც არ უნდა ვიმსჯელოთ მის შესახებ პრინციპიალურად, აზერხებს უმძიმეს საშინაო და საგარეო კრიზისების დაძლევას. **საბჭოთა მთავრობა, რომლის ძალაუფლება მისი წარმოშობის დღეებში განისაზღვრებოდა ქალაქებით და რომელმაც ბრესტ - ლიტოვსკის მოლაპარაკების დროს დაჰყარა იარაღი, საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სასტიკათ დაემარცხებია თეთრი არმიები.** 1922 წლიდან ახალი რუსეთი წარმოადგენს აზიურ სახელმწიფოს, რომლის პოლიტიკა ბრიტანეთის მსოფლიო იმპერიისთვის გაცილებით უფრო საგრძნობია, ვინემ მისი წინანდელი მოწინააღმდეგის — ცარიზმის პოლიტიკა 1923 წლის კონსტიტუცია ბრძნული აქტი აღმოჩნდა, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, ვინაიდან **საბჭოთა კავშირი აზიის ერებისათვის გახდა იმდენათ ძლიერი ანდამატი, რომ მოსალოდნელი შეიქნა საბჭოთა სახელმწიფოების აღმოცენება ჩინეთში"** (ადს).

ოქტომბერი და მონღოლეთი

ულან-ბატორი. 19 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში მონღოლეთის სახალხო-რევოლიუციონური პარტიის ცეკას თავმჯდომარე დამბადორჯიმ შემდეგი განაცხადა ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავის გამო:

„ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავი არის არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელთა დღესასწაული, არამედ ის არის მთელ მშრომელ კაცობრიობის დღესასწაულიც. მონღოლეთმა თავისუფლება მიიღო ოქტომბრის რევოლიუციის წყალობით. ის არსებობს, იარსებებს და განმტკიცდება საბჭოთა კავშირის და მთელ მსოფლიოს იმ მშრომელთა თანაგრძნობის წყალობით, რომელთაც ხელმძღვანელობს კომინტერნი. საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის ცენტრს. წითელ მოსკოვზე მიპყრობილი რევოლიუციონური აღმოსავლეთის თვალი. საბჭოთა კავშირის არსებობა [illegible] კიცება—არის კაპიტალიზმის დარღვევისა და ყველა მშრომელთა განთავისუფლების უდიდესი საწინდარი.

მონღოლეთის ხალხი, რომელსაც ხელმძღვანელობს სახალხო-რევოლიუციონური პარტია, ემზადება ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავის სადღესასწაულოდ საბჭოთა კავშირის ხალხებსა და მთელი ქვეყნის მშრომელებთან ერთად. მოსკოვში დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად იგზავნება სპეციალური დელეგაცია. **სახალხო რევოლიუციონური პარტია საპატიო დროშას უგზავნის საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, რომელიც ხელმძღვანელობს მსოფლიოში პირველ მშრომელთა რესპუბლიკას".** (ადს)

კლარა ცეტკინის გამოსვლა რეიხსტაგში

ბერლინი, 19 ოქტ. რეიხსტაგში სასკოლო კანონის ირგვლივ გამართული კამათის დროს სიტყვა წარმოსთქვა კლარა ცეტკინმა, რომელიც იცავდა კომუნისტურ თვალსაზრისს.

კლარა ცეტკინის სიტყვა გაგრძელდა საათნახევარი.

მან თავის სიტყვაში გააკრიტიკა ბურჟუაზიული ბლოკის რეაქციონური პოლიტიკა კულტურული ცხოვრების დარგში და აგრეთვე სოციალ-დემოკრატების მოქმედება. კლარა ცეტკინმა დაახასიათა საშინელი სურათი კულტურის დაცემისა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და მას დაუპირდაპირა პროგრესიული პოლიტიკა საბჭოთა მთავრობისა კულტურული ცხოვრების დარგში. სიტყვა დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი.

გადიან მენშევიკური პარტიიდან

ბერლინი, 19 ოქტ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის შტეტინის ორგანიზაციის 28 წევრმა საერთო კრებაზე დემონსტრატიულად დაუბრუნა რაიონულ კომიტეტს თავისი საწევრო ბილეთები. რაიონულმა კომიტეტმა მხოლოდ ხუთი კაცის დაბრუნება მოახერხა კავშირის რიგებში, ყველა დანარჩენებმა კი საბოლოოდ გასწყვიტეს კავშირი მასთან და გადავიდენ გერმანიის კომუნისტ - ახალგაზრდობის კავშირის პლატფორმაზე (ადს).

ყვითლები მუშაობენ

ნიუ - იორკი, 19 ოქტომბ. ამერიკის მემაღაროეთა კავშირმა წინააღმდეგობა გაუწია კოლორადოს მაღაროების მუშებს გაფიცვის გამოცხადებაში. გაფიცულებს ხელმძღვანელობდა „მსოფლიო ინდუსტრიალურ მუშების კავშირი". კოლორადოს შტატის ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაფიცვა უკანონოთ გამოაცხადა და იმუქრება ხელმძღვანელების დაპატიმრებით (ადს).

გერმანელ მემაღაროეთა გაფიცვა

გაფიცვა წარმატებით მიმდინარეობს

ბერლინი, 19 ოქტ. მემაღაროეთა გაფიცვა შუა-გერმანიის რაიონში დიდის ენტუზიაზმით მიმდინარეობს. **მრავალ მაღაროებში გაფიცულია მუშათა მთელი 100 პროცენტი.** ყველა მაღაროების წინ გაფიცულებს დაყენებული ჰყავთ პიკეტები, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ მოახდინა პოლიციის დიდ რაზმების მობილიზაცია. მწარმოებლები ყოველი ძალ-ღონით სცდილობენ, რომ მუშაობა განაახლონ შტრეიკბრეხერების საშუალებით.

ზოგიერთ მაღაროებში ადმინისტრაცია შტრეიკბრეხერებს შეჰპირდა ძალიან დიდ ჯილდოს. თუმცა მწარმოებლებს პოლიციელთა რაზმის დახმარებით მიჰყავთ მაღაროებში შტრეიკბრეხერები მცირე რაოდენობით, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთ წარმოებაში ხდება შესაძლებელი მუშაობის წარმოება მცირე მასშტაბით. ამ წარმოებათა საგაფიცვო კომიტეტმა განაცხადა, **რომ თუ შტრეიკბრეხერები არ იქნებიან გაძევებული, მაშინ კომიტეტი დასვამს საკითხს იმის შესახებ, რომ შეწყვეტილ იქნას ყოველგვარი მუშაობა მაღაროების დაცვისათვის.** მრავალ ოლქებში პოლიცია კონფისკაციას უკეთებს გაფიცულთა მიერ გამოშვებულ ფურცლებს და სცდილობს ხელი შეუშალოს პიკეტების დაყენებას. **წარმოებებში ჩაყენებულია პოლიციელთა რაზმები.**

მწარმოებელთა ორგანიზაციები და რეფორმისტული ბელადები სცდილობენ გაფიცვის შეწყვეტას. მწარმოებლები ცდილობენ, რომ ადგილობრივ საგაფიცვო კომიტეტებთან შეთანხმების გზით განაახლონ მუშაობა ცალკე წარმოებებში.

სოციალ-დემოკრატები და რეფორმისტულ პროფკავშირთა ბელადები სცდილობენ ჩაშალონ საგაფიცვო მოძრაობა მოლაპარაკების განახლების გზით და აგრეთვე მიაღწიონ მთავრობის ჩარევას ამ საქმეში. მთავრობის შუამავალმა ხუთშაბათს ბერლინში მოიწვია ორივე მხარის წარმომადგენელი მოლაპარაკების გაგრძელებისათვის.

კომპარტია განაგრძობს კამპანიას იმისათვის, რომ გაფიცვა გავრცელდეს მრეწველობის დანარჩენ დარგებზე. მუშათა საერთაშორისო დამხმარე კომიტეტი და ფრონტელების წითელი კავშირი მოუწოდებს ყველა მშრომელებს გამოიჩინონ აქტივობა გაფიცულთა დახმარების საქმეში.

შვეიცარიის კომპარტიაში

ბერლინი, 19 ოქტ. შვეიცარიის კომპარტიის ბაზელის ორგანიზაციამ მოწოდებით მიმართა ბაზელის პროლეტარიატს, რათა უკანასკნელმა, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე გამართოს მიტინგები და დემონსტრაციები რუსეთის რევოლიუციასთან სოლიდარობისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით.

(დეპეშების გაგრძ. იხ. მე-2 გვერ.)

შტატების შემცირების საკითხები

ამჟამათ მიმდინარეობს ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების ოცი პროცენტით შემცირების კამპანია. ხარჯების შემცირებასთან ერთად ხდება შტატების შემოკლებაც. რით უნდა ვიხელმძღვანელოთ შტატების შემოკლების დროს? ამ საკითხისადმი ჯანსაღ მიდგომას დიდი მნიშვნელობა აქვს დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებაში.

დასახულ შემცირების გატარებას მიზნათ აქვს დაწესებულებათა ხარჯების რაოდენობითი შემცირება. რაც შეეხება თვით დაწესებულებათა მუშაობას, ხარჯების და შტატების შემცირებით ის არ უნდა გაუარესდეს, პირიქით უნდა გაუმჯობესდეს. მუშაობის გაუმჯობესება შეიძლება მოხდეს მისი უფრო რაციონალურათ დაყენებით და მოსამსახურეთა შრომის ნორმალურ სამუშაო საათებში მაქსიმალურათ გამოყენებით.

დაწესებულების აპარატის გაუმჯობესებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვით აპარატის პერსონალურ შემადგენლობას. თანამშრომელთა პერსონალური შერჩევა დაწესებულებაში მუშაობის საღსაიმედო დაყენების საქმეში ერთ მთავარ მომენტათ უნდა ჩაითვალოს. წარმოებაში მუშების შერჩევა შედარებით უფრო ნაკლებ ყურადღებას მოითხოვს, ვიდრე დაწესებულებებში. იქ წარმოების პროცესი ფიზიკურ შრომის გამოყენებას ისე არ უკავშირებს მუშაკის პიროვნებას, როგორც გონებრივი შრომის გამოყენება არის დაკავშირებული თანამშრომლის პირად თვისებებთან.

მთავარი პრინციპი, რომლითაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ შტატების შემცირების დროს, არის დაწესებულებათა რაც შეიძლება კარგი თანამშრომლებით უზრუნველყოფა. მოსამსახურეთა შემცირების საკითხი პირველ ყოვლისა უნდა სწყდებოდეს მხოლოთ მუშაობისათვის მათი სარგებლიანობის თვალსაზრისით. უნდა შემცირდეს ის, ვინც დაწესებულებისათვის სხვებთან შედარებით ნაკლებად გამოსადეგი არის. ყოველგვარი სხვა მიდგომა შტატების შემცირების საკითხში ხელს შეუშლის სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას.

სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით ამ საკითხისადმი მიდგომა დაუშვებელია. ჩვენ ვერ გადავაქცევთ სახელმწიფო დაწესებულებებს ისეთ ორგანოებათ, სადაც მოსამსახურეთა შერჩევა ხდება მხოლოთ მათ მატერიალური უზრუნველყოფის მოსაზრებებით. საბჭოთა ხელისუფლება უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებისათვის შეძლებისდაგვარათ ეწევა ხარჯებს. რამდენათ უფრო უკეთესათ იქნება დაყენებული სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებათა მუშაობა, იმდენათ მეტი შესაძლებლობა ექნება ხელისუფლებას ეს დახმარება გაადიდოს.

შტატების შემცირების დროს, ცხადია, უნდა გაეწიოს ანგარიში თანამშრომელთა შედარებით მატერიალურ მდგომარეობას, მათ კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრების რიცხვს და სხვ. უთუოდ უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ უმუშევრების რიგებში არ მოხვდენ მატერიალურათ ნაკლებათ უზრუნველყოფილნი. მაგრამ ყველა ასეთი მიდგომა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა, მაგალითად ორ შესამცირებელ თანამშრომელში ორივე თავის შრომით და კვალიფიკაციით ერთნაირათ არიან სასარგებლო დაწესებულებისათვის. სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით მიდგომა, თანამშრომელთა შერჩევის საკითხში დასაშვებია მხოლოთ მაშინ, როცა შესარჩევი პირების შრომის სარგებლიანობა ერთნაირი არის. მაგრამ ამ თვალსაზრისის შტატების შემცირების საკითხში პრინციპათ გადაქცევა ჩვენთვის შეუწყნარებელი უნდა იქნას. სამწუხაროთ, ბევრი ვერ არის თავისუფალი საკითხისადმი ასეთი არა სალი მიდგომისაგან. მაგალითად, ზოგი აყენებს დებულებას, რომ დაწესებულებათა თანამშრომლების შემადგენლობა უნდა იქნეს აგებული შემდეგ პრინციპზე—ერთი ოჯახიდან ერთი მუშაკი. გარდა იმისა, რომ ეს პრინციპი რეაქციონურია და მისი გატარება ხელს შეუშლის ძველი ოჯახის, როგორც წვრილ სამეურნეო ერთეულის, მოსპობას, ასეთ საფუძველზე შტატების შერჩევა ცუდ გავლენას მოახდენდა დაწესებულებათა მუშაობაზე.

შტატების მიმდინარე შემცირების საკითხში, გარდა ზევით მოყვანილ სალი მიდგომისა, საჭიროა მიექცეს ყურადღება მთელ რიგ სხვა მომენტებს. დაუშვებლათ უნდა ჩაითვალოს შტატების იმ რაოდენობით შემცირება, რომლის შემდეგ საჭირო გახდება ზედმეტი მუშაობის წარმოება, ან დროებითი მუშაკების აყვანა, ან კიდევ შემცირების შემდეგ რამოდენიმე ხნის გასვლისა ახალი მუშაკების დაქირავება.

საყურადღებოა აგრეთვე ეგრეთწოდებულ განუსაზღვრელი (უნორმო) მუშაობის საკითხიც. არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა შეუძლებელია ზოგიერთ თანამდებობის პირთა სამუშაო დღის განსაზღვრა. როგორც გამონაკლისი მოვლენა, ეს შეიძლება იქნეს დაშვებული. საერთოდ კი შტატების ის საგრძნობი შემცირება, რომელიც ახლა ტარდება, მოითხოვს, რომ განუსაზღვრელ სამუშაოს დღის დაწესების და დატვირთვის მიცემის ფართო პრაქტიკას ბრძოლა გამოეცხადოს. ცხადია, არ არის დასაშვები, რომ ერთმა იმუშაოს განუსაზღვრელი დროით და მიიღოს ერთნახევარი ან ორმაგი ხელფასი და მეორე კი უმუშევრად დარჩეს. ამიტომ შტატების შემცირების დროს, სადაც კი შესაძლებელია უნდა მოისპოს განუსაზღვრელი დროით მუშაობა და დატვირთვა და სამუშაო გაუნაწილდეს სხვა თანამშრომლებს. ეს ზომა დასათხოვნ პირების რიცხვს შეამცირებს.

სხვადასხვა დაწესებულებებში შეთავსების საკითხიც უნდა იქნეს გადაშინჯული. შეთავსებით მუშაობას ამჟამათ ხშირად აქვს ადგილი. შეთავსება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა რომელიმე მაღალი კვალიფიკაციის მუშაკი არ მოიპოვება. პრაქტიკაში კი შეთავსება ხდება მაშინაც, როცა ასეთი კვალიფიკაციის მუშაკები უმუშევრები არიან. უნდა ითქვას, რომ თვით შეთავსებითი შრომა გაცილებით ნაკლები ხარისხის არის. ამიტომ შეთავსებითი მუშაობა უნდა იქნეს შემოკლებული მაქსიმალურათ.

საერთოთ შტატების შემცირების საკითხი მოითხოვს დიდ ყურადღებას, რამდენათაც მისი სათანადოთ გადაჭრას შეუძლია ხარჯების შემცირებასთან ერთად, დაწესებულებათა მუშაობის გაჯანსაღება.

ტ—ლი.

საკავშირო ცაკის საიუბილეო სესია

სამეურნეო განვითარების შედეგები და პერსპექტივები

ამხ. კუიბიშევის მოხსენება

სამეურნეო მშენებლობის მიღწევები

ლენინგრადი, 20 ოქტომბერი. საკავშირო ცაკის 18 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე, მოხსენებით განვლილ ათი წლის სამეურნეო განვითარების შედეგებისა და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ძირითად პერსპექტივების შესახებ, გამოვიდა ამხ. კუიბიშევი.

„განვლილ ათმა წელმა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ—დაიწყო ამხ. კუიბიშევმა,—გამართლდა თუ არა პროლეტარიატის დიქტატურა, რომელმაც შექმნა სრულიად ახალი, მსოფლიოში ჯერ კიდევ უნახავი სამეურნეო სისტემა? ციფრები და ფაქტები დადებით პასუხს იძლევა ამ კითხვაზე. მიმდინარე წელში ჩვენ გადავაჭარბეთ ომის პროდუქციის გამომუშავების წინა დროის დონეს 6 პროცენტით, 1927—28 წელში ეს პროცენტი გაიზარდა 19-მდე. მსხვილ მრეწველობაში ჩაბმულ მუშების რიცხვი ომის წინ შეადგენდა — 2.400.000, ამჟამად კი—2.469.000, — 2 პროცენტით მეტია ომის წინა დროის რიცხვზე. წვრილ ადგილობრივ მრეწველობის მუშებთან და მოსამსახურეებთან ერთად ამჟამად საბჭოთა კავშირის პროლეტარების რიცხვი უდრის 10 ნახევარ მილიონს. მრეწველობის ცალკე დარგებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომის წინა დროის დონეს. ქვა-ნახშირის მრეწველობის პროდუქციამ გასულ წელში 10 პროცენტით გადააჭარბა ომის წინა დროის დონეს. 1927—28 წელში პროდუქციის ზრდა უნდა გამოიხატოს 30 პროცენტით. ნავთის მრეწველობა 1927—28 წ. 30 პროცენტით გადააჭარბებს ომის წინა დროის ამოღებას. განვლილ ხანში იზრდებოდა აგრეთვე ხელოსნური შინამრეწველობაც. 1923—24 წელში მისი საერთო პროდუქცია შეფასებული იყო 3 მილიარდ ჩერვონულ მანეთად. ამჟამად ამ მრეწველობამ გაადიდა თავისი პროდუქცია 40 პროცენტით.

მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდება საქონლის ბრუნვაც. 1923—24 წელთან შედარებით საბჭოთა კავშირის საქონლის საბითუმო ბრუნვა მატულობს თითქმის ოთხჯერ და 1926-27 წელში შეადგენს 15 მილიარდ მანეთს. საცალო ბრუნვა ამავე ხნის განმავლობაში იზრდება 6 მილიარდიდან 14,8 მილიარდ მანეთამდე.

აგრეთვე ვითარდება სოფლის მეურნეობაც. 1927—28 წელში ნათესების სივრცემ მიაღწია ომის წინა დროის დონეს. რქოსან პირუტყვის რიცხვი აჭარბებს ომის წინა დროის რაოდენობას. ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება ყველაზე უფრო ნათლად ხასიათდება ძირითადი კაპიტალის მდგომარეობით. 1924—25 წელში ძირითად კაპიტალის მატება უდრიდა 0,5 პროც. 1926—27 წ.—9,8 პროც., 1927—28 წ. კი მოსალოდნელია მატების 12 პროცენტი.

უკანასკნელ წლებში შესამჩნევად იზრდება აგრეთვე სასოფლო მეურნეობის ძირითადი კაპიტალიც.

ჩვენი სამეურნეო სისტემა უზრუნველჰყოფს მრეწველობის საჭირო ტემპს სახალხო მეურნეობაში. 1923 — 24 წ. სახალხო მეურნეობის მშენებლობაზე დაიხარჯა 467 მილიონი მანეთი. 1927—28 წელში განზრახული გვაქვს მშენებლობაზე 2.333 მილ. მანეთის დახარჯვა.

სახალხო მეურნეობის ზრდა არ წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის მიერ ათი წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის საბოლოო შედეგს. მთავრობის წინაშე წამოჭრილი იყო ამოცანად ზოგიერთ კონსტრუქტიული ელემენტების შეტანა აღდგენითი პერიოდში. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს ზოგიერთი მიღწევები. თუ 1924—25 წელში ქალაქის მრეწველობის პროდუქცია მთელ პროდუქციასთან შედარებით შეადგენდა — 53 პროცენტს, 1926—27 წელში ეს პროცენტი გაიზარდა 59-დე. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ სამანქანო მშენებლობის განვითარებას, რომელიც ომამდა თითქმის სულ არ არსებობდა. გარდა ამისა, მრეწველობის რეკონსტრუქცია მიდიოდა მრეწველობის იმ დარგების განვითარების ხაზით, რომლებიც უზრუნველჰყოფდენ სასოფლო მეურნეობის განვითარებას. უკანასკნელ წლებში იზრდება როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე მუშათა კოოპერაცია. სამომხმარებლო კოოპერაცია შეადგენს საცალო საქონლის ტრიალის 51 პროცენტს. მეპაეთა რიცხვი აღწევს 24 მილიონს.

საერთო შედეგები მოწმობენ უდიდეს მიღწევებს, რომლებსაც განვლილ 10 წელში მიაღწია საბჭოთა ხელისუფლებამ სამეურნეო ფრონტზე. ეს საერთო შედეგები რწმენას გვაძლევენ, რომ სოციალიზმის მშენებლობის დარგში ჩვენ სწორ გზას ვადგევართ. ეს შედეგები მოწმობენ, რომ პროლეტარიატს, რომელმაც ხელთ იგდო ძალაუფლება ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც იყო მეფის რუსეთი, პროლეტარიატს, რომელმაც გამოიჩინა გაუგონარი გმირობა და ენტუზიაზმი, შეუძლია და შესძლებს კიდეც სოციალიზმის აშენებას.

ჩვენი ნაკლულოვანებანი

ჩვენს მეურნეობას აქვს არსებითი უარყოფითი მხარეები. ერთი ამათთაგანია სიძვირე. მიუხედავად სამრეწველო საქონელზე საცალო ფასების დაკლებისა, სამრეწველო ფასების ინდექსი მაინც მაღალია სასოფლო-სამეურნეო ფასების ინდექსზე. ფასების შემდეგი დაკლება უმთავრესად დამოკიდებულია თვითღირებულების დაკლებაზე, რომელიც ხდება მთელი სახალხო მეურნეობის ცენტრალურ საკითხად.

ეხება რა უმუშევრობის მიზეზებს, ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს უმუშევართა რაოდენობას, რომელიც იზრდება, მიუხედავად მუშათა რიცხვის გამრავლებისა მრეწველობაში. მომხსენებელი ამბობს:

„ეს მოვლენა მემამულეთა და კაპიტალისტების ბატონობის წყეული მემკვიდრეობაა. გაბატონებული კლასები განზრახ აფერხებდენ სოფლის მოსახლეობის კულტურულ განვითარების ზრდას და ქმნიდენ აგრარულ სიჭარბეს იაფფასიანი მუშა-ხელის შოვნის მიზნით.

განვლილ წლებში ჩვენ ვმუშაობდით მუშათა კლასის და გლეხობის მუდმივი კონტროლის ქვეშ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვაქვს ჩვენს სახელმწიფო აპარატში მთელი რიგი ნაკლულოვანებები. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაკლია ის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ნამდვილი გეგმიანი დისციპლინა. მეორე თვალსაჩინო ნაკლია სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში—რაციონალიზაციის ნელი პროცესი. დაბოლოს, ჩვენი აღმშენებლობა არაჩვეულებრივათ ძვირი ჯდება. ჩვენი აღმშენებლობის დიადი პროგრამა მუდამ უნდა გვაგონებდეს ლოზუნგს: „ჩქარი ტემპით, იაფად და უშეცდომოთ".

მომავალი განვითარების პერსპექტივები

ჩვენს წინაშე იშლება სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი პერიოდი. თუ უკანასკნელ დრომდე ჩვენ გვქონდა ზოგიერთი მატერიალურ-ტეხნიკური წყაროები, ეხლა ეს წყაროები ამოწურულია. სესიამ უნდა დაავალოს მთავრობას წარუდგინოს საბჭოების შემდგომ ყრილობას სახალხო მეურნეობის გაფართოების დეტალური გეგმა. ხუთწლიან გეგმას უნდა დაედვას ისეთი საფუძველი, რომელიც საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად გავაფართოოთ სახალხო მეურნეობა, განვავითაროთ ყველა დარგები თანამედროვე ტეხნიკის ბაზისზე და გადავიყვანოთ ქვეყანა აგრარულიდან სამრეწველო ლიანდაგზე. ეს გეგმა უნდა გადაიქცეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გეგმათ, სოციალიზმის აღმშენებლობის გეგმათ".

ეხება რა სახალხო მეურნეობის გაფართოებას 5 წლიან გეგმის ვარიანტებს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მრეწველობის საერთო პროდუქცია მომავალ ხუთი წლის განმავლობაში გეგმის ყველა ვარიანტით ერთი-ორად უნდა გაიზარდოს. კერძოთ მრეწველობის, ცალკე დარგების მიხედვით წარმოების ზრდა ნავარაუდევია: ელექტრონის მრეწველობაში— 183 პროც. წარმოების გაფართოებასთან პარალელურად განზრახულია მრეწველობის ძირითადი კაპიტალის განახლება ფართე ფარგლებში.

ამას გარდა, განზრახულია დიდი მასშტაბით არსებულ ქარხნების გადაკეთება. მანქანების საამშენებლო მრეწველობასთან ერთად იზრდება წარმოება-მრეწველობის სხვა დარგებშიაც. კერძოდ ქიმიურ მრეწველობაში მატება პროექტით დასახულია 158 პროცენტით, მეტალურგიაში— 160 პროცენტით. სამუშაო ძალის რაოდენობა მატულობს დაახლოებით 24 პროცენტით. სამუშაო ხელფასი ყველა ვარიანტებით მატულობს ნომინალური ხელფასის 25 პროცენტით და რეალურ ხელფასის 45 პროცენტით. კაპიტალური ხარჯების რაოდენობა მიაღწევს 7 მილიარდ მანეთს.

ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმის დასასრულ, 1931—32 წელში ელექტროსადგურების სიმძლავრე გაიზრდება ორჯერ და მიაღწევს 3.500.000 კილოუატს, როგორც ეს გათვალისწინებულია გეგმის მეორე ვარიანტით.

უდავოდაა ცნობილი, რომ შეიძლება განვახორციელოთ ის დიდი მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვექნება უახლოეს ხუთ წელიწადში ტრანსპორტის განვითარებაში, რელსიან გზის სიგრძე ხუთ წელიწადში გაიზრდება თითქმის 10 პროცენტით, რკინისგზების ტვირთბრუნვა გაიზრდება ერთნახევარჯერ მაინც. გაუმჯობესდება საზღვაო და მდინარის ტრანსპორტის მდგომარეობა.

სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები სავსებით უნდა იქნეს შეთანხმებული მრეწველობის განვითარების ტემპთან. სოფლის მეურნეობაში უნდა მოთავსდეს დიდი თანხები, რათა აწეულ იქნას გლეხობის კეთილდღეობის დონე.

სოციალიზმი იმარჯვებს

მარტო რიცხვობრივი აღნუსხვა ჩვენი საწარმოო ძალებისა კიდევ არ არის ჩვენი სოციალისტური მეურნეობის საკმაოდ დამახასიათებელი. საჭიროა აღირიცხოს, თუ რა მიმართულებით წავა ეს ზრდა—კაპიტალისტურით, თუ სოციალისტურით. ჩვენი მეურნეობის მიმართულება ხასიათდება შემდეგი ციფრებით: 1925—26 წელში განსაზოგადოებული მრეწველობა შეადგენდა — 83 პროცენტს, ხუთწლედის ბოლოს კი ამ მრეწველობამ უნდა მიაღწიოს 87 პროცენტს. სავაჭრო-საშუამავლო ბრუნვა, რომელსაც ანხორციელებს სახელმწიფო და კოოპერატიული წამოწყებები, ხუთწლედის ბოლოს მიაღწევს 82 პროცენტს. ჩვენი კავშირის გლეხურ მეურნეობათა ნახევარი ხუთწლედის ბოლოს ჩაბმული იქნება კოოპერაციაში.

სახალხო მეურნეობის მშენებლობის დარგში ჩვენს წინაშე სდგას უდიდესი ამოცანები. ეს ამოცანები უნდა გადაიჭრას მუშათა კლასისა და გლეხობის ენერგიით და ნებისყოფით. თვითეულმა მუშამ და გლეხმა და მთელმა პროლეტარულმა საზოგადოებრივობამ უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს დასახულ ამოცანების გადაჭრაში. დაძლეულ უნდა იქნას ყველა დაბრკოლებები სახალხო მეურნეობის მშენებლობის გზაზე. მაშინ ჩვენ მივაღწევთ უდიდეს შედეგებს. მაშინ ჩვენ სწრაფად წავიწევთ წინ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე, რომელიც დაგვისახა ჩვენ დიადმა ოქტომბერმა" (ტაში).

ამხ. კუიბიშევის მოხსენების გათავების შემდეგ ცაკის სესიამ მოისმინა ლენინგრადის მუშათა სამ დელეგაციის მისალმება (ადს).

ამხ. კუიბიშევის საბოლოო სიტყვა

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. სესიის 19 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე, ამხ. კუიბიშევმა თავის საბოლოო სიტყვაში დაასურათა რაციონალიზაციის პროცესი, რომელიც ხწარმოებს ამჟამად ჩვენი კავშირის ყველა საწარმო ერთეულებში და ხაზგასმით აღნიშნა ის ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომელიც აქვს ამ მუშაობას ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის. სესიის წევრთა მიერ შემოტანილი იქნა ბევრი წერილობით შეკითხვა უმუშევრობის მომავალი პერსპექტივების შესახებ.

ამხ. კუიბიშევმა განაცხადა, რომ იმ მასალების მიხედვით, რომელიც მას მოეპოვება, ხუთი წლის დასასრულს სოფლის ზედმეტი მოსახლეობა 8 მილ. კაციდან შემცირდება 6 მილ. კაცამდე. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ ყველა გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებანი მთლიანათ იქნება განხორციელებული. მეორე მხრივ უმუშევრობა თანდათანობით შემცირდება აგრეთვე ქალაქის შრომის ბაზრის გაფართოების გამო. გზა და გზა ამხ. კუიბიშევი ჩერდებოდა 7 საათიან სამუშაო დღის თანდათანობითი შემოღების პერსპექტივებზე. „არ უნდა დავივიწყოთ —სთქვა მან—რომ 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა დაკავშირებულია სიძნელეებთან. ეს სიძნელეები მდგომარეობენ, როგორც მრეწველობის ზოგიერთი დარგის ნედლეულობით მომარაგების პირობებში, ისე კვალიფიციურ მუშახელის ნაკლებობაში სხვა დარგებში, აგრეთვე წარმოების საორგანიზაციო მომენტებში, ამიტომ მთელი სამუშაო დღე ძლიერ მოფიქრებით უნდა იქნეს განაწილებული".

ამხ. კუიბიშევი დაწვრილებით არჩევს სამეცნიერო-ტეხნიკური აზროვნობის მნიშვნელობის ჩვენი სამეურნეო მშენებლობისათვის. ამხ. კუიბიშევი სესიას მიუთითებს სამეცნიერო-ტეხნიკური ინსტიტუტების მუშაობაზე და ხაზგასმით აღნიშნავს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ამ მუშაობას ჩვენი წარმოების გაუმჯობესებისათვის. საჭიროა აგრეთვე, უფრო ფართედ, ვინემ წინედ, გამოვიყენოთ უცხოეთის ტეხნიკის გამოცდილება, რისთვისაც უნდა მოვიწვიოთ უცხოეთიდან ინჟენერები, უნდა გავგზავნოთ საზღვარგარეთ ჩვენი მუშები და ვისარგებლოთ საზღვარ-გარეთელ კონსულტაციით.

თავისი სიტყვის დასასრულს მომხსენებელი უძღვნის კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების საკითხს. „ჩვენ ძლიერ ცოტა ყურადღებას უთმობთ საბჭოთა მთელი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს—კვალიფიციური ტეხნიკური შრომის ცოცხალ კაპიტალს. პროფტეხნიკური განათლების საკითხი ამჟამად წარმოადგენენ ჩვენი ეკონომიკის აქტუალურ საკითხებს. მეურნეობა ადგილებზე—ასრულებს ამხ. კუიბიშევი—განიცდის უდიდეს მშენებლობის ეპოქას. ამ მშენებლობითი შემოქმედებით მოცულია მთელი მუშათა კლასი. და ეს არის სოციალიზმის მშენებლობის გამარჯვების საუკეთესო და უტყუარი საწინდარი". (ადს)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

საკავშირო ცაკის სესიის დახურვა

საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცება.—რეზოლიუციების მიღება—ამხ. კალინინის საბოლოო სიტყვა

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის 20 ოქტომბრის დილის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა ს. ს. რ. კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობა და მიღებულ იქნა რეზოლიუციები ამხ. ლუნაჩარსკის და კუიბიშევის მოხსენებათა შესახებ.

ამხ. პახომოვის მოხსენების მიხედვით, სესიამ ერთხმად დაამტკიცა ს. ს. რ. კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისია 90 კაცის შემადგენლობით. კომისიაში შედიან მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირის ცაკის წევრები და კანდიდატები, რომელთა შორის არიან ცენტრის წარმომადგენლები—28 კაცი, რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლები—34, უკრაინის ს. ს. რ.—15, ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ.—8, ბელორუსიის ს. ს. რ.—წარმომადგენლები—6 და სხ. სია წინასწარ იყო შეთანხმებული ყველა მოკავშირე რესპუბლიკებთან.

ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენების გამო (კულტურული აღმშენებლობის შედეგები საბჭოთა კავშირში ათი წლის განმავლობაში) რეზოლიუციის შესამუშავებლად არჩეულ კომისის თავმჯდომარე ამხ. პეტროვსკი აღნიშნავს, რომ ეს პროექტი მუშავდებოდა ორ კომისიაში. რეზოლიუცია ზედმიწევნით იქნა დამუშავებული ორივე კომისიაში და სავსებით გამოხატავს მუშაობის ყველა ძირითად მომენტებს საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების დარგში.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა კომისიის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუციის პროექტი. ამხ. კუიბიშევის მოხსენების გამო (საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობის შედეგები და პერსპექტივები ათი წლის განმავლობაში) დადგენილების შესამუშავებლად არჩეული კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კომაროვმა წაიკითხა რეზოლიუციის პროექტი. სესიამ ერთხმად დაამტკიცა კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი.

სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოსთქვა თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა.

ამხ. კალინინის საბოლოო სიტყვას მხურვალე ტაშით შეხვდენ. საბჭოთა კავშირის ცაკის მეოთხე სესია ინტერნაციონალის სიმღერით იხურება. (ადს)

ავსტრიის პრესა ცაკის მანიფესტის შესახებ

ვენა, 20 ოქტომბერი ავსტრიის მთელი ბურჟუაზიული პრესა თვალსაჩინო ადგილას ათავსებს საბჭოთა კავშირის ცაკის მანიფესტს. მაგრამ გაზეთების უმრავლესობა მანიფესტს არ უკეთებენ კომენტარიებს.

ბურჟუაზიული გაზეთებიდან მხოლოდ „**ვინერ ნეიესტე ნახრიხტენი**" უძღვნის მანიფესტს მოწინავე წერილს, რომელიც საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ტონით არის დაწერილი და ხაზს უსვამს მანიფესტის „საიგიტაციო ხასიათს".

ავსტრიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე" სწერს:

„სიმშილისა და გაჭირვების წლების შემდეგ საბჭოთა მშრომელი მასები დღესასწაულობენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს არსებობის ათი წლის თავს და მთელი მსოფლიოს მოძმეების წინაშე აყენებენ ანგარიშს სოციალიზმის მშენებლობის შესახებ. სოციალ-დემოკრატიული ილიუზიებისა და მუშათა გაღატაკების წლების შემდეგ ჩვენ ვდგევართ სოციალ-დემოკრატების სიყალბეთა გამოაშკარავების წინაშე, 15 ივლისის მსხვერპლთა საფლავზე. ავსტრიის მუშებამდე მიაღწია მძლავრმა მოწოდებამ: ამოირჩიეთ ორი გზიდან ერთი—ან ის გზა, რომლითაც სოციალ-დემოკრატებს მიჰყავთ ავსტრიის პროლეტარიატი და ან სოციალიზმის მშენებლობის გზა, რომლითაც კომუნისტებს მიჰყავთ რუსეთის პროლეტარიატი. განსაჯეთ და გადასწყვიტეთ!". (ადს).

საკავშირო ა. ლ. კ. კ. ცეკას პლენუმი.

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. 28 ოქტომბერს მოსკოვში მოწვეულ იქნება საკავშირო ახალგაზრდათა ლენ. კომკავშირის ცეკას მე-6 პლენუმი, რომელიც განიხილავს შემდეგ საკითხებს: 1) მე-15 პარტყრილობა და კომკავშირის ამოცანები, 2) კომკავშირის მუშაობა სოფლად, 3) მასიური მუშაობა მუშა-ახალგაზრდობის შორის. (ადს).

პარტიიდან გამორიცხვა.

ტაშკენტი, 20 ოქტომბერი. ტაშკენტის საოლქო საკონტროლო კომისიამ პარტიიდან გამორიცხა 4 აქტიური ოპოზიციონერი: ხემოვნოვი, კორშუნოვი, ოუდინი და პეტროვი, რომლებიც ბეჭდავდენ და ავრცელებდენ ოპოზიციონურ ლიტერატურას და საიდუმლო პარტიულ დოკუმენტებს, იწვევდენ და თვითონაც მონაწილეობას ღებულობდენ ფრაქციულ არალეგალურ კრებებში. (ადს).

პოლონეთის მემაღაროეთა გაფიცვის წინ.

ვარშავა, 20 ოქტომბერი. მემაღაროეთა დელეგატების კონფერენციამ დომბროვსკში დაადგინა გამოაცხადოს გაფიცვა სამთა-მადნო და მეტალურგიულ მრეწველობაში, თუ მეწარმეები უარს იტყვიან მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ხელფასის მომატების შესახებ. (ადს).

დაგვიანებული ნებართვა.

ვარშავა, 20 ოქტომბერი. პოლონეთის მთავრობამ უკანასკნელ მომენტში ნება დართო კუკ ჩამოსულიყო პოლონეთში. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რაბოტნიკი" კუკისათვის ნებართვის დაგვიანებით მიცემის ფაქტს უწოდებს საერთაშორისო სკანდალს. (ადს).

პილსუდსკების მიერ ინგლისელი მემაღაროების აბუჩად აგდება.

ლონდონი, 20 ოქტომბერი. ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციამ გუშინ მიიღო პოლონეთის მემაღაროეთა კავშირის თავმჯდომარის სტანჩიკისაგან დეპეშა; სადაც ნათქვამია, რომ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაუგზავნა ლონდონში პოლონეთის კონსულს ცნობა, რომ კუკისათვის მიეცათ პოლონეთში ჩამოსვლის ნებართვა. მაგრამ ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის შეკითხვაზე პოლონეთის საკონსულოში უპასუხეს, რომ არავითარი ინსტრუქციები მიღებული არ არის და ამიტომ ნებართვას საკონსულო ვერ მისცემს. კუკმა და რიჩარდსონმა თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს, რომ რაც არ უნდა მომხდარიყო შემდეგში, ისინი პოლონეთში არ გაემგზავრებიან. ამასთან დაკავშირებით მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომს გაეგზავნა დეპეშა, რომ სხდომები უნდა სწარმოებდეს არა ვარშავაში, არამედ სადმე სხვაგან. (ადს).

გაფიცული გერმანელი მემაღაროები მტკიცეთ არიან.

ბერლინი, 20 ოქტომბერი. შუა-გერმანიის რაიონის ქვანახშირის წარმოებათა გაფიცული მუშები გადაჭრით აცხადებენ, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ ბრძოლის გაგრძელება იმ დრომდე, სანამ არ იქნება დაკმაყოფილებული ყველა მათი მოთხოვნები. მათი მთავარი მოთხოვნებია: 8 საათის სამუშაო დღის აღდგენა და ხელფასის გადიდება 80 პფენიგამდე დღეში. (ადს)

უნგრელ რევოლიუციონერების პროცესი

ვენა, 19 ოქტომბერი. პროცესის მეორე დღეს გრძელდებოდა სანტოს დაკითხვა. სანტომ განაცხადა, რომ კომპარტია გააგრძელებს არალეგალურ მუშაობას და გაატარებს ცხოვრებაში დადგენილებას არალეგალური სტამბის მოწყობის შესახებ.

თავმჯდომარე არა ერთხელ აწყვეტინებდა მას სიტყვას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სანტო აკრიტიკებდა რეპრესიების რეჟიმს, რომელიც არსებობს უნგრეთში, და როდესაც ის ლაპარაკობდა უნგრეთის პროლეტარიატის მძიმე მდგომარეობის შესახებ.

თავმჯდომარე იმუქრებოდა, რომ სანტოსათვის წარდგენილ ბრალდებებს მიემატება ბრალდება აჯანყებისათვის მოწოდების შესახებ. ბოლოს მან სიტყვა წაართვა სანტოს.

სანტოს შემდეგ დაჰკითხეს გლანცს, კომკავშირელ სერენის და მიწის მუშა კოვშიკს, რომელსაც ბრალდება არალეგალურ სტამბის მოწყობა და არალეგალურ ლიტერატურის ბეჭდვა. ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ ისინი ეკუთვნიან კომუნისტურ პარტიას და ხაზი გაუსვეს არალეგალური მუშაობის აუცილებლობას იმ სიყალბის გამოსამჟღავნებლად, რომელსაც მიმართავენ ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატები.

შეიჰრან. მე დარწმუნებული ვარ, რომ კომუნისტები იბრძვიან არა მარტო სოციალისტურ მუშათა პარტიაში, არამედ ყოველ მუშათა ორგანიზაციაში. მე სრულიადაც არ ვთვლი ჩემს მოვალეობად გამოვიდე კომუნისტების წინააღმდეგ, ვინაიდან მე არა ვარ ბურჟუაზიული საზოგადოების მცველი" (ადს).

ბრალდებულებმა უარი სთქვეს ჩვენებაზე, რომელიც აღნიშნულია პოლიციის ოქმში, და განაცხადეს, რომ ეს ჩვენება წამების საშუალებით იქნა მიღებული გამომძიებლის მიერ.

შემდეგ დაჰკითხეს სოციალისტურ მუშათა პარტიის ბელადი **ვაგი**. ვაგიმ გამოამჟღავნა უნგრეთის სოციალ-დემოკრატების გამცემლობა, რომელთაც შეთანხმება დასდეს ბეტლენთან.

შემდეგ შეეხო რა კომუნისტებთან დამოკიდებულების საკითხს, ვაგიმ განაცხადა:

„ეხლანდელ უნგრეთში, როცა კომუნისტური პარტია არალეგალურ მდგომარეობაშია, ბუნებრივია, რომ კომუნისტები სცდილობენ ყველგან

ვაიან-კუტიურიეს საქმე

პარიზი, 19 ოქტ. სააპელაციო გამასწორებელმა სასამართლომ, რომელიც არჩევს საქმეებს სახალხო მსაჯულების დაუსწრებლად, დაამტკიცა გამასწორებელ სასამართლოს პირველი ინსტანციის განაჩენი კომუნისტ-დეპუტატის ვაიან-კუტიურიეს საქმეზე, რომელსაც მისჯილი ჰქონდა სამი თვის ციხე 1926 წ. ნოემბერს მუსოლინიზე მომხდარ თავდასხმის შესახებ წერილის გამოქვეყნების გამო. თავის გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლო აცხადებს, რომ კუტიურიეს წერილი „ქებას ასხამს" მუსოლინის თავდამსხმელს—განიბონის, რომელსაც უწოდებს გმირისა და წამებულის სახელს. სასამართლოს აზრით, წერილს მიზნად ჰქონდა „სიბრალულის გამოწვევა ბოროტმოქმედისადმი და ჩადენილი დანაშაულის გამართლება". (ადს).

პუანკარეს მუქარა

პარიზი, 19 ოქტ. დეპუტატთა პალატის სხდომაზე პუანკარემ გაილაშქრა ბიუჯეტის ყველა შესწორებების წინააღმდეგ, რომლებიც გულისხმობენ გადასახადების შემცირებას. პუანკარემ განაცხადა, რომ ის არ მიიღებს არავითარ შესწორებებს და დეპუტატთა პალატის სხდომაზე დასვამს საკითხს ნდობის შესახებ.

საფინანსო კომისიის **სოციალისტმა** წევრებმა განაცხადეს, რომ ასეთ პირობებში სრულებით აღარ არის საჭირო ბიუჯეტის განხილვა, ვინაიდან ყოველგვარი კამათი უნაყოფო იქნება.

პუანკარეს მიერ გადასახადების ყოველგვარ შემცირებაზე უარის თქმამ უკმაყოფილება გამოიწვია აგრეთვე მთავრობის ბლოკის მემარჯვენე წრეებში, რომელნიც შიშობენ, რომ, სოციალისტები და რადიკალები მხარს დაუჭერენ შესწორებებს გადასახადების შემცირების შესახებ და ამით პოპულიარობას მოიპოვებენ ამომრჩევლებს შორის, მაშინ, როცა მემარჯვენე წრეები მთავრობის პროექტისათვის ხმის მიცემით საყოველთაო უკმაყოფილებას გამოიწვევენ (ადს).

პეტლიურას მკვლელის გასამართლება

პარიზი, 10 ოქტომბერი. შვარცბარდის პროცესის მეორე დღე დაიწყო მკვლელობის 9 მოწმის და პოლიციის უბნის სამმართველოს კომისრის დაკითხვით. ამ მოწმეების ჩვენება არაფერს ახალს არ იძლევა. საყურადღებოა სისხლის სამართლის პოლიციის იმ აგენტის ჩვენება, რომელიც თვალყურს ადევნებდა შვარცბარდს. აგენტმა განაცხადა, რომ შვარცბარდი არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა და არც არავითარი კავშირი არ ქონდა პოლიტიკურ მოღვაწეებთან. ნაფიც მსაჯულებზე დიდი შთაბეჭდილებას ახდენს მკვლელობის ერთი მოწმე—ინგლისელის ჩვენება. ინგლისელი თავის ჩვენებაში სასტიკათ ილაშქრებს პეტლიურას და დარბევების წინააღმდეგ.

ბრალდების მოწმე, უკრაინის ემიგრანტული „მთავრობის" საგარეო საქმეთა მინისტრი **ტოკარჟევსკი** პეტლიურას ახასიათებს, როგორც „წმინდა ნაციონალისტს საფრანგეთის ერთგულ მოძმეს".

შვარცბარდის დამცველი **ტორესი** აწყვეტინებს ტოკარჟევსკის კითხვით, იყო თუ არა პეტლიურა უკრაინის სამხედრო ხელმძღვანელი და უკრაინის უმაღლესი მთავრობა. როდესაც მან მიიღო დადებითი პასუხი, მაშინ ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის ჯარები უკრაინაში სწორედ პეტლიურამ მოიწვია. დარბაზში ძლიერი მოძრაობაა, სამოქალაქო მოჩივანთა ვექილები პროტესტს აცხადებენ. ბრალდების მეორე მოწმეს **ნესტორენკოს**, ტორესი ეკითხება: იყო თუ არა მოწმე თავმჯდომარის ამხანაგად პეტლიურას უზენაეს სასამართლოში პროკურორად, გაასამართლა თუ არა ამ სასამართლომ დარბევების ერთი მონაწილე მაინც, მიმართავდა თუ არა პეტლიურა დარბევის მონაწილეთა წინააღმდეგ რაიმე რეპრესიულ ზომას. უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ ტორესი ამბობს: „თქვენ, საფრანგეთის მოსამართლენო, გაითვალისწინეთ, თუ რამდენად შეიძლება ისეთი ადამიანის ჩვენებაზე დაყრდნობა, რომელსაც დარბევების ხანაში ეკავა საპასუხისმგებლო ადგილი სასამართლოში და რომელიც არავითარ ზომებს არ ღებულობდა დარბევების წინააღმდეგ".

სხვა მოწმეების დაკითხვა გადადებულია შემდეგ სხდომამდე. (ადს)

გაფიცვები ჩინეთში

მეთამბაქოეთა გაფიცვა შანხაიში

შანხაი, 19 ოქტომბ. ინგლის-ამერიკის თამბაქოს კომპანიის მესამე ფაბრიკის 1.000 მუშამ გაფიცვა გამოაცხადა. ყველა სამი ფაბრიკის წინ მუშებმა დააყენეს პიკეტები, რომელნიც შტრეიკბრეხერებს არ უშვებენ სამუშაოდ. იაპონიის ერთ-ერთი საფეიქრო ფაბრიკის მუშათა ჯგუფი თავს დაესხა იმ პროფკავშირის შენობას, რომელსაც ხელმძღვანელობენ ხელისუფლების მიერ დანიშნული პირები. მუშებმა მილეწ-მოლეწეს ავეჯეულობა და სცემეს პროფკავშირთა ხელმძღვანელებს. ამ ფაბრიკის 2.000 მუშა შეგროვდა პროფკავშირის შენობის მახლობლად და თვალყურს ადევნებდა ამ ამბავს. ამ პროფკავშირის შენობის დარბევის შემდეგ მუშები დაბრუნდენ ფაბრიკაში და განაახლეს მუშაობა. პროფკავშირზე თავდასხმა ალბად აიხსნება იმით, რომ მისმა ხელმძღვანელებმა უკანასკნელი გაფიცვის დროს მეწარმეებთან დასდეს მუშებისათვის მეტად საზიანო შეთანხმება (ადს).

საგაფიცვო მოძრაობა გუანსიში

შანხაი, 19 ოქტომბ. უხჯოუში ამჟამად გაფიცულია საფეიქრო ფაბრიკების 2.000 მუშა. გუშინ, სავაჭრო პალატის სხდომის დროს, რომელზედაც იხილავდენ საკითხს გაფიცვის შესახებ, გაფიცულებმა ალყა შემოარტყეს პალატის შენობას, დააპატიმრეს პალატის თავმჯდომარე, პალატის მიერ მოწყობილი მოხალისეთა რაზმის უფროსი და აგრეთვე პალატის 12 გამოჩენილი წევრი. ყველა დაპატიმრებულები მუშებმა ერთმანეთზე გადააბეს, გაატარეს მთელ ქალაქში და მიიყვანეს გომინდანის საქალაქო კომიტეტის შენობასთან; კომიტეტის შენობის წინ მათ მოაწყვეს დემონსტრაცია. გომინდანის საქალაქო კომიტეტმა გამოიწვია პოლიციელთა და ჯარების დამატებითი რაზმები (ადს).

კომუნისტების დასჯა სიკვდილი

შანხაი, 19 ოქტომბ. უხჯოუში (გუანსის პროვინცია) სიკვდილით დასაჯეს 14 კომუნისტი, რომელნიც რამოდენიმე თვის განმავლობაში იჯდენ ციხეში. სიკვდილით დასჯილთა შორის არის 4 პროფმუშაკი და 3 სტუდენტი - ქალი.

შანხაი, 19 ოქტომბ. უკანასკნელი 2 დღის განმავლობაში სიკვდილით დასაჯეს 12 კომუნისტი (ადს).

ესპანეთის მემაღაროეთა საყოველთაო გაფიცვა

პარიზი, 19 ოქტ. მოლაპარაკება ესპანეთის მემაღაროეთა და მაღაროს მეპატრონეთა შორის შესწყდა. **გამოცხადებულია მემაღაროეთა საყოველთაო გაფიცვა. ჯარმა არა ერთხელ აუტეხა სროლა გაფიცულებს, რომლებიც საპასუხოდ ბომბებს ისროდენ. არის დაჭრილები და დახოცილები.**

იუწყებიან, რომ განზრახვაა გაფიცვა გადააქციონ ფართო პოლიტიკურ მოძრაობად პრიმო-დე-რივერას დიქტატურის წინააღმდეგ (ადს).

კებლეშის საქმე

პრაღა, 19 ოქტომბ. კებლეშის დამცველები იუწყებიან, რომ რუმინეთის მთავრობამ საგანგებო ნოტით უარი განაცხადა მოთხოვნაზე კებლეშის გაცემის შესახებ. დამცველები იმედოვნებენ, რომ კებლეში განთავისუფლებული იქნება (ადს).

რუმინეთის ციხეებში

ვენა, 19 ოქტომბ. ბუქარესტის ცენტრალური ციხის უფროსი სტანესკუ და ადმინისტრაციის ერთი უმაღლესი თანამდებობის პირი დაატუსაღეს დაპატიმრებულთა გამოკვებისათვის გადადებული თანხების სისტემატიური გაფლანგვის გამო. დაპატიმრებულია აგრეთვე ციხის უფროსი რადაუცი ამ ქურდობაში მონაწილეობისათვის (ადს).

კომუნისტების დევნა გერმანიაში

ბერლინი, 19 ოქტ. გერმანიის სასამართლომ გარჩია კომუნისტურ გაზეთ „ჰამბურგერ ფოლკსცეიტუნგის" და „სოციალისტიშე რესპუბლიკის" რედაქტორების—**მეიერის** და **შტალის** საქმე. მათ ბრალდებოდათ სახელმწიფო ღალატის მზადება, რაც გამოიხატა რამდენიმე წერილის გამოქვეყნებაში 1926 წლის ოქტომბერში. მეიერს მისჯილი აქვს 1 წლის, ხოლო შტალს 1 წ. და 3 თვის ციხე. გარდა ამისა ორივე ბრალდებული დაჯარიმებულია ფულით (ადს).

უკრძალავენ საბჭ. კავშირში გამგზავრებას

მექსიკის მთავრობის შიში.

მექსიკო, 19 ოქტომბერი. მექსიკის მთავრობამ უარი სთქვა მიეცა ნებართვა საბჭოთა კავშირში გამგზავრებაზე ნაციონალური მუზეუმის დირექტორს **მიგუელ მენდიზაბალს**. მექსიკის მთავრობას, როგორც ჩანს, ეშინია რათა მენდიზაბალი არ ჩასთვალონ მთავრობის არაოფიციალურ წარმომადგენლათ. (ადს).

მოხანის არ მისცეს ვიზა.

ლონდონი, 19 ოქტომბერი. ინდოეთის მთავრობამ უარი სთქვა პასპორტის მიცემაზე სახარატ მოხანისათვის (მოხანი ნაციონალური კონგრესის წევრია, რომელსაც ხელმძღვანელობენ სვარაჯელები), რომელიც მოწვეული იყო მოსკოვში ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის იუბილეის ჩატარებასთან დაკავშირებით.

მენშევიკებს ურჩევნიათ ბლოკი ბურჟუაზიასთან

ბერლინი, 19 ოქტ. რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ პასუხი გასცა კომპარტიის წერილზე, რომელშიაც კომპარტია წინადადებას აძლევდა სოციალ-დემოკრატებს მოეწყობილიყო საერთო გამოსვლა ბურჟუაზიული ბლოკის პოლიტიკასთან საბრძოლველად. პასუხში ნათქვამია, რომ **სანამ კომპარტია** არ შესწყვეტს ბრძოლას სოციალ-დემოკრატიასთან, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ შეუძლია გულწრფელად ჩასთვალოს კომპარტიის მოწოდებს საერთო გამოსვლისაკენ (ადს).

ბრძოლა ნიკარაგუაში

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბ. შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი რაზმმა კიდევ დაამარცხა ნიკარაგუას ლიბერალების აჯანყებულთა რაზმები. ამერიკული წყაროებიდან მიღებული ცნობებით, მოკლული და დაჭრილია 67 აჯანყებული. ამერიკელთა შორის არავინ მოუკლავთ (ადს).

პოლონეთის სეიმის სესიის დახურვა

ვარშავა, 19 ოქტომბ. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ გამოქვეყნებულია რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტი, რომლის თანახმად სეიმის საგანგებო სესია გამოცხადებულია დახურულათ (ადს).

საბჭოთა კავშირში

სვირის ჰიდრო სადგურის საძირკვლის ჩაყრა

ლენინგრადი, 20 ოქტომბერი. ცაკისა და მთავრობის წევრების, ლენინგრადის ორგანიზაციებისა და ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლების თანდასწრებით მოხდა სვირის ჰიდრო სადგურის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. **კალინინი**, მიწადმოქმედების სახ. კომისარი ამხ. **სმირნოვი**, პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **კიროვი**, სვირის საამშენებლოს მთავარი ინჟინერი ტეიმანი და მრავალი სხვა. სიტყვებში ხაზგასმით იყო აღნიშნული სვირის ჰიდრო-სადგურის მნიშვნელობა, რომელიც ლენინგრადის მრეწველობას მისცემს ახალ 120.000 ცხენის ძალას.

ოქტომბრის დღესასწაულზე

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. ოქტომბრის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში ჩამოვიდა რემედასის დელეგაცია, რომელშიც შედის 23 ამხანაგი-წარმომადგენლები ინგლისიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, დანიიდან და სხვა ქვეყნებიდან. (ადს).

ნიადაგის რყევა ყირიმში

სიმფეროპოლი, 20 ოქტომბერი. ღამით, 18 ოქტომბერს, გურზუფში აღნიშნული იყო ნიადაგის რყევა, ისმოდა ძლიერი გუგუნი, რომელიც გაგრძელდა 2 წუთს. (ადს).

გერმანელ მუშათა დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. ლენინგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდა გერმანელ მუშათა მესამე დელეგაცია. მატარებელს, რომლითაც დელეგაცია ჩამოვიდა, მხურვალე სალამით და ინტერნაციონალის სიმღერით შეხვდენ დელეგაციამ თავის მხრივ მხურვალე მისალმა მოსკოვის პროლეტარიატის წარმომადგენლებს.

სადგურის მახლობლად მოედანზე გამართულ მიტინგზე დელეგაციის თავმჯდომარემ მისალმებათა საპასუხოდ განაცხადა:

„ჩვენი საერთო შთაბეჭდილება ასეთია: **თქვენ სწორი გზით მიდიხართ. თქვენ მიერ მიღწეულ გამარჯვებათა შედეგები —თვალსაჩინოა**".

დელეგაციის მეორე თავმჯდომარემ რიგელმა სთქვა: „ლენინგრადის პროლეტარიატი აღფრთოვანებით შეხვდა თავის მთავრობას. ასეთი შეხვედრა შესაძლოა სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობა, არჩეული თვით მუშათა მასების მიერ, სწორ პროლეტარულ ხაზს ატარებს, იგი ატარებს ისეთ ხაზს, რომელიც მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ინტერესებით არის ნაკარნახევი".

დელეგაციის შემადგენლობაში შედის 61 დელეგატი და 8 სტუმარი. დელეგატებს შორის არიან—34 სოციალ-დემოკრატი, 7 კომუნისტი, 11 უპარტიო, 2 ქრისტიანული სოციალისტი, 1 ლედებურის ჯგუფის წევრი და სხ. დელეგაციაში სამი მუშა-ქალია.

დელეგაციამ თან ჩამოიტანა მისალმების წერილი საბჭოთა კავშირის მუშებისადმი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის გამო. მისალმების წერილს ხელს აწერს 250.000 გერმანელი მუშა. (ადს)

საკავშირო პროფსაბჭოს დეპეშა

ბულგარეთის დამოუკიდებლობის პროფკავშირთა ყრილობას

მოსკოვი, 20 ოქტ. საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭომ მიიღო მიწვევა ბულგარეთის დამოუკიდებელ პროფკავშირთა ყრილობაზე. საპასუხო დეპეშაში საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო, სხვათა შორის, სწერს:

საბჭოთა პროფკავშირები უდიდესი სიხარულით მიიღებდენ თქვენს წინადადებას მოძმე დელეგაციის გამოგზავნის შესახებ თქვენს ყრილობაზე. მიუხედავათ იმისა, თქვენ მშვენივრად გესმით, რომ ჩვენი წარმომადგენლები ვერ მიიღებენ ვიზას ბულგარეთის მთავრობისაგან, ამიტომ ჩვენ არა გვაქვს საშუალება შევასრულოთ თქვენი გულწრფელი სურვილი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ **ბულგარეთის პროფკავშირები, რომელთაც მრავალი წლის რევოლიუციონური ბრძოლის წარსული აქვთ, კლასობრივათ შეგნებულ პროლეტარების საერთაშორისო მთლიანობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში დარჩებიან.** (ადს).

ჰანრი ბარბიუსი სომხეთში

ლენინაკანი, 20 ოქტომბ. 20 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე ლენინაკანში ჩამოვიდა ჰანრი ბარბიუსი. სადგურზე მას შეხვდენ დეპოს მუშები, მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი. ამხ. ბარბიუსმა დაათვალიერა სამუშაოები და ინახულა საფეიქრო ფაბრიკა, შირაქის არხი და ჰიდრო - სადგური. ღამის 12 საათზე ამხ. ბარბიუსი ერევანში გაემგზავრა (ადს).

ლენინაკანში

ერევანი, 20 ოქტომბ. ამხ. სურხატიანის თანხლებით ლენინაკანში ჩავიდა ამხ. ჰანრი ბარბიუსი, რომელიც იქ დარჩება ერთი დღე. ამხ. ბარბიუსი ერევანში ჩამოვა 20 ოქტომბერს საღამოთი ან 21 ოქტომბერს დილით.

21 ოქტომბერს კულტურის სახლში გაიმართება ამხ. ბარბიუსის საპატივცემო საღამო. მისასალმებელ სიტყვებს წარმოსთქვამენ მეცნიერებისა და ხელოვნების ინსტიტუტის, პროლეტარულ მწერალთა კავშირის, რემედასის და პროფსაბჭოს წარმომადგენელნი. შემდეგ გაიმართება ლიტერატურული საღამო. (ადს).

გ. პატეკი ბათომში

ბათომი, 20 ოქტომბერი. ღამის 11 საათზე თბილისიდან ბათომში ჩამოვიდა პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ბ. პატეკი. პატეკს თან ჩამოჰყვა პოლონეთის ელჩის მრჩეველი **სკშინსკი** და გენერალური კონსული ამიერკავკასიაში **მოსტოვსკი**. სადგურზე, სტუმრებს შეეგება აჭარისტანის ცაკის წარმომადგენელი ამხ. **ზოიძე** და საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის აგენტი ამხ. **სურკისბეკოვი**. ბ. პატეკი ბათომში დარჩება ორ დღეს. (ადს)

ბათომი, 20 ოქტომბ. პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში პატეკი, რომელიც გუშინ ჩამოვიდა ბათომში, დღეს მიიღო აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარემ. პატეკს სურმანიძესთან ხანგრძლივი საუბარი ქონდა. შემდეგ პატეკმა საელჩოს მრჩეველ სკშინსკისთან და კონსულ (ამიერ-კავკასიაში) მოსტოვსკისთან ერთად დაათვალიერა ბოტანიკური ბაღი. ჩაქვა და მისი მახლობელი მიდამოები. ხვალ პატეკი დაათვალიერებს აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურს.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

სესხის რეალიზაციის მიმდინარეობა

თბილისში

მეხუთე პროფსკოლაში

მე-5-ე პროფსკოლის შენობაში შესდგა განათლების მუშაკთა კავშირის მე-4-ე ადგილკომში შემავალ მე-5-ე პროფსკოლის პედაგოგიურ შემადგენლობათა და ტეხნიკურ პერსონალთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა ინდუსტრიალიზაციის სესხის საკითხი. აღნიშნულ საკითხის შესახებ საინფორმაციო მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. **ს. ტაბიძემ**. სესხის კამპანიის ჩატარების სადირექტივო პირობების შესახებ ილაპარაკა ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. **ვ. კობახიძემ**. მომხსენებლებმა სათანადოთ გაარკვიეს მუშა-მოსამსახურეთა როლი ამ სესხის რეალიზაციის კამპანიაში. კრებამ გამოსთქვა სურვილი ობლიგაციებზე ხელის მოწერის შესახებ. 35 მონაწილეთაგან ჯერ-ჯერობით შეძენილია 765 მანეთის ობლიგაცია. სკოლის გამგემ ამხ. ვ. ფანცულაიამ და ამხ. ვ. კობახიძემ შეისყიდეს ოთხ-ოთხი ობლიგაცია.

ერ. ვადაჭკორია.

მეცამეტე შრომის სკოლაში

მე-33-ე შრომის სკოლის შენობაში შესდგა ამავე სკოლის თანამშრომელთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა ინდუსტრიალიზაციის სესხის საკითხი, რომლის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **მდივნიშვილმა**. სკოლის მასწავლებლები აღფრთოვანებით შეხვდენ სესხს, რაც გამოიხატა ყველა მასწავლებლის მიერ ობლიგაციების შეძენაში. მე-33-ე შრომის სკოლაში არც ერთი მასწავლებელი არ დარჩენილა, რომ ერთი ობლიგაცია არ შეეძინოს. ზოგიერთებმა კი—ორი, სამი და ერთმა ოთხი ობლიგაციაც კი შეიძინა.

ბ. ლორთქიფანიძე.

ახალშენებათა კომიტეტში

ახალშენებათა კომიტეტისა და როინჯესის მუშა-მოსამსახურეთა შორის 20 ოქტომბრისათვის გასაღებული იყო 5.140 მანეთის ობლიგაცია. ახალშენებათა კომიტეტიდან სესხზე ხელი მოაწერა 31 კაცმა, ხოლო როინჯესის სამმართველოდან—67 კაცმა.

სახელგამში.

საქართველოს სახელგამმა თავის თანამშრომლებს ინდუსტრიალიზაციის სესხის გარშემო გამართულ კამპანიის გამო მიმართა მოწოდებით, რომელშიაც განმარტებულია ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა და თვითეული მოქალაქის მოვალეობა შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

სახელგამის თანამშრომლები,—ნათქვამია მოწოდებაში,—როგორც ჩვენი აღმშენებლობის კულტურულ ფრონტზე მომქმედი რაზმი, ვერ ჩამორჩებიან ამ საქმეში დანარჩენ მოქალაქეებს. მათი მოვალეობაა შეძლებისდაგვარად ხელი მოაწერონ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებზე.

სახელგამი წინადადებას აძლევს თავის თანამშრომლებს აცნობონ მას იმ თანხის რაოდენობა, რომელიც თვითეულ მათგანს შეუძლია გაიღოს ინდუსტრიალიზაციის სესხისათვის. ეს თანხა გადახდილი იქნება სახელგამის მიერ, ხოლო თანამშრომლებს გამოერიცხებათ ნაწილ-ნაწილად ოთხი თვის განმავლობაში.

თბილისის და პროვინციის მაღაზიებში ხელისმომწერთა სიის წარმოდგენა ევალებათ მაღაზიის გამგეებს ორი კვირის განმავლობაში.

რკინისგზებზე

შესდგა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთ. სამ. საწყობის სათბობ-საწყობის და მო-2-ს მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრო დაახლოვებით 500-მდე კაცი. ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენება გააკეთეს ამხ. ამოსაუმა, და ამხ. გოდერძიშვილმა. მომხსენებლებმა მოუწოდეს ხელი შეუწყონ ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელებას.

კრებამ ერთხმად დაადგინა არც ერთი კავშირის წევრი არ დარჩეს ობლიგაციაზე ხელმოუწერელი.

დღემდე ხელმოწერილია 7.243 მან. ობლიგაციაზე, ხელის მოწერა გრძელდება.

დ. ჯღარკავა.

—:—

ტრანსპორტზე ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის კამპანიის ჩასატარებლად გზათა კომისარიატთან შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს სესხის რეალიზაციას მთელ ტრანსპორტზე, საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

ცალკე რკინის გზებზე არსებობენ მსგავსი კომისიები, რომლებიც მუშაობენ თავისი გზების მასშტაბით.

უბნებზე სესხის რეალიზაციის წარმატებით ჩასატარებლად, გზათა კომისარიატის განკარგულებით უნდა დაარსდეს საუბნო კომისიები.

ამ.-კავკ. რკინის გზების გამგეობამ უკვე გადასდგა ნაბიჯი უბნებზე ინდუსტრიალიზაციის ობლ. რეალიზაციის ხელისშემწყობი კომისიების შექმნის მიზნით. კომისიებში შევლენ წარმომადგენლები: გზის ადმინისტრაციის, კომუჯრედის, ადგილკომის და ადგილობრივ საფინანსო ორგანოებიდან.

კომისიებს ევალება გზის მუშა-მოსამსახურეთა შორის ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ ფართო კამპანიის ჩატარება, სესხზე ხელის მოწერის წარმოება და სხვა.

ყველა საჭირო მასალებს კომისიები მიიღებენ გზის შრომის შემნახველ სალაროდან.

ხელის მოწერა სესხზე საუბნო კომისიებმა უნდა დაამთავრონ 15 ნოემბრისათვის.

მოძრაობის დარგში

12 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, კონდუქტორთა აუდიტორიაში შესდგა სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის კონდუქტორების, მეისრეების, ტეხნიკურ და კომერციულ სამქრო ბიუროების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

დღის წესრიგში იყო დასმული მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. ლომთათიძემ, რომელმაც მოკლედ გააშუქა ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა და ობლიგაციებზე ხელის მოწერის პირობები.

მიღებულ რეზოლიუციაში კრება ერთხმად ადგენს არც ერთი მუშა-მოსამსახურე არ დარჩეს ობლიგაციაზე ხელმოუწერელი.

მუშა-მოსამსახურეებმა უკვე მოაწერეს ხელი 25.700 მანეთის ობლიგაციებზე.

პროვინციაში

ბორჩალოს მაზრაში

ბორჩალოს მაზრაში ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია, ტეხნიკურ მიზეზების გამო, ცოტა დაგვიანებით დაიწყო.

15 ოქტომბრისათვის ქ. ლიუქსემბურგში ადგილობრივ პარტიულ ორგანოს ინიციატივით შესდგა სესხის რეალიზაციის ხელისშემწყობ სამაზრო სამეულის, სამაზრო ორგანიზაციების და დაწესებულებათა წარმომადგენლების საერთო კრება, რომელზედაც საქ. ფინსახკომის ინსტრუქტორმა ი. თაყაიშვილმა გააკეთა ინფორმაციული მოხსენება სესხის შესახებ.

კრებაზე შემუშავებულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებები სესხის რეალიზაციის წარმატებით ჩასატარებლად.

იქვე გაიმართა ხელისმოწერა სესხზე. მუშა-მოსამსახურეებმა და პროფკავშირის წევრებმა ხელი მოაწერეს სესხზე დაახლოებით 6.000 მან. რაოდენობით. 5.000 მან. ობლიგაციის შეძენა იკისრა გერმანელების ახალშენის კონიაკის—ქარხნის „უნიონი"-ს დირექციამ.

კრებაზე აირჩიეს მომხსენებლები, რომლებიც მეორე დღისვე გაიგზავნა რაიონებში აგიტა-

ჭიათურაში

შესდგა ჭიათურის მუშკოოპის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც დასმული იყო საკითხი ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ. მოხსენების შემდეგ თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს ობლიგაციებზე სამი ათასი მანეთის რაოდენობით.

ი. ფ—ძე.

სენაკის მაზრაში

1-ლი ოქტომბრიდან დაიწყო მაზრაში მუშაობა სესხის კამპანიის ჩასატარებლად. ქ. პ. სამაზრო კომიტეტის მიერ გამოყოფილ იქნა სამაზრო კომისია სამკომის მდივნის, სამპროფბიუროს თავმჯდომარის და სამფინგანის შემადგენლობით. კომისიის მიერ შემუშავებულია ობლიგაციის რეალიზაციის პრაქტიკული გეგმა მთელი მაზრისათვის, რომლის მიხედვით სენაკის წარმოება-დაწესებულებებში შექმნილია სპეციალური კომისია სესხის გავრცელებისათვის; ასეთივე კომისია შექმნილია თემებშიაც, სადაც კამპანია ჩატარდება 10-15 ოქტომბრამდე.

ქ. სენაკში პარტ-კომკავშირის ორგანიზაციის გაერთიანებულ კრებაზე 6 ოქტომბერს განხილულ იქნა საკითხი ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ. თავის დადგენილებაში ორგანიზაციის ყველა წევრები თავს სავალდებულოდ სცნობენ თითო ობლიგაცია შეიძინონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მისი გავრცელების საქმეში.

7 ოქტომბერს შესდგა ქ. სენაკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, სადაც მოსმენილ იქნა ამხ. ვ. ჩაკვეტაძის მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ. ობლიგაციის გავრცელების ტეხნიკური მხარეები კრებას გააცნო საქ. ფინსახკომის წარმომადგენელმა ა. გედევანიშვილმა.

საერთო კრების დადგენილებაში ნათქვამია: „ადგილკომებში შეიქმნას კომისიები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ობლიგაციის გავრცელებას მუშა-მოსამსახურეთა შორის. პროფკავშირის ყველა წევრებს მიერ შეძენილ იქნას თითო ობლიგაცია მაინც, თითო ობლიგაციის შეძენის შემდეგ დამატებით ხელმოსაწერად მსურველებისათვის შემოღებულ იქნას პერსონალური გამოწვევები. მიღებულ იქნას პრაქტიკაში, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიურ ხელისმომწერთა სიის გამოქვეყნება სპეციალურად საამისოდ მოწყობილ დაფებზე" და სხვა.

მ. ბარამია.

—:—

სესხის ქრონიკა

ტელეფონით 19—64

ფაბრიკა - ქარხნებს და ფაბ-ქარხ-ადგილკომებს შეუძლიათ ტელეფონით — 19—64 გამოიძახონ სახელმწიფო ბანკის ა.-კ. საოლქო კანტორის საფონდო განყოფილების თანამშრომლები, ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელისმოწერით შეგროვილ თანხების გადასაცემად.

ცნობები ადგილებიდან

საქ. ფინსახკომში ადგილებიდან მიღებული ცნობები, საიდანაც ირკვევა, რომ ზოგიერთ რაიონებში ხელისმოწერამ ინდუსტრიალიზაციის სესხზე გადააჭარბა გათვალისწინებულ თანხას.

ოპოზიცია ტროცკიზმის გზაზე

I

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის უკანასკნელმა პლენუმმა აღნიშნა, რომ უკვე დამთავრდა პროცესი ოპოზიციონური ბლოკის გადასვლისა ტროცკიზმის ნიადაგზე.

ოპოზიცია პარტიის შიგნით სულ უფრო და უფრო მეტად ყალიბდება, როგორც ანტი-პარტიული ჯგუფი, რომელიც კავშირს წყვეტს ლენინის მოძღვრებასთან პარტიის პოლიტიკის და ტაქტიკის ძირითად საკითხებში. მით უფრო აუცილებელია კიდევ გავარკვიოთ ტროცკიზმის ძირითადი დებულებანი და გავითვალისწინოთ, თუ როგორ სახეს იღებს ტროცკიზმი პარტიის მუშაობის ძირითად საკითხებში თანამედროვე პირობებში.

იყო თუ არა ტროცკი მენშევიკი

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმში ამხ. ტროცკიმ, როგორც ცნობილია, განაცხადა: „მე... ბევრ მნიშვნელოვან საკითხებში ვიბრძოდი ლენინისა და ბოლშევიკური პარტის წინააღმდეგ, მაგრამ მენშევიკი არ ვყოფილვარ. თუ მენშევიზმი გვესმის, როგორც პოლიტიკურ კლასობრივი ხაზი, — მხოლოდ ამგვარად უნდა გვესმოდეს იგი,— მე მენშევიკი არ ვყოფილვარ 1904 წლიდან. მე არასოდეს არ ვეთანხმებოდი მენშევიზმს იმ საკითხში, თუ როგორ როლს თამაშობენ კლასები რევოლიუციაში".

პარტიას არა ერთხელ ჰქონია მაგალითი იმისა, თუ როგორ სცდილობდა ამხ. ტროცკი „გაეთეთრებია ტროცკისტული ზანგი". მაგრამ ამხ. ტროცკი პირველად სცდილობს ასეთი სავალალო - გაბედული ფორმით გაამართლოს თავისი მენშევიკური წარსული.

სწორედ, ეხლა როცა ამხ. ტროცკის შეხედულებებში უფრო ნათლად იჩენს თავს „ისტორიული" ტროცკის დამახასიათებელი ნიშნები, ჩვენ ვხედავთ ცდას იმისა, რომ სურთ სავსებით უარჰყონ ტროცკიზმის მენშევიკური არსება, როგორც მენშევიზმის ერთ-ერთი სახეობა.

გავიხსენოთ, თუ როგორ სცდილობდა წინად ამხ. ტროცკი თავისი წარსულის „რეაბილიტაციას". თავის წერილში ამხ. ოლმინსკის მიმართ, ამხ. ტროცკი 1921 წ. დეკემბერში სწერდა:

„მე სრულიადაც არ ვსცნობ, რომ ბოლშევიკებთან უთანხმოების დროს მე ყველაფერში შემცდარი ვიყავი. მართალი არ ვიყავი,—არსებითად არ ვიყავით მართალი,—მენშევიკურ ფრაქციის შეფასებაში: მე გადაჭარბებულად შევაფასე მისი რევოლიუციონური შესაძლებლობანი და იმედი მქონდა, რომ მოსახერხებელი იყო მისი მემარჯვენე ფრთის იზოლიაცია და მოსპობა.

და ეხლა მე ადვილად შემიძლია ჩემი პოლემიკური წერილები მენშევიკებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ დავყო ორ კატეგორიად: პირველი, რომელიც ეხება რევოლიუციის შინაგან ძალთა ანალიზს, მის პერსპექტივებს (როზა ლიუქსემბურგის თეორეტიული პოლონური ორგანო „Neue Zeit")— მეორე, რომელნიც ეხება რუსეთის სოციალ-დემოკრატების ფრაქციის შეფასებას, მათ ბრძოლას და სხვა. პირველი კატეგორიის წერილები შემიძლო გამომექვეყნებია შეუსწორებლად, ვინაიდან ეს წერილები სავსებით და მთლიანად ეთანხმება ჩვენი პარტიის პოზიციას, დაწყებული 1917 წლიდან. მეორე კატეგორიის წერილები აშკარად შემცდარია და მათი გამოცემა არ ღირს".

ამგვარად, ამხ. ტროცკი 1921 წლის დეკემბრის ფორმულაში თავის შეცდომებს ხედავს მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკური პარტიის რევოლიუციონერობის გადაჭარბებულად შეფასებაში. მაგრამ ტროცკის მიხედვით, შეუძლებელია ახსნილ იქნას ის გარემოება, თუ რით იყო გამოწვეული მისი გაფთრებული ბრძოლა მენშევიკებთან მჭიდრო კავშირში ლენინისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ. გაუგებარია, რატომ ხდებოდა, რომ ამხ. ტროცკის, როგორც ამბობს მარტოვი წერილში აქსელროდისადმი, ყოველთვის მოჩხუბარის პოზიცია ეჭირა ბოლშევიკებთან ბრძოლაში. მაგრამ ჯერ განზე დავსტოვოთ ეს აშკარა შეუსაბამობა და მოვისმინოთ ამხ. ტროცკის შემდეგი ფორმულები.

ახალ კურსში 1923 წლის დასასრულიდან ამხ. ტროცკი სწერდა, რომ მას შეცდომები ჰქონდა საორგანიზაციო საკითხში, რაც შეეხება რევოლიუციის მამოძრავებელ ძალებს, გი ამაში აუცილებლად მართალი იყო. ფორმულა საორგანიზაციო საკითხებში შეცდომათა შესახებ უფრო ფართოა, მეტს ნიშნავს, ვიდრე მენშევიკების რევოლიუციონერობის გადაჭარბებით შეფასება; 1923 წლის დეკემბრის ფორმულა თითქოს გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ამხ. ტროცკი აღიარებს თავის შეცდომებს პარტიის შენების ფორმის საკითხში, მთლიანობის, დისციპლინის, ცენტრალიზმის საკითხში.

ამის შემდეგ, 1926 წ. დეკემბერში იგი აყენებს ახალ ფორმულას. მე-15 პარტიულ კონფერენციაზე ამხ. ტროცკი აცხადებს, რომ იგი გამოდის იქიდან, რომ ყველა საკითხებში, რომლებშიაც ედავებოდა ლენინს, მართალი იყო ლენინი, და იგი, ტროცკი, იყო შემცდარი. გარეგნულად ეს ფორმულა თითქოს ნიშნავს იმას, რომ ამხ. ტროცკი ხელს იღებს პირველ ორ ფორმულიროვკაზე, რომელშიაც იგი აღიარებდა, რომ ლენინი არ იყო მართალი რევოლიუციონური სტრატეგიის ისეთ გადამწყვეტ საკითხში, როგორიც არის რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა შეფასება. უკვე თვით კონფერენციაზე ამხ. ბუხარინისა და სტალინის სიტყვებში იყო აღნიშნული ამხ. ტროცკის განცხადების გაურკვევლობა, მისი დიპლომატიური ხასიათი. ამხ. ტროცკიმ არ აღნიშნა, თუ რომელ საკითხებში იყო მართალი ლენინი, და რომელ საკითხებში სცდებოდა ტროცკი; მან წამოაყენა ერთი საერთო დებულება, რომელშიაც ადვილად შეიძლება ჩავაყურყუმელაოთ კონკრეტული უთანხმოების ყოველი საკითხი ლენინისა და ტროცკის შორის რევოლიუციამდე და რევოლიუციის შემდეგომ წლებში.

ამხ. ტროცკის განცხადებას მე-15 პარტკონფერენციაზე ორგვარი აზრი ჰქონდა. ერთის მხრივ ამ განცხადებას უნდა გაეადვილებია ზინოვიევისა და კამენევის გადასვლა ტროცკიზმის პოზიციაზე, უფრო უკეთ რომ ვსთქვათ მიჩქმალა ეს გადასვლა: ვითომდა არა მარტო ზინოვიევი და კამენევი მივიდენ ტროცკისთან, არამედ ტროცკიმაც აღიარა თავისი შეცდომები ლენინთან სადაო საკითხებში. მეორეს მხრივ ამ განცხადებას ერთგვარი „საექსპორტო" დანიშნულებაც ჰქონდა: ამით ზეგავლენა უნდა მოეხდინათ უცხოეთის კომპარტიებში, კერძოდ გერმანიის კომპარტიაში; აქაც ამ განცხადებას უნდა გაეადვილებია შეერთება ოპოზიციონურ ბლოკთან.

ეხლა, ალბად, აღარ არის საჭირო ტაქტიკური მოსაზრებანი, რომელნიც უკარნახებდა ამ განცხადების აუცილებლობას მე-15 პარტკონფერენციაზე, და ტროცკი იძლევა უახლოეს ფორმულას, რომელიც მართლაც ისტორიული ამერიკის აღმოჩენას წარმოადგენს,—რომ იგი არასოდეს არ იყო მენშევიკი. ქვევით ჩვენ შევეხებით ტროცკიზმის, როგორც მენშევიზმის სახეობის არსებას. აქ კი მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ადგილს ლენინის წერილიდან „ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში". ეს ციტატა ნათლად ახასიათებს ტროცკის შეხედულებებს:

„იგი (ტროცკი) 1903 წელში იყო მენშევიკი; მენშევიზმს ჩამოშორდა 1904 წელში, დაუბრუნდა მენშევიკებს 1905 წელში, მხოლოდ თავს იწონებდა ულტრა-მემარცხენე ფრაზებით; 1906 წლის დასასრულში იცავდა საარჩევნო შეთანხმებას კადეტებთან (ე. ი. ფაქტიურად ისევ მენშევიკი იყო), ხოლო 1907 წლის შემოდგომაზე ლონდონის ყრილობაზე ამბობდა, რომ მისი განსხვავება როზა ლიუქსემბურგისაგან არის „უფრო ინდივიდუალური სახეობის, თავისებურების განსხვავება, ვიდრე პოლიტიკურ მიმართულებათა განსხვავება". ტროცკი ეწევა პლაგიატს ხან ერთი ფრაქციის და ხან მეორე ფრაქციის იდეური ბარგიდან; ამიტომ აცხადებს, რომ იგი ორივე ფრაქციაზე მაღლა სდგას. ტროცკი თეორიაში სავსებით არ ეთანხმებოდა ლიკვიდატორებს, ოტზოვისტებს, პრაქტიკაში კი ყველაფერში ეთანხმება „გოლოსოველებს" და „ვპერიოდელებს".

ამხ. ლენინის ეს წერილი რომ აგვისტოს ბლოკის წარმოშობამდე არის დაწერილი, იმ ბლოკის, რომელიც ამხ. ტროცკიმ შექმნა ყველა ანტიბოლშევიკური და ანტირევოლიუციონური ძალების გაერთიანებით რუსეთის მუშათა მოძრაობაში. ცნობილია, რომ ამხ. ლენინი მენშევიკურად სთვლიდა ტროცკის პოზიციას იმპერიალისტური ომის დროს: ეს შეიძლება დამტკიცებულ იქნას (და ქვევით ჩვენ ამას დავამტკიცებთ) მთელი რიგი ციტატებით ლენინის ნაწერებიდან.

1926 წ. ოქტომბერში განცხადება იმისა, რომ ლენინი მართალი იყო ყველა სადაო საკითხებში მასთან, ტროცკისთან (რომელსაც ლენინი ებრძოდა, როგორც მენშევიკს) ბრძოლაში, და ერთი წლის შემდეგ კი ახალი მანიფესტის გამოქვეყნება, რომელიც აუქმებს ყველა მის წარსულ მენშევიკურ ვალებს, — განა ეს დაცინვა არ არის პარტიის მიმართ? მაგრამ გვერდი ჩაუაროთ საკითხის ამ მხარეს.

დავსვათ მეორე ძირითადი საკითხი: რაში მდგომარეობს პოლიტიკური აზრი იმისა, რომ ამხ. ტროცკი „უარჰყოფს" თავის მენშევიკურ წარსულს?

ამხ. ტროცკის განცხადება, რომ იგი არასოდეს არ ყოფილა მენშევიკი, ნიშნავს იმას, რომ ის არასოდეს არ გახდა ბოლშევიკი.

ტროცკის არას დროს არ შეუგნია თავისი წარსული შეცდომები, მან თავი ვერ დააღწია თავის ძველ ბარგს და არსებითად დარჩა თავის ძველ პოზიციებზე, რომლებიც მხოლოდ გარეგნულად სახეშეცვლილნი და შეწყობილი არიან მუშათა კლასის ბრძოლის დღევანდელ პირობებთან.

მენშევიზმი და ტროცკიზმი

შეგვიძლია თუ არა სრული თანასწორობის ნიშანი დავსვათ მენშევიზმსა და ტროცკიზმს შორის? არა, არ შეგვიძლია. ვინაიდან აღარ იქნებოდა ტერმინი ტროცკიზმი; ტროცკიზმი წარმოადგენდა მენშევიზმის სხვადასხვა სახეობას, მენშევიკებისაგან ტროცკი განირჩეოდა პერმანენტული რევოლიუციის თეორიით. ამის შესახებ ამხ. ლენინი ამბობდა:

„ტროცკის ორიგინალური თეორია იღებს ბოლშევიკებისაგან მოწოდებას პროლეტარიატის გადამწყვეტ რევოლიუციონურ ბრძოლისაკენ და მათ მიერ პოლიტიკურ ძალა-უფლების დაპყრობისაკენ, ხოლო მენშევიკებისაგან — გლეხობის როლის „უარყოფას"...

დამოკიდებულებაში ბურჟუაზიისადმი ამხ. ტროცკი ენათესავებოდა ბოლშევიკებს; ისევე როგორც ბოლშევიკები, ტროცკი პირველ რიგში აყენებდა პროლეტარიატის რევოლიუციონურ როლს. მაგრამ ტროცკი გლეხობის რევოლიუციონურ შესაძლებლობათა და გლეხობაზე მუშათა კლასის ხელმძღვანელობის შესაძლებლობათა შეფასებაში სავსებით ეთანხმებოდა მენშევიკებს. ამას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი. მუშათა კლასის მხრივ გლეხობის ხელმძღვანელობის უარყოფა ნიშნავს ჩვენს რევოლიუციაში პროლეტარიატის რევოლიუციონური როლის შეუფასებლობას. ამხ. ტროცკის რევოლიუციონურ ოპტიმიზმს სძლევდა პესიმიზმი გლეხობის ხელმძღვანელობის შესაძლებლობათა შეუფასებლობაში. აი პრაქტიკულად რატომ უკავშირდებოდა და ემხობილებოდა ყოველთვის ამხ. ტროცკი მენშევიკებს, რომლებიც უარყოფდენ პროლეტარიატის რევოლიუციონურ როლს რევოლიუციაში.

ტროცკიზმი ებრძოდა ლენინიზმს სამ მთავარ საკითხში::

1) პარტიული მშენებლობის ორგანიზაციული პრინციპები;

2) გლეხობის როლი რევოლიუციაში;

3) პარტიის ტაქტიკა იმპერიალისტური ომის პერიოდში.

მეორე საკითხზე ამხ. ტროცკის არ ჰქონია რაიმე ისეთი ორიგინალური შეხედულებები, რომლებიც რითიმე ანსხვავებდენ მის თვალსაზრისს მენშევიკების შეხედულებებისაგან. ამხ. ტროცკის შეხედულებებში პირველ და მესამე საკითხებზე იყო თავისებური ტროცკისტული ხაზები, ხოლო არსებითად კი ეს შეხედულებები ეთანხმებოდენ მენშევიზმს (ომის ხანაში — „მემარცხენე" მენშევიკების შეხედულებებს). ჩვენ საჭიროდ ვცანით ომის საკითხის გამოყოფა, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ ამხ. ტროცკი არაერთხელ შეეცადა თავის უთანხმოების შენელებას იმპერიალისტური ომის დროს და იმ პერიოდის თავის შეხედულებებს თითქმის ბოლშევიკურ შეხედულებებად ასაღებდა. ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამხ. ტროცკის ეს მტკიცება ისტორიულად იმდენადვე შეეფერება სიმართლეს, როგორც მისი განცხადება.

„მე არას დროს არ ვყოფილვარ მენშევიკი".

ამ წერილში გავარჩევთ უთანხმოებას ორგანიზაციულ საკითხში ბოლშევიზმსა და ტროცკიზმს შორის.

ორგანიზაციული საკითხები ტროცკიზმის შეფასებაში

კარგი იქნება მოვიყვანოთ აქ ამხ. მარტინოვის მოთხრობა 1901 წელში საზღვარგარეთ ლენინთან მისი შეხვედრის შესახებ. შემთხვევა, რომელსაც გვიამბობს ამხ. მარტინოვი, საკმაოდ ნათლად ასურათებს ლენინის მიერ ორგანიზაციული საკითხის მნიშვნელობის შეფასებას.

მარტინოვმა და ლენინმა დაიწყეს საუბარი ყველა თემებზე, რომლებიც აინტერესებდა რუსეთის მაშინდელ რევოლიუციონერ ემიგრანტს. ილაპარაკეს პროლეტარული რევოლიუციისა და მუშათა კლასის ამოცანებზე, მისი ბრძოლის მიზნებზე, ძირითად მომენტებზე, რომლებიც საფუძვლად უნდა დასდებოდა სოციალ - დემოკრატიულ მუშათა პარტიის პროგრამას, ამ პარტიის ტაქტიკაზე და სხვ.

და აი, — ამბობს ამხ. მარტინოვი,— ყველა ამ პუნქტებზე ჩვენი ერთი აზრის აღმოჩნდით, ყველა ამ პუნქტებზე ჩვენ ერთნაირად ვაზროვნობდით. მაგრამ აი საუბრის ბოლოში ამხ. ლენინი მეკითხება:

— როგორ უყურებთ თქვენ ჩემს საორგანიზაციო გეგმას?

მარტინოვი უპასუხებს:

— მე მას შემცდარად ვსთვლი; თქვენ გინდათ პარტიის შექმნა როგორც მაკედონიურ ყაიდაზე. ამ პრინციპს არ იცნობს დასავლეთის არც ერთი სოციალ - დემოკრატიული პარტია, მას არ იცნობენ რუსეთის სოციალ - დემოკრატებიც.

პასუხად ამაზე ლენინმა განუცხადა:

— მაშასადამე ამ პუნქტში მე არ მეთანხმებით?

— დიახ.

— მაშ რახან ასეა, მე თქვენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვს.

და იმ დღიდან, — ამბობს ამხ. მარტინოვი, — ჩვენი გზები მრავალი წლით გაშორდენ ერთმანეთს.

ორგანიზაციული პრინციპები ბოლშევიკებისათვის არასდროს არ ყოფილა უცილებლად მთავარი რამ; ისინი გამომდინარეობდენ პარტიის მთელი რევოლიუციონური სტრატეგიიდან. ბოლშევიკები ამზადებდენ პარტიას ჰეგემონის როლისათვის რევოლიუციაში და ამიტომაც ისინი ჰქმნიდენ რევოლიუციონურ მებრძოლ ორგანიზაციას, რომლის წევრებიც შედუღებული იყვნენ ერთი აზრითა და ერთი ნებისყოფით. ორგანიზაციას, მძლავრს თავის რიგების რკინისებური დისციპლინით. მენშევიკები გაურბოდენ რევოლიუციონურ ბრძოლას ბურჟუაზიასთან და ამიტომ ახასიათებს მათ გულგრილი დამოკიდებულება საორგანიზაციო საკითხებთან.

მენშევიკები ჰქმნიდენ (თუ ამ შემთხვევაში შეიძლება ვიხმაროთ ეს სიტყვა) ფართე, მოდუნებულ, უნარმოკლებულ პარტიას.

ტროცკის პირველ ყოვლისა ახასიათებს ყველა მენშევიკებისათვის საერთო შეუფასებლობა ორგანიზაციული მომენტისა მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლაში.

ჯერ კიდევ პარტიის მეორე ყრილობაზე, გაილაშქრა რა ამხ. ლენინის ფორმულის წინააღმდეგ პარტიაში წევრობის განსაზღვრის შესახებ, ამხ. ტროცკი ირონიულად აღნიშნავს ლენინის „საწესდებო ჯადოს, რომელიც მიმართულია ოპორტიუნიზმის წინააღმდეგ".

ბროშიურაში „ჩვენი პოლიტიკური ამოცანები", რომელიც ლენინმა „საუკეთესოდ ჩასთვალა უმრავლესობის ინტერესების თვალსაზრისით" ამხ. ტროცკი ამბობდა:

„ჩვენი ამოცანა მთლიანად მდგომარეობს პოლიტიკურ ტაქტიკაში. ჩვენ, ეგრედ წოდებული „უმცირესობა" არ ვაყენებთ დამოუკიდებულ ორგანიზაციულ ამოცანებს და ვფიქრობთ, რომ მათში ყველაზე გადაუდებელი ამოცანები გადიჭრება თანდათან, პოლიტიკური ბრძოლის პროცესში. ამ მხრივ ჩვენ მართლაც ვიჩენთ „ოპორტიუნიზმს ორგანიზაციულ საკითხში". მხოლოდ სახეში უნდა გვქონდეს ის, რომ ორგანიზაციული რიგორიზმი, რომელიც დაუპირდაპირდა ჩვენს ოპორტიუნიზმს, არის მხოლოდ პოლიტიკური ჭკუათხელობის მეორე მხარე.

ჩვენი კამპანიის რომელ საფეხურზედაც არ უნდა მოგვისწროს რევოლიუციამ, მასში ყოველთვის იტყვის თავის სიტყვას განსაზღვრულ პოლიტიკურ ლოზუნგებს გარშემო გაერთიანებული პროლეტარიატი. და ასეთ პირობებში თვით რევოლიუცია დიდათ წასწევს წინ მის პოლიტიკურ გაერთიანებას".

ტაქტიკური საკითხების დაპირდაპირება ორგანიზაციულ საკითხებისადმი, წარმოდგენა პარტიის მშენებლობის ორგანიზაციულ პრინციპებზე, როგორც მეორეხარისხოვან ამოცანაზე, რომელიც გზადაგზა გადიჭრება, — ყველაფერი ეს ტროცკის, ისევე როგორც მენშევიკებს, თვალსაჩინოდ ანსხვავებს ბოლშევიკებისაგან, რომელთათვისაც, როგორც პროლეტარიატის ნამდვილ რევოლიუციონურ პარტიისათვის, ორგანიზაციულ საკითხს ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა და ის განუშორებელი იყო ტაქტიკის საკითხებისაგან, ვინაიდან რევოლიუციონური ტაქტიკის ამოცანების შესრულება შეიძლებოდა მხოლოდ მტკიცედ შედუღებული, დისციპლინიანი პარტიული ორგანიზაციის პირობებში.

კომუნარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

ავიაცია თანამედროვე ომში

„ჯარის თვალები"

საბრძოლო მოქმედებანი მაშინ მიმდინარეობენ წარმატებით, როდესაც ჩვენ გვაქვს სრული და სწორი ცნობები მოწინააღმდეგის შესახებ. ამ ცნობების შეკრება წარმოადგენს ძიების ამოცანას, რომელიც მიმდინარეობს ყოველთვის და ყველა პირობებში. ძიებამ უნდა გამორკვიოს მოწინააღმდეგის ძალების დაჯგუფება, მათი რაოდენობა, მდგომარეობა და სხვა საჭირო ცნობები, რომლებიც მოგვცემენ საშუალებას წარმატებით ვაწარმოოთ ოპერაციები და ცოტა ზარალით დავამარცხოთ მტერი.

ძიების მიერ შეკრებილი ცნობები მხოლოდ მაშინ არიან გამოსადეგნი და ხელსაყრელნი, თუ ისინი მოაღწევენ ჩვენთან დროულათ, დაუგვიანებლად. ამისათვის, ძველი დროიდანვე ძიება ევალებოდა უფრო მოძრავ ჯარის ნაწილს—ცხენოსანს. მას შემდეგ, რაც სამხედრო ხელოვნებაში შეიჭრა თვითმფრინავი, საძიებო მუშაობა ევალება მასაც, რადგან იგი წარმოადგენს სწრაფად მოძრავ ძალას და აქვს მრავალი თვისებები, რომლებიც აძლევენ საშუალებას წარმატებით აწარმოოს ძიება.

„თვითმფრინავი—თვალებია ჯარის"—ასე ამბობდენ იმპერიალისტური ომის დასაწყისში და ფართედ სარგებლობდენ თვითმფრინავებით საძიებო მუშაობისათვის.

დაფრინავენ რა მოწინააღმდეგის თავზე, თვითმფრინავები ამჩნევენ ყოველივე წვრილმანსა და [illegible] მოწინააღმდეგის ფარულ ზრახვ[illegible]

მძიებელთან ერთად, შეიარაღე[illegible], ფოტოგრაფიული აპარატით და ტყ[illegible]ვევით, ადიან ჰაერში, 2.000—3.000 მეტრის სიმაღლეზე და იწყებენ მუშაობას. მფრინავს (პილოტი) მიჰყავს თვითმფრინავი იმ ადგილისაკენ, რომელიც უნდა იქნეს დაზვერილებით შესწავლილი. მძიებელი ზევიდან ადევნებს თვალს მიდამოს და ნიშნავს ყოველ წვრილმანს, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ამოცანისათვის.

უეჭველია, მოწინააღმდეგეს არ გამოეპარება უცხო თვითმფრინავის გამოჩენა თავის ტერიტორიაზე და იგი ცდილობს არტილერიის ცეცხლით გაანადგუროს იგი. არის მრავალი შემთხვევა, როდესაც არტილერიის ცეცხლით ზიანდება მძიებელი თვითმფრინავი.

გარდა ამისა არის ეგრედ წოდებული გამანადგურებელი თვითმფრინავები, რომლებიც ჰაერში შეებრძოლებიან მძიებელს და არ აძლევენ საშუალებას აწარმოონ ძიება.

თვითმფრინავიდან ფოტოგრაფიულ აპარატით გადაღებული სურათები იძლევიან ცნობებს მოწინააღმდეგის ძალების მდგომარეობაზე. ამ სურათზე იხედება არა მარტო საგნების მოხაზულობა, არამედ მავთულ-ხლართის რიგების რაოდენობა და ტყვიამფრქვევის და არტილერიის ბინები და სხვა.

საჰაერო ძიებასთან ბრძოლის მიზნით შემოღებულ იქნა შენიღბვა (маскировка). იმალებოდა ყველაფერი, რის დამალვაც კი შეიძლებოდა. შენიღბვა მტერის საჰაერო ძიების და საჰაერო ფლოტისა. მაგრამ, აქაც მშველელად გამოვიდა ფოტოგრაფიული აპარატი, რადგან იქ, სადაც ვერ წვდება ადამიანის თვალი, კარგად ხვრის ფოტოგრაფიული აპარატის ფირფიტა.

მძიებელი ტყვიამფრქვევით.

თვითმფრინავები აწარმოებენ ძიებას ღამითაც. თუმცა ღამე ბევრი რამ არა ჩანს, მაგრამ ღამის ძიებით შეიძლება შეტყობა იმის, ემზადება თუ არა მოწინააღმდეგე რაიმე მოქმედებისათვის. ამის გაგება შესაძლებელია მატარებლების მოძრაობით, დანთებულ ცეცხლის რაოდენობით და სხვა. თვითმფრინავი ღამით ეშვება რა დაბლა და მაშხალებით ანათებს რა მიდამოს, იგებს აგრეთვე ჯარის მოძრაობას.

ძიების დროს მძიებელ თვითმფრინავს ხშირად უხდება შეტევა მოწინააღმდეგის საჰაერო ძალებთან. ამისათვის თვითმფრინავი შეიარაღებულია ტყვიამფრქვევით.

ძიება წარმოადგენს ყოველდღიურ და მძიმე სამუშაოს, ძიების საწარმოებლად არსებობს სპეციალური მძიებელი ავიო-რაზმები, რომლებიც კარგად არიან გამოცდილნი ამ საქმეში და შეუდრეკლად მიემგზავრებიან ყოველთვის თავის მძიმე და სახიფათო სამუშაოს ასასრულებლად.

ე. გ—ლი.

თავდაცვა ავიაქიმის საზოგადოებაში

აჭარისტანის ორგანიზაცია

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების აჭარისტანის საზოგადოებაში ამჟამად ითვლება 72 უჯრედი, რომელიც აერთიანებს 4.000-ზე მეტ წევრს. ამ უჯრედებიდან 60 მუშაობს სამოქალაქო და 12 კი სამხედრო ორგანიზაციებში.

მუშაობა ორგანიზაციის ყველა უჯრედებში მიმდინარეობს წარმატებით. მიუხედავად დაბრკოლებებისა, ორგანიზაციამ შესძლო აქტიური მუშაობის წარმოება თავდაცვის დარგში და წევრების დარაზმვა ამ მუშაობის ირგვლივ.

ბათომის გარდა უჯრედები ჩამოყალიბებულია ბევრ დაბა-სოფლებში, როგორიც არის ხულო, აჭარის-წყალი, ქობულეთი და სხვა. აჭარელი გლეხები ხალისიანათ ეწერებიან უჯრედებში და შეძლებისდაგვარად ასრულებენ ამა თუ იმ დავალებას.

საზოგადოების საბჭოსთან მუშაობენ შემდეგი სექციები: საავიაციო-საპროპაგანდო, ჯარის გარეშე მომზადების, ავიაქიმიური. თუმცა დიდი ხანი არ არის ჩამოყალიბდენ ეს სექციები, მაგრამ მათი მუშაობა თვალსაჩინოა: ჩატარებულ იყო „თავდაცვის კვირეული", მოწყობილ იქნა წითელი არმიის და ფლოტის გამოფენა, ჩატარებული იქნა კომკავშირის მანევრები და სწარმოებდა სათანადო მუშაობა სათადარიგო მეთაურთა შეკრებაზე. ამას გარდა უნდა აღინიშნოს, რომ ნახევარ მთვარის საზოგადოებასთან სისტემატიურად მუშაობს წითელი დების კურსები, კურსების საშუალებით მომზადებულია მრავალი აჭარელი ქალი სანიტარული მუშაობისათვის ბრძოლის დროს.

ორგანიზაციის მიღწევად უნდა ჩაითვალოს თვითმფრინავების დასაშვებ მოედნის მოწყობა ქობულეთში. მოკლე ხანში ასეთივე მოედანი მოწყობილ იქნება ქ. ბათომში.

წითელი ჯარის ყოფა-ცხოვრება

გრძელვადიან შვებულებაში

(№ საარტ. ლეგიონი 34 ასეული)

რამოდენიმე დღის შემდეგ 1903 წ. დაბადებული წითელ-არმიელები გაიშვებიან გრძელვადიან შვებულებაში. შვებულნი დაუბრუნდებიან სოფლად თავის მეურნეობას, ქალაქად კი წარმოებას. შვებულნი ეხლავე ადგენენ მომავალ მუშაობის გეგმას. ლეგიონიც არ ზოგავს ძალას და ღონეს, რათა ღირსეულად მოამზადოს შვებულნი მომავალ მუშაობისათვის. ამ მიზნით დაარსებულია კოოპერატიული და ქოხ-სამკითხველოს გამგეების კურსები, სადაც მეცადინეობენ მრავალი არმიელი. კურსებისათვის მოწვეულ არიან საუკეთესო ლექტორები. მეცადინეობა კურსებზე დამთავრდება ამ დღეებში და, უეჭველია, ნაყოფიც სასურველი იქნება. გარდა კურსებისა, პოლიტსაათზე დათმობილი აქვს რამოდენიმე თემა სოფლად მუშაობის საკითხებს. ამით წითელი არმიელები ეცნობიან მომავალ მუშაობის ფორმებს და მეთოდებს.

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე შვებულნი იქნებიან თავ-თავიანთ სოფლებში, იმისათვის, რომ შვებულებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ზეიმის ჩატარებაში, ნაწილში ტარდება საინსტრუქციო თათბირები ამის ირგვლივ.

ლეგიონის კლუბი თავის მხრივ ემზადება გამოსათხოვარი საღამოს მოსაწყობად. შვებულებში მიმავალთ ლეგიონი მიაცილებს სადგურამდე, სადაც კოლოფის ქარხნის მუშებთან ერთად, რომლებთანაც ლეგიონი არის მჭიდრო კავშირში გაიმართება გამოსათხოვარი მიტინგი.

დ. ლომაძე.

ჩვენი ლენინის კუთხე

(№ ლეგ. მე-4-ე ასეული)

მეოთხე ასეულის წითელ-არმიელთა დახმარებით მოვახდინეთ ასეულის ლენინის კუთხის გადახალისება. გადახალისების დროს ყურადღებას ვაქცევდით იმ გარემოებას, რომ მოგვეწყო ისეთი კუთხე, სადაც წითელი არმიელები დასვენების დროს გაატარებდენ გონივრულად. წინასწარ წითელ-არმიელთა დასწრებით შედგენილ იქნა კუთხის გეგმა, კუთხეში მთავარი ადგილი უჭირავს ლენინის მავზოლეის, რომელიც ლამაზათ არის მოწყობილი და იპყრობს ყურადღებას. მავზოლეისთან არის ლოზუნგები და ლენინის დიდი, მხატვრული სურათი.

მოვაწყვეთ აგრეთვე თავდაცვა-ავიაქიმის კუთხე, სადაც არის სათანადო ლოზუნგები, თვითმფრინავის მოდელი და ლიტერატურა.

ლენკუთხის მოწყობაში და გამშვენიერებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს წითელ-არმიელებმა და შემდეგშიაც მისი მეთვალყურენი იქნებიან თვითონვე.

მ. ს—ძე.

სამხკორთა შორის

(№ საკავშირო ასეული)

ასეულში ჩამოყალიბებულია სამხკორთა წრე, რომელშიაც ირიცხება რამოდენიმე ათეული წითელი მოლაშქრე. წრე მეცადინეობს სისტემატიურად კვირაში ორჯერ, წინასწარ გამომუშავებული გეგმით. წრის წევრები ეცნობიან წერის ტექნიკას, საგაზეთო საქმეს ითვისებენ ისეთ ცნობებს, რომლებიც საჭიროა კორესპონდენტისათვის. წრის წევრები იღებენ მხურვალე მონაწილეობას ადგილობრივ კედლის გაზეთში. რამდენიმე არმიელი წრის წევრი, თანამშრომლობს გაზეთ „წითელ არმიელ"-შიაც.

ოქტომბრის ზეიმთან დაკავშირებით მოხდა სამხკორთა წრის გაერთიანებული კრება, რომელზედაც გამომუშავებულ იქნა გეგმა ზეიმის ჩატარებისა. კრებაზე იყო ლაპარაკი იმაზე, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს სამხკორმა ზეიმის ჩატარებაში. სამხკორთა წრე უკვე შეუდგა მასალების დამზადებას კედლის გაზეთის საიუბილეო ნომრისათვის.

ი. ჭ—ი.

სამხედრო ქრონიკა

ახალი მეთაურები

დამთავრდა ლეგიონების სკოლებიდან ახალი უნცროს მეთაურების გამოშვება. ახალი უნცროსი მეთაურები განაწილებულ იქნენ თავთავიანთ ერთეულების განაყოფებში. მოკლე ხანში გამოიშვებიან სკოლებიდან სათადარიგო მეთაურები, რომლებმაც დაჰყვეს სკოლებში ერთი წელიწადი.

კომკავშირის ლეგიონები

ქ. სამარაში ა.ლ.კ.კ. კავშირის საგუბერნიო კომიტეტის თაოსნობით შემდგარია კომკავშირელების მიერ ერთი ლეგიონი. მაზრებში კი დაარსებულია კომკავშირის ათეულები.

კავკ. არმია ეკრანზე

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილების მეთაურები და წითელარმიელები ღებულობენ მხურვალე მონაწილეობას სურათ „ორთქლმავალი ბ. 1000" გადაღებაში, რომელიც დასრულებულ უნდა იქნეს ოქტომბრის 10 წლის თავისათვის. სურათის ბევრ ადგილში ნაჩვენებია არმიის მოქმედება ბრძოლაში და სცენები წითელარმიელთა ცხოვრებიდან.

ზურგის ნაწილების შეკრება

ზურგის ნაწილების მეთაურთა და წითელარმიელთა შეკრება, რომელიც დაიწყო მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს, დამთავრდება 20 ოქტომბერს. შეკრებაზე მიმდინარეობდა როგორც სამხედრო, ისე პოლიტმეცადინეობა. ჩამოყალიბებული იყო წითელარმიელთათვის 12 ქართული, 4 რუსული, 2 სომხური და 1 თათრული სამეცადინო ჯგუფი.

ოქტომბრის ზეიმზე დასასწრებლად.

ქართული დივიზიები ოქტომბრის ზეიმზე დასასწრებლად გზავნიან მოსკოვში ერთ ასეულს. ეროვნულ დივიზიებიდან საერთოდ მიემგზავრება მოსკოვში ერთი ათასეული.

კომკავშირის ლაშქრობა

კომკავშირის გასამხედროების საქმეს წრეულს ჩაეყარა მტკიცე საძირკველი. მანევრების საშუალებით მრავალმა ათასმა კომკავშირელმა ახლო გაიცნო ბრძოლის წარმოების წესები და ყველა ის იარაღები, რომელიც გამოყენებული იქნება მომავალ ომში. ამის გარდა მანევრების დროს თვით კომკავშირი იმყოფებოდა ბრძოლის პირობებში და იღებდა უშუალო მონაწილეობას „შეტევა-უკან დახევაში", ისე, რომ კომკავშირმა უკვე მიიღო „ბრძოლის ნათვლა".

თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიონის კომკავშირის ლაშქრობამ, რომელიც მოეწყო თბილისში ამ რამოდენიმე კვირის წინად, უფრო გააღრმავა კომკავშირის სამხედრო ცოდნა და შესძინა მას ბრძოლის დროს საჭირო გამოცდილება.

შაბათს, 22 ოქტომბერს ეწყობა კომკავშირის თბილისის ყველა ორგანიზაციების ლაშქრობა, რომელშიაც იღებს მონაწილეობას 2500-ზე მეტი კომკავშირელი. ლაშქრობას ხელმძღვანელობს ამიერ-კავკასიის ქვეითი სკოლა, რომელმაც გამოჰყო ამისათვის 200 მეთაური. საერთოდ ლაშქრობაში მონაწილეობს ორი ათასი კომკავშირელი, ორასი მეთაური, ას ორმოცდაათი კომკავშირელი ქალი და ასი სანიტარული რაზმელი.

ლაშქრობაში მონაწილე კომკავშირელები შეიარაღებულ იქნებიან ყველა საჭირო იარაღით და საჭურველით, ისე, როგორც წითელი არმიელები.

ლაშქრობა იწარმოებს შემდეგი სახით: მონაწილენი დაიყოფიან ორ ლეგიონებათ. ერთი ლეგიონი—„წითლები" აწარმოებს შეტევას „ლურჯების" წინააღმდეგ, რომლებსაც უკავიათ თბილისი. „წითლების" მიზანია „ლურჯების" განდევნა ქალაქიდან და მისი დაპყრობა. „ლურჯები" ტოვებენ ქალაქს.

ლაშქრობას ექნება ნამდვილი ბრძოლის ხასიათი და ამისათვის დაცული იქნება ყოველი საბრძოლო წესები. ლაშქრობას არ შეუშლის ხელს ცუდი ამინდი, დაცული იქნება სამხედრო დისციპლინა, მოლაშქრეთა კვება იწარმოებს საველე სამზარეულოდან და სხვა.

როგორც მოითხოვს თანამედროვე ომი, ლაშქრობაში მიიღებენ მონაწილეობას ცხენოსნები ძიებისათვის, ჯავშანავტომობილები, ჯავშანმატარებელი და არტილერიის ორი ბატარეია.

„ბრძოლას" გაუწევს ხელმძღვანელობას „შტაბი", რომელშიაც შევლენ ამიერ-კავკასიის ქვეითი სკოლის უფროსი ამხ. კლემენტიევი და კომკავშირის ცეკას და რაიონების წარმომადგენლები.

ხუთშაბათს საღამოთი ლაშქრობაში მონაწილე კომკავშირელებმა მოიყარეს თავი ამიერ-კავკასიის ქვეითი სკოლის ეზოში. ლაშქრელები დაყოფილ იქნენ ცალკე ერთეულებად. ყოველ ერთეულს მიეცა თავისი ამოცანა და დაურიგდათ იარაღი და საჭურველი. აქვე სწარმოებდა საუბარი ლაშქრობიში დისციპლინაზე და ლაშქრობის სხვადასხვა მხარეებზე.

ირლანდიის მუშათა ლიგა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

იმ დროს, როცა ირლანდიის „მუშათა პარტია" უსიცოცხლო ორგანიზაციად გადაიქცა, რომელსაც რამდენიმე პოლიტიკურ ავანტიურისტი ექსპლოატაციას უწევს, „ირლანდიის მუშათა ლიგა" („Jrish Worker League") უკანასკნელ საარჩევნო კრიზისში გამოვიდა გარკვეული საარჩევნო პროგრამით. მისი პირველი ნაბიჯი დამაკმაყოფილებელი იყო.

ამ პროგრამამ, რომელიც დიდმა კაპიტალისტურმა პრესამ მიჩქმალა, მაშინვე მიიზიდა მუშათა კლასის ერთი ნაწილის ყურადღება. თუმცა დრო ცოტა ჰქონდა, მაგრამ ლიგამ დუბლინში ლარკინის სახელის გარშემო მაინც იმდენი ხმა შეაგროვა, რომ იგი პარლამენტში იქნა არჩეული.

—ეს პროგრამა რომ ცოტა უფრო ადრე შემუშავებულიყო და ფული არ გვკლებოდა, კიდევ ერთს დეპუტატსაც ავირჩევდით, მითხრა ლიმერიკის მუშების მეთაურმა.

უნდა ითქვას, რომ „ლიგის" მიერ შემუშავებული პროგრამა არ არის უბრალო საარჩევნო პლატფორმა. ორი დიდი ბურჟუაზიული პარტიის წინააღმდეგ, რომელთაც ვერავითარი გამოსავალი ვერ უნახავთ მრავალტანჯულ მწვანე ერინისთვის (ირლანდიისთვის), მუშათა „ლიგამ" ირლანდიის პრობლემა გარკვევით ახალ კლასობრივ საფუძველზე დასვა.

„ლიგის" მიზანია მუშათა რესპუბლიკის დამყარება, რომელიც მიწისა და კაპიტალის საზოგადო საკუთრებაზე იქნება დაყრდნობილი. ამ მიზნის მისაღ[illegible] სთვლის მუშათა პარტიის შექმნას, რომელიც კლასთა ბრძოლის პრინციპის მიხედვით ქალაქის და სოფლის მუშებსა და გლეხკაცობას შემოიკრებს და კავშირს დაიჭერს სხვა ქვეყნების რევოლიუციურ პარტიებთან. თავისუფალი სახელმწიფოს და ულსტერის *) პარლამენტარული კონსტიტუციის ადგილი მუშურ-გლეხურმა კონსტიტუციამ უნდა დაიჭიროს მთელი ირლანდიისთვის.

ფინანსიური უღლისგან თავის გასანთავისუფლებლად „ირლანდიის მუშათა ლიგა" მოითხოვს ეროვნული ვალის გაბათილებას, აგრეთვე უარის თქმას ინგლისის ვალის გადახდაზე. იგი მოითხოვს აგრეთვე მრეწველობის, ბანკების და ტრანსპორტის ნაციონალიზაციას და საკუთარი ეროვნული სავაჭრო ფლოტის შექმნას.

გლეხებისთვის „ლიგა" მოითხოვს მიწის ნაციონალიზაციას, მის გადაცემას სოფლის მუშებისა და ღარიბი ფერმერებისთვის. მუდმივი ჯარი „თავისუფალ სახელმწიფოში" და საგანგებო პოლიცია ულსტერში უნდა დაიშალოს, მათი ადგილი უნდა დაიჭიროს გლეხებისა და მუშების არმიამ, რომელიც ნებაყოფლობითი სამსახურზე იქნება დაყრდნობილი; უნდა დაწესდეს საგარეო ვაჭრობის სახელმწიფოებრივი მონოპოლია. ბოლოს კავშირი უნდა დამყარდეს სხვა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოებთან.

ამ საბოლოო მიზნებს „ირლანდიის მუშათა ლიგა" უშუალო მოთხოვნილებათა პროგრამას უმატებს. იგი მოითხოვს ყველა იმ უკულმართი კანონების გაუქმებას, რომლენიც ხალხის უფლებას ზღუდავენ. პოლიტიკური ტუსაღები ახლავე უნდა განთავისუფლებულ იქნან. უნდა მოისპოს ერთპიროვნული ადმინისტრაცია, მისი ადგილი საბჭოებმა უნდა დაიჭიროს პროვინციებსა და თემებში. პოლიცია ქალაქისა და სოფლის ადმინისტრაციის კონტროლს უნდა დაექვემდებაროს.

რაც შეეხება უმუშევრობას, იგი შემდეგ პრინციპს აცხადებს: „სამუშაოს ან სარჩოს მიცემა უმუშევრებისთვის ტრედიუნიონების ტარიფის მიხედვით". პენსიონერებს უნდა აეკრძალოს სამსახურში შესვლა, აგრეთვე აკრძალული უნდა იყოს ორ სამსახურზე მუშაობა.

„ირლანდიის მუშათა ლიგა" იბრძოლებს პროფკავშირული მთლიანობისათვის ეროვნულ და საერთაშორისო მასშტაბით. იბრძოლებს აგრეთვე ირლანდიის პროფკავშირების დამოუკიდებლობისათვის, დღეს ისინი ინგლისის ტრედიუნიონების კონტროლს ექვემდებარებიან.

მუშათა ბინების პირობები ირლანდიაში ბევრათ უფრო აუტანელია, ვიდრე სადმე სხვაგან დედამიწის ზურგზე. „ირლანდიის მუშათა ლიგა" მოითხოვს სახელმწიფოს მიერ ზოგიერთი სახლის ჩამორთმევას და ღარიბი ოჯახებისთვის გადაცემას; ანტისანიტარული უბნებისა და ქუჩების დანგრევას და ახალი სახლების აშენებას მუშებისთვის, დაუსახლებელი ადგილების დაჭერას ახალი შენობებისთვის და სხ.

სწავლა-განათლების საკითხი განსაკუთრებით მძიმე და მნიშვნელოვანია ირლანდიაში. „ლიგის" მინიმალურ პროგრამაში შედის ახალგაზრდა მუშების უფასო სწავლა და პრაქტიკული გაწვრთნა სახელოსნოებსა და ქარხნებში სათანადო კავშირების კონტროლის ქვეშ; სავალდებულო უფასო სწავლა განათლება 16 წლამდე.

გლეხებისთვის ირლანდიის მუშათა ლიგა მოითხოვს ვალების გაბათილებას, საიჯარო გადასახადების მოსპობას, სამეურნეო სკოლების გახსნას და სხ.

ამ პროგრამას დიდი მომავალი აქვს. ამას გაიგებს ყველა, ვინც შორი-ახლოს მაინც იცნობს იმ შემაძრწუნებელ პირობებს, რომელშიც ირლანდიელი ხალხი სცხოვრობს.

კ. დ—დ.

დუბლინი, 2 ოქტომბერი.

---

*) ირლანდია პოლიტიკურათ 1922 წლის შემდეგ ორ ნაწილათაა გაყოფილი: ე. წ. „თავისუფალ სახელმწიფოთ" მთავარ ქალაქ დუბლინით და ულსტერათ მთავარ ქალაქ ბელფასტით. ულსტერი დიდ ბრიტანეთის საზღვრებში შედის ინგლისსა და შოტლანდიასთან ერთად. რედ.

სხვადასხვა ენა—მთლიანი აზრი

(შთაბეჭდილებანი საბჭოს წევრ-ქალთა საკავშირო ყრილობისაგან)

წინეთ აქ "მირონცხებულთა" ბუნაგი იყო. თვითმპყრობელური ბრძანებელი „რუსეთის მიწა-წყლისა, „მოსკოვის სახელმწიფოს მეფე" აქ ატარებდა თავის „წუთისოფელს". მაღალი, კბილებ აშვერილი ქვის კედლებით შემოჭრილ ციხე-კოშკში სცხოვრობდა ის და მდიდრულად მორთული სასახლეები, სრა დარბაზები, სადაც ცხენი გაიჯირითებს, თვალის მჭრელი მორთულობა, მხოლოდ მისთვის იყო გამზადებული. ამ კედლებში გადარაზული, ფუფუნებაში და განცხრომაში ვინ იცის რამდენ იდიოტ გვირგვინოსანს უტარებია თავის ცხოვრება და ვინ იცის კიდევ რამდენი სისაძაგლის, გახრწნილების და ზნედაცემულების მოწმე ეს კედელი, საუკუნების განმავლობაში რომ იფარავდა თავის ზურგით „ზეცით კურთხეულ" მანეკენებს. დღეს აქედან მთელ ქვეყანას ახალი სიტყვა მოესმის და ღიპმომსულ კაპიტალისტთა ძარღვებს შიშის ჟრუანტელით აიტანს ხოლმე სიტყვები:

— მოსკოვი, კრემლი.

რევოლიუციის ბუდე თუ მოსკოვია, გული კრემლია და ამიტომ არის: ყოველი დიდი მოვლენა რევოლიუციის ისტორიაში—მშრომელთა უზენაეს ორგანოს, საბჭოების ყრილობა იქნება ეს თუ ლენინის პარტიის წლიური შეკრება—კრემლის სახელთან არის დაკავშირებული.

ამ უპირატესობას ჯერ-ჯერობით არავის უთმობს კრემლი. დიდი თეატრი თუ შეეტოლება მხოლოდ მას, ზეიმისთვის მორთულ-მოკაზმული, გაზრდილი და სართულებით დალაგებული. საქმიან მუშაობაში კი ვერც ის ეცილება კრემლის სასახლეს...

აი ეხლაც, სადაც არის თავდება კიდეც ერთ-ერთი დიდი კრებათაგანი, დიდი მსჯელობა. კრემლის კედლებში ეს რამოდენიმე დღეა მუშაობს საბჭოს წევრ-ქალთა საკავშირო ყრილობა. კრემლი დღეს ქალთა ბანაკად გადაქცეულა. ჯგუფებათ დადიან ისინი აქ და ცნობის მოყვარეობით ათვალიერებენ უჩვეულო სანახაობას.

დიდია ჩვენი კავშირი. მრავალი ერი და ტომია მის გაშლილ გულზე შრომაში გართული. ათასი ქალი გამოუგზავნია მას დღეს აქ, ათასი კუთხიდან, ათას ენაზე მოლაპარაკე დელეგატები. ყველა ისინი ხელისუფლების მონაწილენი, საბჭოთა ქვეყნის მმართველების მონაწილე და ჩუმი მუშაკი. ათას ენაზე გუგუნებს ბაასი აქ, მაგრამ საკვირველი ეს როდია: კრემლს პირველად როდი ესმის ნაირ-ნაირი კილოკავი თავის კედლებში. ათი წლის მანძილზე მას ბევრი რამ სმენია, როგორც შორეული აღმოსავლეთის ყინულოვან ველების, ისე შავი-ზღვის სანაპიროთა უხვი ბუნების შვილებისაგან.

საკვირველი აქ სულ სხვა გარემოებაა,—ის, რომ კრემლში ქალთა ყრილობაა, ხელისუფალ ქალთა ყრილობა, და ისიც—რომ ამ ყრილობაზე ქალები, შორეულ კუთხეებიდან მოსული ქალები—თამამ სიტყვებს გაიძახიან. საკვირველია აქ ის, რომ ამ თამამ სიტყვებს ის გაიძახის, ვინც დასაბამიდან ორმაგად იყო დამონებული: როგორც მშრომელი და როგორც ქალი. კიდევ უფრო საკვირველი, კიდევ უფრო უჩვეულო ის არის აქ, რომ აღმოსავლეთის ზნეჩვეულებათა სიმძიმით დატვირთული, ჩადრში გამოწყვდეული და სულშეხუთული ქალი დღეს დელეგატად ჩამოსულა როგორც ხელისუფლების მატარებელი თავის სოფელში. მოსულა და ჭკვიანად, დინჯად, დაფიქრებულად, როგორც შეჰფერის საქმის კაცს, მსჯელობს სახელმწიფოს ჭირ-ვარამზე. მართალია, ბევრმა არ იცის რუსული, ზოგი რუს-გლეხი ქალიც ისე ლაპარაკობს, რომ მის სიტყვებს თარგმანიც კი მოუხდებოდა, მაგრამ ეს როდი უშლის ხელს დელეგატებს გაიგონ ერთი-მეორე, მრავალნაირ კილოკავებზე; ყველასათვის საერთო, ყველასათვის ძვირფასი და ერთნაირად მისაღები ერთი აზრი გამოსთქვან:

— გზა მიეცით ქალს.

— ქალი ჩაება სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში. იქ, სადაც ყველაზე უფრო ძნელია ეს, სოფლად, მივარდნილ და მიყრუებულ აულებში, რკინის-გზის ხაზიდან კვირეების სავალზე, ტყეებით და საუკუნო თოვლით გადალობილ ციმბირის ფაცხებშიაც კი, იქაც, სადაც ათასეულ წლებით დამძიმებული ტრადიციები ეხლაც ბორკავენ ადამიანის თავისუფალ განვითარებას, ტურქმენისტანშიც და ტაიგებშიც, დასძლია ქალმა პირველი ზღუდე და საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზე მამაკაცს ამოუდგა გვერდში.

მართალია, ძნელი იყო ეს, ძნელია დღესაც, მაგრამ უფრო ძნელი, უფრო მძიმეთ გასაბედი პირველი ნაბიჯი გადადგმულია და ყალბი შეხედულებათა მაგარი, სქელი კედელიც გარღვეულია.

— სამსახროთ მიღებდენ გლეხები, არავინ მიჯეროდა,—ამბობდა ერთ-ერთი დელეგატი-ქალი კრემლის ტრიბუნიდან: როცა სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს, კაცებმა სასაცილოდაც არ იკმარეს, მაგრამ საქმეს რომ ხელი ჩავჭიდე, ისე წავიყვანე, რომ ეხლა ვაგლახად უხრდელ სიტყვას არავინ მაკადრებს, თითონ სცხვენიათ.

— ჩვენ, მუსულმან ქალებს კაცები ადამიანებათ არ გვთვლიდენ,— აცხადებს საქართველოდან ჩამოსული მუსულმანი ქალი, რომელსაც ჩადრი კარგა ხანია მოუცილებია, დღეს კი ყრილობაზე გამომიშვეს და მამაკაცებთან ერთად ჩემს სოფელშიაც ვმუშაობ საბჭოში.

— ქალი ქარხანაშიაც იკვლევს გზას, —აცხადებს მუშა ურალის ქარხნებიდან: წინათ მუშები მოტორებს როდი გვანდობდენ,—რა ქალის საქმეაო, — ეხლა, რა კი დავამტკიცეთ, რომ ჩვენც შეგვიძლია მოტორის მოვლა და ზოგჯერ უკეთ, ვიდრე მამაკაცებს, აღარ გვიშლიან.

მარტო თავიანთ ჭირ-ვარამზე როდი მსჯელობდენ ქალები. სახელმწიფო საქმეებზეც მეტად ზრუნავენ: წითელი ჯარი, თავდაცვის საქმე, სესხის გასაღება,—უმთავრესი საკითხებია, რომლებსაც თითქმის არავინ უვლის გვერდს, ლაპარაკის დროს—ყველა ამბობდა:

— დავიცავთ მშრომელთა სამშობლოს, დავიცავთ ჩვენს ქვეყანას, გავამაგრებთ და გავაძლიერებთ მას, მთელი ქვეყნის მშრომელთა მისაბაძ მაგალითად გავხდით.

აკი გახდა ის უკვე მთელი ქვეყნის მშრომელთა მისაბაძად.

გერმანიის წითელ ფრონტელ ქალთა დელეგატმა განაცხადა ეს თავის სიტყვაში, როცა „ჰინდენბურგის რესპუბლიკის" ქალთა ყოფა-ცხოვრება დაუსურათა ყრილობას. ძლიერ სწუხდა ის:

— როგორ მოვახერხო, რა სიტყვები გამოვნახო იმისათვის, რომ ყველაფერი ის, რაც აქ ვნახე, სავსებით და მთლიანად გადავცე გერმანელ მშრომელ ქალებსო.

ინგლისელ მშრომელ ქალთა დელეგაციის წარმომადგენლის გამოსვლამაც ცხადჰყო ერთხელ კიდევ, რომ ჩვენი ქვეყანა მთელი ქვეყნის მშრომელთა და განსაკუთრებით მშრომელ ქალთა მისაბაძ მაგალითად გადაიქცა.

— ეს გარემოება განსაკუთრებულ მოვალეობას გვაკისრებს, — განაცხადა ერთ-ერთმა ქალმა. ასეც არის.

ბევრია გაკეთებული, მაგრამ უამრავია გასაკეთებელი. დაწყებულია ქალთა საქმეში ჩაბმა, მაგრამ ჯერ კიდევ შორსა ვართ იქამდე, რომ ქალი მამაკაცის თანასწორი გავხადოთ საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა დარგში.

— ამომრჩეველთა ერთი ნახევარი ქალებია,—სთქვა ამხ. ენუქიძემ მოხსენებაში:

— საბჭოთა ორგანოებში კი საერთო რიცხვის 15 პროც. ძლივს მუშაობს. ხელმძღვანელ საბჭოთა ორგანოებში ქალები თითზე ჩამოითვლებიან.

— განა ბევრია სამაზრო, საგუბერნიო აღმასკომების თავმჯდომარე ქალები.—კითხულობდა ამხანაგი კოლლეგინა თავის თანამოხსენებაში.

მთელი მუშაობა იქითკენ, რომ უფრო მეტად ჩავაბათ ქალები საბჭოთა ორგანოებში. მთელი მუშაობა იქითკენ, რომ ნამდვილად, სავსებით გავანთავისუფლოთ ქალი ძველი ჯაჭვებისაგან, გამოვიყვანოთ ის თავისუფლების ფართო გზაზე, ამოვიყენოთ გვერდში ჩვენი ქვეყნის განმტკიცებისა და აღმშენებლობის საქმეში—აი, რა სთქვა ყრილობამ სხვადასხვა ენაზე, ათასნაირ კილოკავებზე, მაგრამ ყველასათვის გასაგებად.

აი, რა ითქვა იქ, სადაც წინეთ „მირონცხებულთა" ბ[illegible] იყო[illegible]

[illegible]ვა-ვაჟებით იქნება სწავ[illegible]ძე.

ილიკო. ქ[illegible]ერი.

პარტიული ცხოვრება

თბ. ორგ. რაიონული კონფერენციები

ლენრაიონის მე-8-ე პარტკონფერენცია

კონფერენციის დახურვა

კონფერენციის დადგენილება

20 ოქტომბერს საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. ჟიგალცევის მოხსენება სამანდატო კომისიის მუშაობის შესახებ.

კონფერენციაზე სულ დაესწრო 363 დელეგატი, მათგან გადამწყვეტი ხმით 283 კაცი დანარჩენი კი სათათბირო ხმით.

სოციალური მდგომარეობით მუშები—77,8 პროც., გლეხები—2,40 პროც., მოსამსახურენი—19,8 პროც.. ეროვნების მხრივ უმრავლესობა ქართველები—56,3 პროც., პარტსტაჟით 1905 წლიდან 1920 წლამდე, ე. ი. არალეგალური მომუშავენი—41,5 პროც.

სამანდატო კომისიის მოხსენების დამტკიცების შემდეგ კონფერენცია შეუდგა ახალ რაიკომის შემადგენლობის არჩევას.

ლენ-რაიკომის ახალი შემადგენლობა

მ. კახიანი, ქავთარაძე გ., კოჩეტკოვი ი., ქართველიშვილი ლ., სვანიძე ნ., ფანცულაია დ., გუდავაძე გ., ლელაშვილი გ., ჟორჟოლაძე ი., ვოლსკი ი., სულავა კ., გელაშვილი ი., ელიაშვილი ნ., ზაქრაძე ს., თაქთაქიშვილი მ., გელენიძე ტ., მაკაროვი ნ., ვაშაკიძე ვ., ქართველიშვილი მ., გარიშვილი ს., როთველაძე გ., ორეშკინი ი., ბარსეგოვა ა., იტრიევი ი., ჩიჩიევი ა., ჯეჯელავა ვ., ფურცვანიძე ა., მორჩილაძე ი., ზაკამოლდინი ს., საბაშვილი ტ., ფირცხალავა ე., ხუბულური ი., ჟიგალცოვი დ., ივანოვი კ., ფირცხალავა ა., პოპოვი გ., მონტინი გ., პერვუშინი ა. ინაური ი., კალანდია ზ., ვართანოვი ბ., ხუბოვ ა., აკიმოვ ვ., ნონიკაშვილი ი., ანდრიანოვი ი., კისინოვი ი., გურაზაშვილი ა., კლემენტიევი, ბაგდანოვი, ეულუდევი, ნოვოსელსკი, კლიმონოვი, როსტიაშვილი ფ., ციწცაძე ბ., ბოიკინი გ., თავშავაძე ი., თაქთაქიშვილი ი., შავიშვილი ტ., ბეჟანოვი ., კოგალაშვილი ბ., ლაშქარაშვილი ბ., ხელაია ა., ხუბულური გ., გამემანი ხ., კოზაევი ვ., ასლამაზოვი ე., ნაცვლიშვილი ბ., გურჯიაშვილი ი., ქორიძე ა., ბარამიძე ბ., მასლოვსკი ბ., აზრუმელაშვილი ლ., ფოფხაძე ს., კალანდაძე ა., ზაგავორსკი პ., ბახტაძე ს., გეორგაძე მ., ვარლამოვი გ., სართანია გ., გეორგობიანი გ.

კანდიდატები:

ამხ. გელაძე ი., ნიჩუგოვსკი, კუბიაშვილი, კლდიაშვილი, მართოზოვი, ფარეზოვი, სანაკოევი, კიკნაძე, ჩიხრაძე ი., გაგნოევი გ., ათაბეგოვი, ფხაკაძე, ზენაიშვილი, ნასყიდოვი, რუხაძე, ძიგოვსკი, შენგელია ი., ვარლამოვი ლ., ჩხეიძე ლ., თოფჩიშვილი გ.

ახალ რაიონულ კომიტეტის შემადგენლობაში სულ არჩეულია 122 ამხანაგი.

სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან შემდეგი ამხანაგები: წევრებად: ამხ. მუნდიკოვი, ისაიძე, ბეჟანოვი, თავდიშვილი, ქართველიშვილი.

კანდიდატებად: ამხ. ფედოტოვი და იოლიძე.

დელეგატები თბ. კონფერენციაზე

კონფერენციამ აირჩია აგრეთვე შემდეგი დელეგატები თბ. საქალაქო პარტკონფერენციაზე: კახიანი, ქართველიშვილი, ლოლობერიძე, მიხა ცხაკაია, ასრიბეკოვი, სვანიძე, ფანცულაია, გუდავაძე, ჟორჟოლაძე, ქავთარაძე, ლელაშვილი, ვოლსკი, სულავა, გელაშვილი, ელიაშვილი, ზაქრაძე, თაქთაქიშვილი, მაკაროვი, გეგეშიძე, ვაშაკიძე, ქართველიშვილი მ., გარიშვილი, როთველაძე, აკიმოვი, იტრიევი, ბარსეგოვა, კოჩინევი, ფურცვანიძე, ჯეჯელავა, ორეშკინი, მორჩილაძე, ზაკამოლდინი, საბაშვილი, ხუბულური, ჟიგალცოვი, ვარლამოვი დ., ივანოვი, ჩხეიძე, პოპოვი, შენგელია, ძიგოვსკი, რუხაძე, მონტინი, პერვუშინი, ინაური, ხუბოვი, ნონიკაშვილი, ანდრიანოვი, მქიტაშვილი, კალანდია, კოჩეტკოვი, ვართანოვი, გურასაშვილი, როსტიაშვილი, ციწაძე, ბოიკინი, თავშავაძე, თაქთაქიშვილი, შავიშვილი თამარა, ზენაიშვილი, მგელაძე ფოფხაძე, გაგლოევი, კიკნაძე, ჩიხრაძე, ბახტაძე, ზაგოროვსკი, ქორიძე, გერმინი, გიორგაძე, ვარლამოვი, სანაკოევი, ოსკანოვი, სილაძე ჟორა, შოგირაძე შენგელია, ვასილენკო, სიდოროვი, სტარცევი, ლაშქარაშვილი, ფირცხალავა, ფარეზოვი, ბარამიძე, გიორგობიანი, კოჩინევი, შთვარელიძე, სუხიშვილი, შეპელევი, მოროზოვი, იაშვილი, ნასყიდოვი, კლდიაშვილი, ბერიაშვილი, კილაძე, ნიჩუგოვსკი, ასლამაზოვი, გნოლიძე, ბეჟანოვი, გურგენიძე, იოვიძე, სართანია, ნადირაშვილი, მარტინოვი, ზერეკიძე, ვასილიევი, სნეგირევი, კლემენტიევი, ბაგდანოვი, ორლოვი, ეულუდევი, შელია, გულიანი, ნოვოსელსკი სლავინი, ნიკინი, ბულგულიანი.

სათათბირო ხმით ამხ. ბეჟანოვი, აზრუმელაშვილი ლევან, თოფჩიაშვილი, გურაზაშვილი, ხუბულური, კოზაევი, გლინსკი, ქართველიშვილი, კუჭლავაშვილი, კაკანიშვილი, ბიბილური, ხუნდაძე, ინაური, მელვინიშვილი, კისინოვი, დოლიძე, ფილიპოვი, თოფურიძე, მაკაროვი, ზოზარაშვილი, ლუნჩაძე, ამირანაშვილი, გრიქუროვი, ნოზაძე ილო, შიშკინი კარპოვი, ფედოტოვი, ნიგერაშვილი, ათაბეკოვი, ქობულაშვილი, ქებაძე, დიკი, ჰორხონელიძე, თავდიშვილი, მამისარაშვილი, გაჯიევი, მოკშინი, განიევი, როზენბაუმი, მნიცაკანიანი, კლიმანოვი, მედვედიევი, კვარაცხელია, ქურდაძე, ვახირევი.

კონფერენცია დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

არსრაიონის მე-9-ე პარტკონფერენცია

მეოთხე სხდომა

გუშინ საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი პარტიის და კომ. კ. რაიკომის მოხსენებათა გარშემო. კამათი სავსებით საქმიან ხასიათს ატარებდა, მოკამათენი აღნიშნავდენ როგორც მიღწევებს, ისე ნაკლს.

ამხ. ჩიხრაძემ და ორლოვმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ საჭიროა დაწინაურებულ მუშების კვალიფიკაციის აწევა, რადგანაც მათზე სუსტ ხელმძღვანელობის გამო ხშირად დაწინაურებული მუშები მათთვის ახალ საქმეს ვერ ეთვისებიან.

ამხ. მირაზიანი შეჩერდა პარტ-აქტივისტთა შორის მუშაობაზე და განაცხადა, რომ მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ წრეში ჩაბმული იყო 100 აქტივისტი, მაშინ, როდესაც რაიონში დაახლოვებით 500-მდე აქტივისტი მოიპოვება. პოლიტ-მეცადინეობას გასულ სამოსწავლო წელში აფერხებდა ხელმძღვანელთა გადატვირთვა. ამასთანავე პოლიტსკოლების ქსელის დაგვიანებით მოწყობა.

ეს დეფექტები სთქვა ამხ. მირაზიანმა, მიმდინარე წელში გათვალისწინებულია და დარწმუნებული ვართ, რომ პოლიტ. მეცადინეობა წელს სავსებით ნორმალურ პირობებში იწარმოებს.

ამხ. სირაძე აღნიშნავდა ილმზრდელობითი მუშაობის გაღრმავებას კომკავშირელთა შორის საუკეთესო პარტ - ძალების მიმაგრებით და პარტიული გავლენის გაძლიერებით. სასწავლებლებში კი კომუნისტ პედაგოგთა პერსონალის გადიდებით.

ამხ. დარჩიევი აღნიშნავს, რომ რაიკომის სწორი ხელმძღვანელობით და მიღებულ ღონისძიებების თანდათანობით ნიადაგი ეკარგება დაწესებულებებში ბიუროკრატიზმს.

ამხ. სპირიდონოვი კომკავშირის მუშაობის გამოცოცხლების შესახებ აღნიშნავს, რომ საჭიროა პარტ - ძალების გამაგრება და ახალი ცოცხალ და შინაარსიანი ფორმებით მუშაობა. კ. კ. უჯრედებში.

ამხ. მიხაილოვა კონფერენციის ყურადღებას მიიქცევს იმ გარემოებას, რომ ქალთა შორის მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცევა უჯრედების მხრივ და ხშირად ქალთა ორგანიზატორად ირჩევენ უპარტიო ამხანაგს., რაც შეეხება სადელეგატო კრებებს, მან წელს დადებითი შედეგები მოგვცა.

დასასრულს საბოლოოს სიტყვაში ამხ. მზარაულიშვილი შეჩერდა უმუშევრობაზე და განაცხადა, რომ რაიკომი უმუშევრობის წინააღმდეგ ღებულობს გადამწყვეტ ზომებს, აღსანიშნავია, რომ უმუშევარ მუშათა შორის უმრავლესობა უკვალიფიკაციო ამხ. არიან.

წითელარმიასთან კავშირი მოისუსტებს; მომავალში აუცილებელია ასეთის განმტკიცება. რაც შეეხება დადგენილებათა შემოწმებას, ასეთს რაიკომი განსაკუთრებით აქცევდა ყურადღებას.

აუცილებელია მომავალში ზომების მიღება მასიური მუშაობის გამოცოცხლების მიზნით.

დასასრულ ამხ. მზარეულიშვილი ამბობს რომ ახალი რაიკომი მიიღებს მხედველობაში კონფერენციის მიერ მიცემულ ყველა დირექტივებს. კამათის დამთავრების შემდეგ კონფერენციის მიერ პარტიის და კომკავშირის რაიკომის მოხსენების ირგვლივ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც იგი რაიკომის მუშაობას და მის მიერ აღებულ პოლიტიკურ ხაზს სთვლის დამაკმაყოფილებლად. დღევანდელ სხდომაზე მოხდება რაიკომის წევრთა არჩევნები.

დევაძე.

მე-3-ე რაიონის მე-8-ე პარტკონფერენცია

რაიკომის ანგარიში

რაიკომის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ტერ-ვართაპოვი. მომხსენებელი ჩერდება ეკონომიურ მდგომარეობაზე და ამბობს: ჩვენს რაიონში უმთავრესი საწარმოო ერთეულები ტყავ-ტრესტი და საპნის მზარშავი ტრესტია. ტყავ-ტრესტის მდგომარეობა უკანასკნელ ხანებში გამოსწორდა. თუმცა მისი წარმოების რაციონალიზაციასთან დაკავშირებით მოხდა რამოდენიმე პროცენტით მუშების შემცირება. საერთოდ ხელფასი გაიზარდა. რაც შეეხება საპნის მზარშავ ქარხანას მისი ფინანსიური მდგომარეობა ცუდია. პროფ. და პარტ ორგანიზაციების საშუალებით უნდა გამოვასწოროთ ამ ქარხნის მდგომარეობა.

პოლიტიკური მდგომარეობა

რაიონში აქტიობა უპარტიო მუშებში ძალზე გაიზარდა, რისი საუკეთესო მაჩვენებელიც არის მთელი რიგი კამპანიები, უპარტიო მუშების მასიურად მონაწილეობა. ამის საუკეთესო მაჩვენებელი იყო ფართე უპარტიო მუშათა კონფერენცია, სადაც გამოდიოდენ მუშები, აწარმოებდენ ჯანსაღ კრიტიკას და სხვა. აგრეთვე საბჭოების გადარჩევის დროს უპარტიო მუშები დასახელებულ კანდიდატებს—კომუნისტებს უჭერდენ მხარს. რაიონში პარტიის გავლენა და ავტორიტეტი მუშებში გაიზარდა.

პარტიის ზრდა

ამ დარგში ჩვენ გვაქვს მიღწევები. თუმცა მეშვიდე კონფერენციის მიერ მოცემული დირექტივა, პროლეტარული ბირთვი ჩვენი ორგანიზაციისა მიგვეყვანა 80 პროც., ვერ შევასრულეთ, მაგრამ ამას თავის გამომწვევი მიზეზები ქონდა. უკანასკნელ ხანებში პარტიის ზრდა მიმდინარეობდა მხოლოდ მუშების ხარჯზე. ახალ მიღებულ კანდიდატებს შორის 95 პროცენტი მუშებია. თუ წარსულ წელში ჩვენს ორგანიზაციაში 78 პროცენტი შეადგენდა პროლეტარულ ბირთვს, და წელს კი ვერ გაიზარდა ორი პროცენტით, ეს აიხსნება ორგანიზაციაში წევრთა მოძრაობით, რომლის დროსაც მუშები გადავიდენ სხვა ორგანიზაციებში მეტი, ვიდრე მოვიდენ—და მოსამსახურეები კი მოვიდენ მეტი, ვიდრე გავიდენ.

საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა

აგიტპროპკოლეგიის სხდომა იყო სულ 15. გაირჩა 52 საკითხი. შარშანდელ წელს პოლიტსკოლებში სწავლობდა 605 მსმენელი, გამოშვებულ იქნა 76 პროც. რაიონში არსებობს აგიტპროპმუშაკის კაბინეტი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს თვითგანვითარების წრეებს, წელს გაიხსნება მიმდინარე პოლიტიკის წრეები, საგნობრივი წრეები, პირველი და მეორე საფეხურის პოლიტსკოლები, საღამოს საბჭოთა პარტიული სკოლები და სხვა. მათში უნდა იმეცადინოს სულ 1,074 მსმენელმა.

შინა-პარტიული მდგომარეობა

მიმდინარე კონფერენციაზე გამოვიდენ ადგილობრივ ოპოზიციის წარმომადგენლები. მათ საწინააღმდეგოთ კამათში ჩაეწერნენ 75 ამხანაგი. ვინც კი მოასწრო ლაპარაკი, შესაფერისი პასუხი გასცეს ოპოზიციას. ეს აშკარად ლაპარაკობს ჩვენი ორგანიზაციის იდეურ ჯანმრთელობაზე. ჩვენმა რაიონმა ამ მხრივ გამოიჩინა სრული სიმტკიცე და სწორი მიდგომა. ორგანიზაციამ მიუთითა ოპოზიციონერებს და მოითხოვა მათგან დაემორჩილონ პარტიის დადგენილებებს.

მე-4-ე რაიონის მე-10-ე პარტკონფერენცია

კონფერენციის გახსნა

გუშინ, ახალ მუშათა კლუბის შენობაში გაიხსნა მე-4 რაიონის პარტიული კონფერენცია. ამხ. გორდელაძის წინადადებით საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: კახიანი, ქართველიშვილი, ლოლობერიძე, ჟორჟოლაშვილი, სვანიძე, სუხიშვილი, ასრიბეკოვი, თოდრია, ბოლქვაძე, კვანტალიანი, მორჩილაძე, კუდრიავცევი, მაისურაძე, იავნიტინსკი, ნიკიტინი, რუხაძე, სალუქვაძე, ჩხეტიანი, მარკოვა, სიხარულიძე, მალანია, მელკუევი, სიხაშვილი, ლიაპინი, გაბუნია, მოტკო, ავეტისოვი, ხანაძე, პეტროვი, ოკუჯავა შალიკო, მარკაროვი, და ანდრიაძე; **სამანდატო კომისიაში** — ტიტიკოვი, მარკოვი, აგიტაშვილი, ხომრიანი, ფომინი, მინცევი, და ცილმანი; **სამდივნოში** გორდელაძე, ადამიძე, გეგენავა, ჯიმუხიძე, გვანცელაძე, ლარიონ.

საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ: ამხ. სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი, ვოროშილოვი, კალინინი, მოლოტოვი, რუძუტაკი, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი მამია, ცხაკაია, მახარაძე, ელიავა, და ნაზარეტიანი.

ა.-კავკასიის პარტორგანიზაციათა უმაღლესი ორგანოს სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. მიხა ცხაკაია. ამხ. მიხა ვრცლად შეეხო ჩვენს შინაპარტიულ და საერთაშორისო მდგომარეობას და უსურვა კონფერენციას, რომ იგი ყოფილიყოს პროლეტარული პარტიის ურყევი მთლიანობის საუკეთესო ნიმუში.

ამხ. კახიანის მოხსენება

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. კახიანის მოხსენება შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი პირველად ეხება შინაპარტიული ბრძოლის გამწვავებას და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს; უკანასკნელ ხანებში, და აღნიშნავს, რომ ოპოზიციას თავის გამთიშველი მუშაობით ეხლანდელ პირობებში განსაკუთრებით დიდი ვნების მოტანა შეუძლია.

ცეკას აგვისტოს პლენუმმა, იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებია პარტიის მთლიანობა და მიეცა ოპოზიციისათვის თვითგამორკვევის საშუალება, დასტოვა ამხ. ტროცკი და ზინოვიევი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. ოპოზიციამაც პლენუმს მისცა დაპირებები, მაგრამ ჩვეულებრივად სულ რამოდენიმე დღის შემდეგ, დაარღვია თავისი სიტყვა.

იგი იაროსლავსკის ვაგზლის ცნობილი ამბის შემდეგ კიდევ უფრო ანვითარებს ანტი-პარტიულ მუშაობას და მიდის არალეგალური სტამბის მოწყობამდე. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა განხილულ იქნეს, როგორც ახალი პარტიის შექმნის ცდა.

პარტია ცდილობს მთლიანი რიგებით წარსდგეს მე-15 პარტ-ყრილობის წინაშე, ოპოზიცია კი თავისი დეზორგანიზატორული მუშაობით არღვევს ამ მთლიანობას; ოპოზიციას ჰსურს ჩაშალოს ყრილობის მოსამზადებელი მუშაობა, მაგრამ პარტია მაინც ისე ჩაატარებს ყრილობას, როგორც საჭიროა.

შემდეგ ამხ. კახიანი გადადის ადგილობრივ ოპოზიციის დახასიათებაზე, აღნიშნავს, მის „უკლონისტურ" წარსულს და განმარტავს, რომ იგი სრულიად უპრინციპოდ შეუერთდა ცენტრის ოპოზიციას.

უკანასკნელ ხანებში — განაგრძობს მომხსენებელი — ოპოზიციამ თვით სვანეთშიაც კი, გადაიტანა თავისი მუშაობა, მაგრამ ვერსად ვერ მოახერხა თანაგრძნობის მოხვეჭა.

შემდეგ მომხსენებელი დოკუმენტებით ხელში ამტკიცებს, რომ ოპოზიციონერები ყოველ ნაბიჯზე არღვევენ პარტდისციპლინას და არ ემორჩილებიან პარტიის უზენაეს ორგანოთა დადგენილებებს.

„ჩვენი პარტია ლენინური დროშით ხელში წავა მეხუთმეტე ყრილობისაკენ და სამუდამოთ დამარხავს ტროცკიზმს, პოლიტიკურ სასაფლაოზე" — ასრულებს მოხსენებას ამხ. კახიანი.

კამათი მოხსენების გარშემო

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი პირველად გამოდის ამხ. აკირტავა, რომელიც პრინციპიალური საკითხების ნაცვლად მთელ დროს ანდომებს უბრალო მითქმა-მოთქმას ცალკე ამხანაგების პირადი თვისებების შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე შემდეგმა ამხანაგებმა.:

ბობოხიძე — ცდილობს მოიხსნას ოპოზიციის ბრალდება მეორე პარტიის შექმნის შესახებ და აცხადებს, რომ ეს ბრალდება უსაფუძვლოა. მაგრამ მისი თავის მართლება უბადრუკ შთაბეჭდილებას სტოვებს.

სუხიშვილი — აღნიშნავს, რომ ოპოზიციონერებს პრინციპიალურ საკითხებზე მსჯელობის ნაცვლად ეხერხებათ პირად საკითხებზე ლაპარაკი, ეხება ამხ. აკირტავას და ბობოხიძის სიტყვებს და აშკარავებს მათ უმწეობას.

შემდეგ ილაპარაკეს ამხ. რუხაძემ, ოპოზიციონერმა ი. კიკნაძემ, ვანო ბოლქვაძემ, კოსტიურენკომ, მიხა ცხაკაიამ, და სხვ.

საბოლოო სიტყვაში ამხ. კახიანმა პასუხი გასცა გამოსულ ორატორებს, რის შემდეგაც კონფერენციამ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს გადაჭრილ ზომების მიღებას ოპოზიციის წინააღმდეგ და პარტიის მთლიანობის დასაცავად.

დემობილიზაციით დათხოვნილ წითელ-არმ. შესახებ

(საკ. კომ. პარ. (ბ) ცკას დადგენილება)

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. საკ. კომ. პარ. (ბ) ცკა უდიდეს მნიშვნელობას აძლევს დემობილიზაციით დათხოვნილ წითელარმიელთა სწორ გამოყენებას საბჭოთა, კოოპერატიულ, სამეურნეო და კულტურულ - განმანათლებელ მუშაობაში და ამიტომ დაადგინა დემობილიზაციით დათხოვნილი, პარტიულად მომზადებული წითელარმიელები — საკ. კომ. პარ. (ბ) და საკ. ახ. ლენ. კომ. კავშირის წევრები, რომლებიც სოფლებში ბრუნდებიან, გამოიყენოს სოფლის ქვედა-საბჭოთა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ აპარატში.

ცკა წინადადებას იძლევა, რომ საზოგადო ამორჩევითი თანამდებობებზე წამოყენებულ იქნან აქტიური და პარტიასთან უფრო ახლო მდგომი შვებულნი, სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებისა და წევრების, სათემო აღმასკომებისა და ურთიერთ დამხმარე კომიტეტების წევრების ხაზით. ცკა აგრეთვე წინადადებას იძლევა, რომ ეს შვებულნი ფართოდ იქნენ ჩაბმული პოლიტიკურ საგანმანათლებლო ორგანიზაციებში.

ქვეყნის თავდაცვის საკითხებისადმი და მოსახლეობაში სამხედრო ცოდნის გავრცელების საქმისადმი საზოგადოებრივი ყურადღების გაძლიერების მიზნით, შვებული წითელარმიელები ფართოდ უნდა იქნენ გამოყენებული სამხედრო პროპაგანდის ჩატარებაში, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებისა და აგრეთვე სამკითხველოებთან არსებულ სამხედრო კუთხების მუშაობაში აქტიურ მონაწილეთა და სპორტულ და სასროლო წრეების ხელმძღვანელთა სახით. (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ცკა კოლექტ. მეურნ. გადარჩევის შესახებ

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სათანადო პარტიული ხელმძღვანელობა და საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა კოლექტიურ მეურნეობათა მიმდინარე საანგარიშო — გადარჩევის კამპანიაში, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკა იძლევა წინადადებას, რომ ამ კამპანიას მიეცეს მასიური ხასიათი, რისთვისაც მასში უნდა იქნენ ჩაბმული სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების მოსახლეობის ფართო მასები, გლეხობის საურთიერთო დამხმარე საზოგადოებათა კომიტეტები, დელეგატი ქალები და კომკავშირი. კამპანიის ჩატარების დროს საჭიროა გამოირკვეს მიღწევები და დეფექტები კოლექტიურ მეურნეობათა მუშაობაში, დაისახოს პრაქტიკული ზომები მათ განსამტკიცებლად; კამპანია გამოყენებულ უნდა იქნას იმისათვის, რომ გაძლიერდეს კოლექტიურ მეურნეობებისათვის საორგანიზაციო - სამეურნეო სამსახურის გაწევა კოოპერატივების, სამიწათმოქმედო და სხვა ორგანოების მიერ; უნდა გამოირკვეს ცრუ კოლექტიური მეურნეობები და ზომები უნდა იქნას მიღებული მათ სალიკვიდაციოთ; გაერთიანების გარეშე მყოფი კოლექტ. მეურნეობანი ჩაბმულ უნდა იქნან სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში; აგრეთვე ზომები უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ კოლ. მეურნეობათა სამმართველო ორგანოებში ჩაბმულ იქნენ რაც შეიძლება მეტი პარტიის წევრები და უპარტიოები ღარიბ მოსახლეობიდან, აგრეთვე ქალები და ახალგაზრდობა. (ადს)

შორს ჩვენი რიგებიდან

ტაშკენტი, 19 ოქტომბერი. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რწმუნებულთან არსებულ პარტსამეულმა, პარტიიდან გამორიცხა თუმაილოვი, პარტიის წევრი 1920 წლიდან, თურქმენისტანის კომ. პარ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის ყოფილი წევრი. თუმაილოვი, სარგებლობდა რა მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატით და სხვა დაწესებულებებით, ავრცელებდა საიდუმლო საბუთებს და უჯრედებს უგზავნიდა ფრაქციულ ლიტერატურას. თურქმენისტანის კომ. პარ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ თავის დროზე გაკიცხა და გააფრთხილა თუმაილოვი. მიუხედავათ ამისა, ის მაინც განაგრძობდა ფრაქციულ მუშაობას და არ სწყვეტდა კავშირს ოპოზიციონერებთან, რისთვისაც მიმართავდა ანტი-პარტიულ საშუალებებს. თუმაილოვი ეთანხმებოდა პრეობრაჟენსკის განცხადებას საიდუმლო სტამბის გარშემო. საქმე თუმაილოვის პარტიიდან გარიცხვის შესახებ დასამტკიცებლად გადაეგზავნა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას. (ადს).

პარტიული მასა ერთსულოვნად გმობს ოპოზიციას

ბორჯომი

ქალაქის ორგანიზაციის აქტივის კრებამ მოისმინა ამხ. გურჯიევის მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ. კრებამ მოხსენების გამო მიიღო რეზოლიუცია, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„აქტივის საქალაქო კრება აღშფოთებას გა[illegible] სთქვამს იმის გამო, რა[illegible] და დღესვე დაიწყება [illegible]ნასკნელ ხანებში: არალეგალური სტამბის მოწყობა, საიდუმლო პარტიული დოკუმენტების ანტისაბჭოთა უპარტიო ელემენტებთან გამომჟღავნება და სხვა იმის დამამტკიცებელია, რომ ოპოზიცია და მისი ბელადები არა თუ არ ასრულებენ 8 აგვისტოს განცხადებას, არამედ იმაზე გადადიან პარტიის წინააღმდეგ შეტევაზე და უფრო აღრმავებენ ფრაქციულ მუშაობას.

ბორჯომის პარტაქტივის კრება კატეგორიულათ მოითხოვს მაღლა მდგომ პარტორგანოებისაგან, რომ მე-15 პარტყრილობამდევე გამოყვანილ იქნან ცეკასა და ცენტრალურ საკ. კომ. შემადგენლობიდან ის ოპოზიციონერები, რომლებიც არ იშლიან თავიანთ დეზორგანიზატორულ მუშაობას და პარტიას გათიშვის საფრთხეს უმზადებენ".

შუშის ქარხანაში.

ბორჯომის შუშის ქარხნის პარტორგანიზაციის დახურულ კრებამ მოისმინა ამხ. გალუსტოვის ვრცელი მოხსენება ოპოზიციის დეზორგანიზატორულ და პარტიის გამთიშველ მუშაობის შესახებ. რეზოლიუციაში, რომელიც მიღებულია მოხსენების გარშემო, ნათქვამია:

„ოპოზიცია ყოველგვარ საშუალებას ხმარობს პარტიის წინააღმდეგ საბრძოლველად, აწარმოებს ფრაქციულ მუშაობას, აბამს ამ მუშაობაში უპარტიო და ანტისაბჭოთა ელემენტებს, ავრცელებს ანტიპარტიულ საბუთებს და საზიზღარ ჭორებს ჩვენი ლენინური ცეკას წინააღმდეგ. გააფთრებული ბრძოლა გზააბნეულ ოპოზიციისა მიდის იქამდე, რომ ის მიზნათ ისახავს პარტიის გათიშვას და ჩვენს რიგებში არევ-დარევის შეტანას... მიუხედავად პარტიულ მასების, ერთსულოვან მოწოდებისა ოპოზიციისადმი, რომ ამ უკანასკნელ უკუეგდო გამთიშველი ფრაქციული მუშაობა და დამდგარიყო ლენინიზმის სწორ გზაზე, ოპოზიცია მაინც არ იშლის „საგმირო" ანტიპარტიულ საქმიანობას. ამიტომ კრება შეუძლებლად სთვლის ოპოზიციის შთაგონებითი საშუალებებით გამოსწორებას და სწორათ მიაჩნია მას ცეკასა და ც. საკ. კომ. დადგენილება პრეობრაჟენსკისა და სხვა გაუსწორებელ ოპოზიციონერების პარტიიდან გარიცხვის შესახებ".

ფოთი

ამას წინათ შესდგა ფოთის ორგანიზაციის 6 კომუჯრედის გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო პარტიის 137 წევრი და კანდიდატი. კრებაზე ვრცელი ინფორმაციული მოხსენება გააკეთა პარტკომის პ.-მ. მდივანმა ამხ. ჭოჭუამ, რომელიც შეეხო ოპოზიციის უკანასკნელ გამოსვლებს. ამხ. ჭოჭუას შემდეგ ამავე საკითხზე გამოვიდა მოხსენებით ამხ. შამშე ლეჟავა. რეზოლიუციაში, რომელიც კრებამ მიიღო მოხსენებათა გარშემო, ნათქვამია:

„კრება ერთსულოვნად იწონებს ტროცკისა და ვუიოვიჩის კომინტერნის აღმასკომიდან გამორიცხვას და მოითხოვს პარტიის მთლიანობის დასაცავად ტროცკისა და ზინოვიევის გამოყვანას საკავშირო კომპარტიის ცეკას შემადგენლობიდანაც.

კრებას სავსებ[illegible]ათ მიაჩნია ფოთის კ[illegible]მიტეტის მიერ მიღებული ზომები, რომლი[illegible] გამოიხატება გა[illegible]ელ უკლონისტების პარტიიდან გამორიცხვაში. კრება ავალებს პ[illegible]რტიულ კომიტეტს მომავალშიაც მტკიცეთ გადაუხვევლად შეებრძოლოს ტროცკისტულ ოპოზიციის დე[illegible]იზატორულ მუშაობ[illegible] გადაგვარებულ ელემენტების პარტიიდან გა[illegible]ვებით.

კრება მოუწოდებს გაუგებრობით ტროცკისტულ ოპოზიციაში მოქცეულ ამხანაგებს აღიარონ თავისი შეცდომები და დაუბრუნდენ ლენინურ პარტიას".

რაჭა

ამას წინათ შესდგა სოფ. სადმელის, ბუგეულის და ზნაკვის უჯრედების გაერთიანებული კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენება გააკეთა სამპარტკომის პ.-მ. მდივანმა ამხ. კანდიდ გობეჯიშვილმა. მომხსენებელი შეეხო საკ. კომპ. (ბ) ცკასა და ც. საკ. კომ. აგვისტოს გაერთიანებულ პლენუმის შედეგებს, კრებამ მოხ[illegible] გამო ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სხვათა შორის ვკითხულობთ:

„მიუხედავად მრავალგვარი დაპ[illegible] ოპოზიციის მიერ, რომ ის უარყოფს ფ[illegible] მუშაობას, მისი დეზორგანიზატორულ[illegible]ბა მეტი გააფთრებით გრძელდება. მა[illegible] პარტიული მოქმედება მიმართულია [illegible] გვარდიის რიგების შერყევისაკენ და გ[illegible]რებს საბჭოთა ხელისუფლების ყველა [illegible] მტრებს".

სენაკი

კურზუს თემის პარტიისა და ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციები საკ. კ. პ. (ბ) ცკასა და ც. საკ. კომ. უკანასკნელ გაერთიანებულ პლენუმის შედეგებზე გაკეთებულ მოხსენების ირგვლივ გამოტანილ რეზოლიუციაში აღნიშნავენ შემდეგს:

„ოპოზიცია ჩვენი მტრების საქმეს აკეთებს. პარტიის წინააღმდეგ გამოსვლები და პარტიის შიგნით ფრაქციული მუშაობა, სავსებით მიუღებელია. გაერთიანებული კრება მოითხოვს, რათა საკ. კ. (ბ) ცკასა და ც. საკ. კ. მიერ იქნეს მიღებული სასტიკი ზომები ოპოზიციონერების მიერ წარმოებული გამთიშველ მუშაობის წინააღმდეგ".

ახალციხის პარტკონფერენცია ოპოზ. წინააღმდეგ

ახალციხე, 19 ოქტომბერი. ახალციხის მეშვიდე სამაზრო პარტკონფერენციამ მოისმინა ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება კომპ. (ბ) ცკას მოქმედების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო ორმა ოპოზიციონერმა—კაკაჩიშვილმა და ნუცუბიძემ, რომლების გამოსვლა კონფერენციამ ერთსულოვნად დაგმო.

კონფერენციამ მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნა მთელი რიგი მიღწევები ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში.

ოპოზიციის მუშაობის შესახებ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„ახალციხის მეშვიდე სამაზრო პარტკონფერენციას არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ ბრძოლის მეთოდებს, რომლებსაც ახალი ტროცკისტული ოპოზიცია, არსებითად ძველი უკლონისტები ბუდუ მდივანის, კოტე ცინცაძის, მიშა ოკუჯავას და სხ. მეთაურობით მიმართავენ პარტიისა და მისი ცეკას წინააღმდეგ. როცა ოპოზიციის ყველა გამოსვლები სრული მარცხით დამთავრდა, იმის გამო, რომ მთელი პარტია მჭიდროდ დარაზმული დადგა პარტიის მთლიანობისა და ცეკას ხაზის დასაცავად, ოპოზიციამ მიმართა ისეთ მეთოდებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო არც ბოლშევიზმის პარტიულ ტრადიციებთან და არც ჩვენი პარტიის წესდების ელემენტარულ მოთხოვნილებებთან. კონფერენცია სავსებით და მთლიანად უერთდება ცეკას ყველა გადაწყვეტილებებს, მიმართულს ოპოზიციის წინააღმდეგ და იწონებს ცეკას და ცენტ. საკონტრ. კომისიის დადგენილებას გაუსწორებელი ოპოზიციონერ-ფრაქციონერების და გამთიშველების გამორიცხვის შესახებ.

არც ერთი ხმა ოპოზიციას

ცაგერი, 19 ოქტომბერი. დღეს გაიხსნა კომპარტიის სათემო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო პარტორგანიზაციის წევრთა უმრავლესობა და კომკავშირელთა აქტივი. კონფერენციამ სამაზრო აღმასკომის მუშაობა სცნო სავსებით დამაკმაყოფილებლად. სათემო კომიტეტის მუშაობა მოწონებულ იქნა კონფერენციის მიერ. შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. სიხაშვილის მოხსენება ოპოზიციონერთა უკანასკნელი გამთიშველი მუშაობის შესახებ—არალეგალურ სტამბის აღმოჩენასთან დაკავშირებით.

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: „ზიზღი ოპოზიციონერებს, არც ერთი ოპოზიციონერი მე-15-ე ყრილობაზე". დადგენილების გამოტანის შემდეგ არჩეულ იქნა სათემო კომიტეტი 7 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით და ერთი დელეგატი სამაზრო კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულია 26 ოქტომბრისათვის.

კ. ფ.

ვგმობ ოპოზიციას

მიუხედავად იმისა, რომ მე არა ერთხელ გამოვსულვარ ოპოზიციის წინააღმდეგ. მიუხედავათ ამისა ზოგიერთი ამხანაგი მაინც ოპოზიციონერათ მაცხადებს. არ ვიცი რას მიეწერება ამგვარი გაუგებრობა. ყოველ შემთხვევაში უნდა განვაცხადო, რომ მე ვერაფერს დავიჯერებ იმათას, ვინც პარტიის წინააღმდეგ აწყობს არალეგალურ კრებებს და აგრეთვე ავრცელებს ყალბ დოკუმენტებს და ჩვენს აშკარა მოსისხლე მტრებთან? მე ოპოზიციის საქმიანობა პარტიისათვის [illegible]ირის გამოთხრად მიმაჩნია და ამიტომ ყოველ[illegible] საშუალებით შე[illegible] [illegible] მუშაობ[illegible] [illegible]ული განაჩენი.

[illegible] შემადგენლობა: თავმჯდომარე —ამხ. ლაშხი, პროკურორი ამხ. პავლიაშვილი. მდივანი — გულისაშვილი.

სად რა ფუჭდება

ძალით გავაჭრებული გრიგორიანი

ბევრი რამ ხდება უცნაური ამ ქვეყანაზე. მაგრამ ისეთი, რამ, რაც ჩვენ ბიუროკრატიულ უთავბოლობას შეუძლია მოგვავლინოს, ძნელი წარმოსადგენია უმდიდრესი ფანტაზიის მქონე კაცისათვისაც კი. მაგალითად ისეთი შემთხვევა. თქვენ ხართ ქარხნის მუშა, გაქვთ პროფკავშირის წიგნაკი, ყოველ თვეში ორჯერ ღებულობთ კუთვნილ ხელფასს, გაქვთ, რასაკვირველია ხმის უფლება, დადიხართ პროფკავშირის კრებაზე, ერთობით მუშათა კლუბში. ერთი სიტყვით ხართ პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე, როგორიც ეს შეფერის ყოველ პატიოსან მშრომელს ჩვენს რესპუბლიკაში.

მაგრამ... საქმეც სწორეთ აქედან იწყება. პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე, რომელიც ამ შემთხვევაში უთუოდ არის საპონზეთის ქარხნის მუშა გრიგოლ გრიგორიანი, ღებულობს უწყებას. უწყება, მოგეხსენებათ, მრავალნაირია. ზოგიც მწუხარებისა და სევდის მომგვრელია. უწყებით ვინმე კეთილსინდისიერი მოვალე ან კარგი მეგობარი გაჭირვების დროს მოულოდნელად „ვატაკებს" ფულს, უწყებით გამოგიწვევს მოსამართლე ან მოწმის, ან ბრალდებულის როლში; უწყებით დაგიბარებს მილიცია რაიმე ჯარიმის გადასახდელათ. ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ავი და კარგი შეუძლია უწყებას. გრიგორიანის უწყება კი ჩვეულებრივ უწყებისაგან ზეგრათ განირჩეოდა. მეოთხე უბნის ფინინსპექტორი სალარაძე გრიგოლ გრიგორიანს, როგორც არა მშრომელს, მიუხმობდა საკლასო გადასახადის შესატანათ. გრიგორიანი სახტად დარჩა, მან თვითვე შეეპარა იჭვი თავის ვინაობაში. ამოიღო პროფკავშირის საწევრო წიგნაკი, ნახა, რომ ის მართლაც წევრია კავშირისა, ხედა თავის საანგარიშო წიგნაკს, დარწმუნდა რომ ის საკუთარი შრომით ირჩენს თავს, რომ დაზღვეულიც კი არის ქარხნის ადმინისტრაციის მიერ. გაკადნიერდა გრიგოლ და უარი მოახსენა ინსპექტორს გადასახადის შეტანაზე.

მაგრამ ფინინსპექტორი სალარაძის აგენტს ივაშვილს ბევრი „ლაი-ლაი" არ უყვარს. ის საქმის კაცია. მოკლეთ სჭრის და მოკლეთ კერავს. კიდევ უფრო მარდათ ლუქავს ლომბარდში გასასყიდ ნივთებს. გრიგორიანის ავეჯეულობასაც ეს ბედი ეწვია. თვალის დახამხამებაში გამოიბა მისმა შკაფმა და სხვა ავეჯეულობამ წითელი ლუქის ბეჭდები.

გრიგორიანი სტოვებს სამუშაოს, აცდენს საათებს, გარბის სალარაძესთან. მაგრამ პასუხი აქ მოკლე და მარტივია: „ხვალ შემოიარეთ", იარა გრიგორიანმა ერთი ხვალიდან მეორე ხვალამდე. უკანასკნელად სასოწარკვეთილი კაცი მიმართავს დახმარებისათვის ქარხკომს. ავეჯეულობა მზადაა ლომბარდში წასაღებათ. საქმეში უკვე ინსპექცია ერევა.

მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ ფინინსპექტორმა, როგორც იქნა გამოიფხიზლა ყური. ის სწერს ცნობას: „როგორც ადგილობრივი გამოძიებიდან აღმოჩნდა, გრიგოლ კარაპეტასძე გრიგორიანს შეცდომით წარდგენია მოთხოვნილება, ვითომცა მასზედ რიცხულ (!) გადასახადის ნარჩენის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ეს ნარჩენი ირიცხებოდა ვიღაც ვაჭარზე გრიქურ კარაპეტისძე გრიქუროვზე"...

სად არის „ვიღაც ვაჭარი" გრიქუროვი, ეს ალბათ მაღლა ზეცამ და დაბლა ტარტაროზმა იცის. ხოლო არა სალარაძემ და მისმა ერთგულ აგენტმა. მოდი და ამის შემდეგ სთქვი, ჩვენი ზოგიერთი დამბეგრავი ორგანოები ცუდათ მუშაობენო. არა, სინდისიც კარგი საქონელია!

დ. ბ—ა.

რეორგანიზატორი ძიძიგური

ძიძიგური ცნობილი სპეცი—ბუხჰალტერია, თბილისის აღმასკომის /ერთ ერთი იმედი.

ნუ გგონიათ, რომ ძიძიგურმა არ იცის ჩვენი კანონმდებლობა, პირიქით, ალბად, გაზეპირებულიც აქვს, მაგრამ ის მაინც ნებას აძლევს თავის თავს უდიერად დაარღვიოს შრომის კანონების ელემენტარული წესები.

იგი კომუნალურ განყოფილების საფინანსო-საანგარიშო ნაწილის გამგეა, 1924 წელს მას მიენდო ამ ნაწილის ჩამოყალიბება ახალ სისტემაზე. საქმის გასაცნობად მოსკოვშიც გაგზავნეს, შემდეგ ჩვენი ძიძიგური რეორგანიზაციას, რეორგანიზაცია მან ისე გაიგო, ვითომც მხოლოდ მისი ნება-სურვილით უნდა მომხდარიყო ნაწილის მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნა. მხოლოდ აღმასკომის კატეგორიული წინადადების შემდეგ აიღო რეორგანიზაციის ჩატარების ასეთ მეთოდზე ხელი და მიღება დათხოვნის წარმოება დაიწყო აღმასკომში მიღებულ ჩვეულებრივ წესით. მაგრამ სხვა ხერხს მიმართა ჩვენმა ძიძიგურმა თავის ორგანიზაციულ და ადმინისტრატიულ ნიჭის გასამართლებლად. მან შექმნა დროებითი მომუშავეთა ინსტიტუტი თავის ნაწილში. მოსამსახურეთ იღებდა, სხვები კი დროებით მომუშავეთ და ამით უფლებას აძლევდა თავის თავს დაეთხოვა მოსამსახურე როცა მოისურვებდა. აღმოჩნდა ბევრი ისეთი მოსამსახურენი, რომელნიც „დროებით" სახურობდნენ 5 თვიდან 1 წლამდე.

რეორგანიზაციას ინტენსიური მუშაობა სჭირდებოდა და ამიტომ შემოღებული იყო ზედმეტი მუშაობა (ძვირათ გვიჯდება რეორგანიზაციები!).

აი, ასეთი ვაჟკაცია ძიძიგური, პირდაპირ წითელ დაფაზეა აღსანიშნი. აღმასკომის დარბაზში ჰკიდია ასეთი წითელი დაფა. იქ მარტო სამი საქმის გმირია აღნიშნული, აქ მეოთხე აუცილებლად ძიძიგური უნდა იყოს. ძიძიგური ისეთი ოსტატი აღმოჩნდა შრომის კანონების დარღვევაში, რომ ასი მანეთითაც კი დააჯარიმა შრომის სასამართლომ.

მაგრამ ყველასათვის ასეთი სასტიკი არ ყოფილა ძიძიგური. თავის ნაწილში ჰყოლია თანამშრომლების ერთი პატარა ჯგუფი. ამ ჯგუფისთვისაც არღვევდა ჩვენს კანონმდებლობას ძიძიგური, მაგრამ სხვა მხრივ. [illegible] მოქ. მაჭავარიანი. მისი თანამდებობა [illegible] ბუხჰალტერი-კორესპონდენტი, ჯამაგირი 135 მანეთი. ბუხჰალტერი-კორესპონდენტი [illegible] რომ ჩვეულებრივ ენაზე საქმის მწარმოებელს [illegible] და სწორედ ამ საქმის მწარმოებლის მოვალეობას ასრულებდა მაჭავარიანი. ისიც ძალზე უხეიროდ. საბუხჰალტერო წიგნებს კი შორიდან უვლიდა, რადგან მათი წარმოება ჩინური ანბანი იყო მაჭავარიანისათვის. ეს იმ დროს, როდესაც ნამდვილი ბუხჰალტერები 125 მანეთს ღებულობდნენ თვიურად.

მეორე მოსამსახურე თედეშვილის ქალი, 1925 წელს გადმოყვანილ იქნა ძიძიგურთან განათლების განყოფილებიდან. ჯერ დაენიშნა ჯამაგირი 42 მანეთი თვიურად, მაგრამ 14 თვის შემდეგ მისი ჯამაგირი 180 მანეთს აღწევდა.

გაემგზავრა თედეშვილი აბასთუმანში დასასვენებლად. კანონიერ ორი კვირის შვებულების დამთავრების შემდეგ მას ეგრძელდება შვებულება აბასთუმანშივე რადგან ძიძიგურიც იქ ისვენებს ნაყოფიერ მოღვაწეობის შემდეგ. კიდევ ერთი თვით. ავადმყოფობის გამო შვებულების გაგრძელება თურმე ძიძიგურის საქმე ყოფილა და არა დამზღვევ სალაროსი, ფულსაც ძიძიგური აძლევს. ვის გაუყვია აღმასკომის და დამზღვევ სალაროს ქონება!

ასეთია ძიძიგური.

მას არ ჩამორჩა მისი ხელქვეითი ჯავახიძე, კეთილ-მოწყობ განყოფილების ბუხჰალტერიის გამგე. პირველად ყოვლისა მან იმითი ისახელა თავი, რომ მიიღო 400 მანეთი ანგარიშის შედგენისათვის. ამ ოთხასი მანეთიდან მხოლოდ 50 მანეთი მისცა თანამშრომელ სარაჯიშვილის ქალს, იმ დროს, როდესაც ამ ფულის აღების ნება სრულებით არ ჰქონდა. ფული უნდა მის ცემოდა დაბალ თანამშრომლებს. აქაც ქალს მიეცა დიდი უპირატესობა. მარტო ამაში არ გამოიხატა სარაჯიშვილისადმი ყურადღება, სარაჯიშვილის მიერ სამსახურის უმიზეზოდ გამოშვება ჩვეულებრივი მოვლენაა. შემთხვევებია, რომ სამსახურში სრულიად არ დადის სარაჯიშვილი, მაგრამ ზედმეტი საათები მაინც ეწერება. სამსახურში გამოცხადების სარეგისტრაციო წიგნში ჯავახიძე მის მაგივრად სხვას აწერინებს ხელს. ჯამაგირის ანგარიშში ავანსი არავის ეძლევა მაგრამ სარაჯიშვილისათვის ეს კანონი არ არსებობს.

სათანადო ორგანოებმა მალე შეუდგენ ძიძიგურის „მოღვაწეობის" გამოკვლევას. ძიძიგურს „ბებიებიც" აღმოაჩნდნენ, თითონაც დაიწყო ბრტყელ-ბრტყელი ახსნა-განმარტებების წერა, მაგრამ ვერაფერმა უშველა.

საბჭოთა ხელისუფლებას არ სჭირდება ასეთი სპეცი, რომელიც უდიერად არღვევს მის კანონმდებლობას და პირადი ინტერესები შეაქვს სახელმწიფო აპარატის მართვა-გამგეობაში.

ს. ქ.

შეუცდომლობის თილისმა

გონიერი პირამოქმედობა საზოგადოთ თავის მოსაწონი თვისებაა. მართალია პირდაპირ მოქმედს ხშირათ მტერი უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე მეგობარი, მაგრამ ის მაინც შეუპოვარია, გულახდილად და მოურიდებლად ლაპარაკობს, თუ სადმე რაიმე ფუჭდება ან ცუდათ დევს. საბჭოთა პრესა ამ მხრივ მაგალითის მიმცემია. იგი ცნობილია დაუნდობელი თვითკრიტიკით და ყოველი ჯურის ბოროტ-მოქმედთა შეუბრალებელი მხილებით. სწორედ ამიტომ ჩვენს გაზეთებს თავის მრავალ ათასეულ მეგობარ მკითხველებს შორის, ორგულებიც მოეპოვება.

ესენი სწორედ ისინია, ვინც უკვე იწვნია გაზეთის ფურცლებიდან მწველი მათრახი, ან ისეთები, ვისაც ზურგი ეძაგება ასეთი მათრახის მოლოდინში. ამგვარ კატეგორიის ხალხი საზოგადოთ მოურიდებლად არ გამოდის პრესის წინააღმდეგ. ის ჭეშმარიტების დამცველის სამოსში ეხვევა, ამავე დროს აშკარათ მოუჩანს ნამდვილი ყურები. ის გამოდის საბჭოთა ინტერესების მოსარჩლედ, ის იცავს პრესის პრესტიჟს და წმინდა სახელს. სამისო რეცეპტიც მზადა აქვს. თქვენ გინდათ, რომ გაზეთი შეცდომაში არ შევიდეს, გსურთ გაუგებრობას არ დაურჩეს ადგილი, არა? შეუთანხმეთ დაწესებულებას თქვენ მიერ მიღებული წერილი, მოითხოვეთ, რომ დაგიდასტურონ კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები ბეჭედის დასმით და სათანადო ხელის მოწერით. ადექით და დაბეჭდეთ ამის შემდეგ მასალა გაზეთში. რეცეპტი, როგორც ხედავთ, ძალიან გონიერი ჭკუის ნაყოფია. ის მართლაც იძლევა ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან აცილების სრულ გარანტიას. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ეს წამალი ნასესხებია ნეტარხსენებულ ძველი რეჟიმის კანცელარიებიდან და ამიტომაც ის წმინდა ბიუროკრატიულ საკაზმითაა შეზავებული.

წინასიტყვაობა გრძელი გამოვიდა, მაგრამ ეს იმდენად ჩვენი ბრალი არაა. ეს უმთავრესად იმას მიეწერება, რომ ფაქტი, რომელსაც ჩვენ ეხლა აქ დავასახელებთ, ასეთ მოვლენათა კატეგორიას ეკუთვნის და, ის საჭიროებს ერთგვარ კომენტარიებს. მოვიყვანოთ თვით ფაქტი. სტუდენტების ერთი პატივსაცემი კრება სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ კრების ოქმი. ოქმს კი ასეთი შინაარსი: „მოისმინეს: გაზ. „კომ." და „მუშა"-ში ცნობების მისაწოდებლად კორესპონდენტის გამოყოფის შესახებ". მაშასადამე, ჩვენ მოველით კორესპონდენტის გამოყოფას, თუმცა ჩვენს დროში კორესპონდენტებს არც ირჩევენ და არც ნიშნავენ. არა. კრებას სულმა წაძლია და აი, რა დაადგინა: „ვინაიდან აღნიშნულ გაზეთებში იბეჭდება ისეთი ცნობები უნივერსიტეტის შესახებ, რომელიც არ შეეფერება სინამდვილეს, რის გამო უხდება როგორც უნივერსიტეტის გამგეობას, ისე სტუდენტთა ორგანიზაციებს აღნიშნულ არასწორ ცნობებზე უარყოფა სტუდენტების იმ პირთა წინაშე, რომლებსაც დამოკიდებულება აქვთ უნივერსიტეტთან, ამის გამო ეთხოვოს სათანადო ორგანოებს, რათა უკანასკნელმა გააფრთხილოს გაზ. „კომ." და „მუშა"-ს რედაქციები, რომ გაზეთში არ მოათავსონ ისეთი ცნობები, რომელიც დადასტურებული არ იქნება უნივერსიტეტის საქმეთა მმართველობიდან". ჯერ ერთი, ამ ამონაწერის ენისა და სტილის სისწორის პასუხისმგებლობას ვაკისრებთ ისეთ დიდათ ავტორიტეტულ სამეცნიერო დაწესებულებას, როგორიცაა სახელმწიფო უნივერსიტეტი. ის, უთუოდ შესძლებს ამ ამონაწერის ავტორების ენის და კალმის გასწორებას. რაც შეეხება კორესპონდენციების საქმეთა მმართველის დავთრებში გატარებას, ამაზე ალბათ არ ეტყვიან აღნიშნული გაზეთები უარს გულნატკენ ახალგაზრდობას, მხოლოდ ერთი პირობით, რომ საქმეთა მმართველმა ეს ცნობები გაატაროს თავის დავთრებში, მას შემდეგ, რაც ისინი გატარდებიან „კომ." და „მუშა"-ს ფურცლებზე.

ბ. ტ—ი.

კომბინატორების მჭიდრო ოჯახი

იშვიათია ისეთი მოუსვენარი სკოლა, როგორც 65 შრომის სკოლაა. აქ ყოფ. გამგეს თავი მოუყრია ისეთ მასწავლებლებისათვის, რომლებიც უმთავრეს ყურადღებას ჭორიკანობას და ინტრიგებს აძლევენ. ყოფ. გამგეს (კაზახოვა), საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ცხოვრებოვს და ადგილკომის თავმჯდომარეს— მესხიშვილს შეკრული ჰქონდათ კავშირი რამოდენიმე „აქტიურ" მასწავლებლებთან ერთად და სკოლის ბედს აწრიალებდნენ თავის ნებაზე.

გასულ წლებში ყოფ. გამგის და ცხოვრებოვის მეთაურობით ვითარდებოდა ყოველგვარი უთანხმოება სკოლაში, ინტრიგები, მოწაფეთა ცემა-ტყეპა, ჩხუბი, ჭორები, ინიშნებოდა განათლების კომისარიატიდან კომისიები, მაგრამ ამ ხშირმა კომისიებმა ერთხელაც ვერ ჩასწვდნენ იმ ღრმა მიზეზებს, რომლებიც ჰქმნიან მუშაობისათვის წარმოუდგენელ ატმოსფეროს სკოლაში. ეს იმიტომ, რომ ამ კომისიებში ინიშნებოდნენ წარმომადგენლებათ არა განათლების განყ. მუშაკები, არამედ სხვადასხვა სკოლების მასწავლებლები, რომლებიც ნაკლებად ან სრულიად არ იყვნენ დაინტერესებული ამ სკოლის გაჯანსაღებაში.

ამასთან ამ კომისიებზე ბლოკის წევრები მოქმედებას ახდენდენ სხვადასხვა გზითაც. შარშან, ზაფხულში როგორც იქნა მოხსნეს გამგე და რამდენიმე მასწავლებელი. ეს მოულოდნელად მოხდა, ამიტომ სკოლის ქირისუფლებს აერიათ დავთარი, „მოუმზადებლად" შეხვდენ კომისიას და დამარცხდნენ. აღმასკომის საფინანსო-საკონტროლო განყოფილებამ აღმოაჩინა სკოლის კანცელარიაში საშინელი ქაოსი; ფულის გაფლანგვა, ფალსიფიკაცია, ფულების უთავბოლო ხარჯვა-გასესხება და სხვა. ყოველივე ამაში მონაწილეობას იღებდენ: სკოლის ყოფ. გამგე კაზახოვა, ცხოვრებოვი და საქმის მწარმოებელი ტერ-დავითიანი. ყველაზე მეტი დანაშაულობა მიუძღვის საქმის მწარმოებელს. ამის შესახებ განათლების განყოფილებას ეცნობა ორი თვის უკან, სადაც საფინანსო-საკონტროლო გან. მოითხოვდა ტერ-დავითიანის თანამდებობიდან დაუყოვნებლივ მოხსნას და პასუხისგებაში მიცემას. მაგრამ დახეთ საკვირველებას. დიდი არს ძალა „მაიდაშვილობისა". ეს ნამდვილი დამნაშავე დღემდის ზის თავის ადგილზე, „აწარმოებს" საქმეს მას ხელშია სკოლის სალარო და კანცელარია, იწვევს ინტრიგებს, ის ცენტრშია ყოველგვარი კონფლიქტისა მასწავლებელთა შორის, ჭორიკანობისა და თავისი მოქმედებით სრულიად აწეწ-დაწეწა სკოლის საქმე.

არა ერთხელ ეცნობა განათ. განყოფილებას გამგეს, მაგრამ არავითარი ზომები არ იქნა მიღებული, ის მაინც ხელუხლებელია და უცდის ოქტომბრის ამნისტიას, როცა მას მოეხსნება ბრალდებანი და მიეცემა საშუალება ისევ ამ სკოლაში მშვიდობიანად ფულის ფლანგვის და ინტრიგების წარმოებისა.

რაშია საქმე, რატომ მფარველობენ მას? ამასთან ყოფ. გამგის ერთგულთა ჯგუფის ნაწილი ისევ დარჩა სკოლაში, რომელსაც სურს დააბრუნოს ძველი „ნეტარი" დრო. ამიტომ ახალ გამგეობასაც გაუძნელდება ამ სკოლაში მუშაობა. სასწავლო-აღმზრდელობითი საქმე სკოლისა არ სდგას თავის სიმაღლეზე, ან სად სცალიათ ამისათვის. სკოლის ახალი ხელმძღვანელი, რომელიც 15—20 წ. წინათ ყოფილა მასწავლებლად, თვითონ გაურკვეველია საბჭოთა სკოლის მშენებლობის საკითხებში. განათ. განყ. მხრიდან ხელმძღვანელობა ძლიერ სუსტია (მაგ. გასული წლის განმავლობაში ერთხელ ნახეს სკოლა) და პრაქტიკული ღონისძიებანი და მითითებები სკოლის მუშაობის გასაუმჯობესებლად მას არ მიუცია, პირიქით, განათლ. განყ. მიერ მიმაგრებულმა ჯაშიტოვმა სკოლის საქმე მთლად არია, რის გამო ის გაწვეულ იქნა, როგორც შეუფერებელი.

ამრიგად სკოლა ისევ ცუდ პირობებშია. მას სერიოზული ოპერაცია ესაჭიროება, მას მეტი ხელმძღვანელობა უნდა. საქმის მიჩქმალვით სკოლის ჭრილობათა დაფარვით, როგორც გამოცდილებამ დაამტკიცა, ამ სკოლის გაჯანსაღებას ვერ ვეღირსებით, ვერც ცალკე კონფლიქტების გამომძიებელი კომისიები უშველის საქმეს.

ამ სკოლას უნდა ყოველმხრივად გამოკვლევა, მისი არანორმალურ პირობების შესწავლა და რადიკალური ზომების გატარება, რომ ერთხელ და სამუდამოთ სკოლის მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დადგეს და ის ნამდვილ საბჭოთა შრომის სკოლას დაემსგავსოს.

გარეშე.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 21 ოქტომბერს, საღამოს 4 საათზე დანიშნულია გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ბიუროს სხდომა. ბიუროს წევრთა დასწრება აუცილებელია.

კიდევ საწარმოო კომისიების შესახებ

საწარმოო კომისიების სწორი და მიზანშეწონილი მუშაობა, თავდები წარმოების რაციონალიზაციისა და საერთოდ ჩვენი მეურნეობის აყვავება-გამაგრების. მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში გატარება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, წარმოების თვითღირებულების დაკლება, ნედლი მასალის მიზანშეწონილად გამოყენება და საერთოდ წარმოების გეგმიანი მუშაობა, მჭიდროთ არის დაკავშირებული საწარმოო კომისიებისა და თათბირების მუშაობაზე. თუ საწარმოო კომისია აწარმოებს წესიერ მუშაობას და მისი დადგენილებებიც დაუბრკოლებლივ ტარდება ცხოვრებაში, მაშინ წარმოების საქმიანობაც სასურველ დონეზე იქნება დაყენებული.

ამ მხრივ ჩვენ ბევრი მიღწევები გვაქვს. საწარმოო კომისიების მუშაობამ საკმაოდ დიდი ნაყოფი მოუტანა ჩვენს წარმოებას და შრომის პირობებიც საგრძნობლად გაუმჯობესდა. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ადმინისტრაცია მოგვეპოვება ისეთი, რომელსაც არა აქვს შეთვისებული საწარმოო კომისიების მნიშვნელობა და თავისი საქციელით ხელს უშლის საწარმოო თათბირების ნაყოფიერ მუშაობას. ისინი არავითარ ანგარიშს არ უწევენ საწარმოო კომისიების დადგენილებებს და არ ატარებენ მას ცხოვრებაში. შეუგნებლად მოსდით ეს თუ შეგნებულად, სულ ერთია, წარმოება ორივე შემთხვევაში ზარალობს.

სატყეო-სამრეწველო ტრესტის ხე-ტყის ქარხნის ადმინისტრაცია, არამც თუ ატარებს ცხოვრებაში საწ. თათბირების დადგენილებას, არამედ ის ხელს უშლის ამ დადგენილებების განხორციელებას და აფერხებს საწარმოო კომისიის ნაყოფიერ მუშაობას. საწარმოო კომისიამ დაადგინა ძველ ქარხნიდან გადმოეტანათ და მოეთავსებინათ შიგ ხე-ტყის დამზადებული მასალა, რომელიც ლპება წვიმაში. ასეთივე დადგენილება გამოიტანა საწარმოო კომისიამ ძველი მასალის შესახებ, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ მას შემდეგ საკმაოდ დიდმა დრომ განვლო, ადმინისტრაციის არც ერთი დადგენილება არ გაუტარებია ცხოვრებაში. საწარმოო კომისიების დადგენილებისადმი ასეთი უყურადღებოთ მოპყრობა ეს არამც თუ შეცდომა, არამედ სრულიად შეგნებული დანაშაულია.

ასეთი შემთხვევები არ არის ძალიან ხშირი, მაგრამ რაც არის ისიც ძალიან ავნებს ჩვენს წარმოებას. ამიტომ პროფორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საწარმოო კომისიების და თათბირების მუშაობას და მიიღონ ზომები, რათა არც ერთი დადგენილება არ დარჩეს განუხორციელებელი. ადმინისტრაციამ თავის მხრივ ხელი უნდა შეუწყოს საწარმოო თათბირების საქმიანობას და ყოველ მიზეზს გარეშე გაატაროს ცხოვრებაში მისი დადგენილებები.

მ.

წარმოება ზარალობს

სატყეო-სამრეწველო ტრესტის ხე-ტყის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ქარხკომი აერთიანებს კავშირის 64 წევრს, ქარხკომი ენერგიულ მუშაობას აწარმოებს კავშირის წევრთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. წინად მუშა ზედმეტ მუშაობისათვის თვიური ხელფასის გარეშე ღებულობდა დღიურად მანეთზე 4—5 კაპ. ამჟამად ღებულობს 50 კაპ.

ქარხკომთან არსებობს საწარმოო კომისია რომლის საქმიანობაც სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული, მაგრამ საწ. კომისიის ზოგიერთი დადგენილებები არ ტარდება ცხოვრებაში, ამის წინად საწ. კომისიამ დაადგინა ძველ გაუქმებულ ქარხანაში მდებარე ფარდული გადმოეტანათ მეორე ქარხანაში, სადაც დამზადებული ხე-ტყის მასალა შენობის უქონლობის გამო ღია ცის ქვეშ ფუჭდება. ამ ფარდულში უნდა დაწყობილიყო დამზადებული ხე-ტყის მასალა, მაგრამ ადმინისტრაციის ეს დადგენილება ჯერაც არ გაუტარებია ცხოვრებაში.

გარდა ამისა ამავე ქარხანაში არის ძველი უვარგისი ფარდული, რომელიც უბრალოდ ლპება. საწარმოო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო მისი დანგრევა და გაყიდვა.

ასეთივე დადგენილება გამოიტანა საწ. კომისიამ ხე-ტყის ძველი, უვარგისი მასალის შესახებ, რომელიც ღია ცის ქვეშ უფრო უარესად ფუჭდება და ეკარგება ფასი. საწ. კომისიის დადგენილებით ეს მასალა საჯარო ვაჭრობით უნდა გაყიდულიყო, მაგრამ ადმინისტრაციის უყურადღებობის გამო ეს დადგენილებაც დღემდე შეუსრულებელია.

როდის გაატარებს ადმინისტრაცია საწ. კომისიის დადგენილებებს ცხოვრებაში, არ ვიცით, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ დადგენილების შეუსრულებლობა დიდ ზარალს აყენებს წარმოებას.

კინო.

გაიძვერა დალალები თარეშობენ

ბევრი წერილი დაიწერა გაიძვერა დალალების თარეშობის შესახებ, მაგრამ არავინ ყურადღება არ მიაქცია მათ თარეშს. ამიტომ ეს ვაჟბატონები უფრო უშიშრად და თამამად განაგრძობენ გლეხების გაცლეფას.

დალალებს უფრო ხშირად შეხვდებით ისეთ ადგილებში სადაც თავს იყრიან სოფლიდან ჩამოსული გლეხები. ასეთი ადგილებია: შარა გზების დასაწყისები, მოედნები, ბაზრები, ბაღები და სხვ. გლეხების მიერ ჩამოტანილი სოფლის ნაწარმოები ხელში უვარდებათ დალალებს რიცხვით 10—12 კაცს. რომელიც დარბიან მუშტრის საშოვნელად და გლეხის საქონლის ვითომდა გასასაღებლად ნამდვილად კი ისინი ეძებენ ისეთ მუშტარს, რომელიც მეტ გასამრჯელოს მისცემს მას შუამავლობაში, რისთვისაც ის დიდი სიამოვნებით მოატყუებს გლეხებს. გარდა ამისა, რომ დალალები ატყუებენ გლეხებს და იაფად ყიდიან მის საქონელს თავიანთ ნაცნობ-მეგობრებზე, რომლებიდანაც სამაგიერო გასამრჯელოსაც ღებულობენ, ფულს ართმევენ გლეხებს საქონლის გაყიდვისათვის.

მილიციამ ანგარიში უნდა გაუწიოს გლეხების მდგომარეობას, და მიიღოს ზომები დალალების ალაგმვისთვის.

აზუმ.

ნაყოფიერად მუშაობთ

(წერილი წალენჯიხიდან)

წალენჯიხის მუშათა კლუბის გამგეობა გაცხოველებულ მუშაობას ეწევა. კლუბის წევ. რიცხვის გასადიდებლად და კლუბის მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით ზაფხულის განმავლობაში კლუბში მოწყობილი იქნა ლიტ. გასართობები და სხვა. საწრეო მუშაობა კლუბში ვერ იყო სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. ამ მხრივ მხოლოდ დრამწრე და ახალგაზრდათა სექცია მუშაობდა წესიერად.

კლუბის წევრთა რიცხვი ზაფხულის პერიოდში უდრიდა 190-ს კაცს, მაგრამ საწევრო გადასახადს ძალიან მცირე ნაწილი იხდიდა, რამაც საგრძნობი დაღი დასვა საკლუბო მუშაობას. მიუხედავად ამისა კლუბის გამგეობა ყოველგვარ ზომებს ხმარობდა კლუბის საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს კლუბის წევრთა საერთო კრებამ მოისმინა მოხსენება აღნიშნულ კლუბის გამგეობის თავმჯდომარისა. საკლუბო მუშაობის შესახებ ზაფხულის განმავლობაში. კრებამ კმაყოფილებით მოიწონა კლუბის გამგეობის მუშაობა და შეიმუშავა მრავალი ღონისძიებები მომავალში საკლუბო მუშაობის უფრო გასაცხოველებლად.

მ. ფრუიძე.

რა მოგვცა ოქტომბრის რევოლიუციამ

მუშათა უბნები შენდება

ათი წელი სრულდება, რაც არსებობს საბჭოთა ხელისუფლება. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლება გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს მშრომელთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. წინად, ჯერ ნიკოლოზის მეფობის და შემდეგ კი მენშევიკების ხელისუფლების დროს გარე უბნებს, სადაც ღარიბი მუშები მოსახლეობდენ, არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, პირიქით ისინი ცდილობდნენ მუშათა უბნების შევიწროებას, რათა არ ჰქონოდათ საშუალება, მუშებს ეცხოვრათ. როგორც ნამდვილ ადამიანებს. მუშა ხომ პირუტყვი მონა იყო წარმოებისა და მის პატრონის.

მაგრამ ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ ყველაფერი შესცვალა. დღეს მუშურ-გლეხური მთავრობა ყურადღებას აქცევს მუშათა უბნების გაფართოება-გამშვენიერებას. ლენინის უბანი, წინად ერთ მივარდნილ სოფელს გავდა დღეს კი იგი იმდენად გალამაზებულია, რომ თბილისის არც ერთ მთავარ უბანს არ ჩამოუვარდება. დაგებულია ქვაფენილი, გაიყვანეს წყლის მილები. გააკეთეს კანალიზაცია, გაანათეს მივიწყებული და ბნელი ქუჩები, გააშენეს დასასვენებელი ბაღები, გახსნეს კოოპერატიული დუქნები და წითელი სასადილოები. აშენეს კარგად მოწყობილი მუშათა სახლები სადაც ჩასახლებული არიან მხოლოდ მუშები. ააშენეს აგრეთვე მოზრდილი კინო-თეატრი: საძირკველი ჩაუყარეს დიდ თეატრის შენობას რომელიც დაიტევს დაახლოებით 1.500 კაცს ამჟამად აფართოვებენ ტრამვაის ხაზს და სხვ.

აი რა მოგვცა ოქტომბრის რევოლიუციამ მუშებს და გლეხებს ათი წლის განმავლობაში. მეორე ათი წლის თავზე ჩვენს უბანს კიდევ მრავალი მიღწევები ექნება.

მუშა სიონელი.

ჩვენი მიღწევები

ოქტომბრის რევოლიუციამ ბოლო მოუღო მუშების და გლეხების მოსისხლე მტრებს, ბურჟუა-თავად-აზნაურებს და მეფის გენერლებს. მეფის დროინდელი ჯარისკაცი მონა-მორჩილი იყო აფიცრის. ის ჩამორჩენილი იყო ყველაფერს და იყენებდენ როგორც ნედლ მასალას, მაშინდელი ყაზარმები, ჯარისკაცის გონების დამახლუნგებელი საპყრობილე იყო.

დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. ჩვენი წითელი არმია, ეს არის სკოლა. სადაც წითელ-არმიელს საშუალება აქვს განვითარდეს, პოლიტიკურად, კულტურულად და მიიღოს ყოველგვარი გამოცდილება.

სასწავლებლები, სადაც წინად სწავლობდნენ თავად-აზნაურების და ვაჭრების შვილები, დღეს ნამდვილი შრომის კერად არის გადაქცეული. დღეს ამ სასწავლებლებში სწავლობენ მუშების შვილები, რომლებიც ჰქმნიან ახალ ცხოვრებას.

გარდა ამისა საბჭოთა რესპუბლიკები მოფენილია მუშათა ფაკულტეტებით, სადაც სწავლობენ ასობით და ათასობით მუშები და გლეხები. ისინი ღებულობენ სწავლა-განათლებას და ემზადებიან სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. მუშათა ფაკულტეტი საუცხოო იარაღია ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად და სახელმწიფო აპარატის გასაჯანსაღებლად. წინად კი მუშა მოკლებული იყო ყოველივე ამას. მას არ ჰქონდა საშუალება სწავლისა.

ამიტომ თავგამოდებით იცავს მუშა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს და ერთგულად სდგას პროლეტარულ ხელისუფლების სადარაჯოზე.

გრ. ავხაზავა.

აი რა გავაკეთეთ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ

(წერილი კახეთიდან).

კონხარის თემში გასაბჭოების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა მშრომელ გლეხობის საკეთილდღეოთ. გაკეთდა ის, რაც საოცნებო საგანს წარმოადგენდა ჩვენთვის, როგორც თვითმპყრობელობის, აგრეთვე მენშევიკების დროსაც, მაგალითად: თავად ერისთავის მემკვიდრეს, მოქ. ახალაძეს გლეხებმა ჩამოართვეს მშვენიერად გაშენებული და მოწყობილი ბაღი და მამული, რომელშიც გადიტანეს თემის ყოველივე ცენტრალური დაწესებულებები და გააშენეს შიგ პატარა ქალაქი.

გავხსენით სამეურნეო სასწავლებელი, გავიყვანეთ თემის სხვადასხვა კუთხეში დაახლოებით 20 ვერსის მანძილზე ახალი ექვს არშინიანი გზები, საფუძვლიანათ შევაკეთეთ ყველა სათემო მნიშვნელობის ძველი შარა-გზები, გავაფართოვეთ ხიდები, მივეცით მოსახლეობას [illegible] გზები და [illegible] წყლები, დავდგით აბრეშუმის ფარდული და ვიწყებთ ფოსტა-ტელეგრაფისათვის ახალი შენობის საფუძვლის ჩაყრას და სხვ.

ყოველივე ეს დამამტკიცებელია იმისა, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ დააკავშირა კონხარის თემის გლეხები კომუნისტურ პარტიასთან და აკეთებენ იმას, რაც ყველა მშრომელთა კეთილდღეობას გამოადგება.

ამ მიღწევებთან ერთად ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. კონხარის თემის გლეხები ქალაქის მუშებთან ერთად გაცხოველებულ ენერგიით აწარმოებენ მომავალში საფუძვლიანს და გეგმაშეწონილ სამეშენებლო მუშაობას და კულტურულ საქმეების გაკეთებას.

გაერთიანებული ძალ-ღონით შევძლებთ გავატაროთ ცხოვრებაში ოქტომბრის იდეები, რომელიც თავდებია მთელ მსოფლიოს გაოქტომბრებისა.

დ. ვაჩეიშვილი.

ვემზადებით საზეიმოთ

რკ. გზ. საავადმყოფო უკვე შეუდგა ოქტომბრის დღესასწაულის სამზადისს. კულტკომისია უშვებს სპეციალურ კედლის გაზეთს, სადაც გაშუქებული იქნება ჩვენი მიღწევები ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. აგრეთვე მზადდება სხვადასხვა პიესები საზეიმო საღამოს მოსაწყობად და სხვა.

7 ნოემბერს საშეფო კომისია გაემგზავრება საშეფო სოფელ ხიდისთავში, სადაც ჩატარებული იქნება ოქტომბრის დღესასწაული. საშეფო კომისიას თან მიჰყავს მსახიობები სადღესასწაულო საღამოს მოსაწყობად. ამ დღეს საშეფო სოფელში გახსნილი იქნება წერა-კითხვის ლიკვიდაციის წრე.

კომისიამ გადასწყვიტა რკ. გზ. საავადმყოფოს ყოფილი კლუბის ნივთები გადატანილი იქნეს საშეფო სოფელში, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად.

გ. ავ—ვა.

აჭარისტანის ჯანსახკომის მუშაობა

ამ რამოდენიმე დღის წინად ბათომში შესდგა მედსანშრომის კავშირის საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა აჭარისტანის ჯანსახკომის მოადგილე ამხ. ცურცუმია. მომხსენებელმა დაახასიათა აჭარისტანის ჯანსახკომის მიერ ჩატარებული მუშაობა.

ჯანსახკომი აწარმოებდა უმთავრესად ბრძოლას პროფესიონალურ სნეულებათა და სხვა გავრცელებულ სენების წინააღმდეგ, ასე მაგალითად, ჯანსახკომის მიერ მიღებული ზომებით წყალთები მალარია აჭარისტანში ერთი წლის განმავლობაში შემცირებულა 35 პროცენტით. მალარიასთან ბრძოლის მიზნით აგრეთვე მოხდა მთელი რიგი ჭაობების მოშრობა, რისთვისაც დაიხარჯა 1400 ფუთი მაზუთი. ჯანსახკომის ინიციატივით აწარმოებდა აგრეთვე მოზარდი თაობის ჯანმრთელობის შემოწმება. აღნიშნული მუშაობა შეეხო უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელთაგან გამოკვლეულ იქნა 4.563 მოზარდი.

დანარჩენ სნეულებათაგან აჭარისტანში პირველი ადგილი უკავია ათაშანგს. სულ აღნიშნული იყო ათაშანგით დაავადების 500 შემთხვევა, მეორე ადგილი უკავია დანარჩენ ვენერიულ სენებს. მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში ჯანსახკომის მიერ აჭარისტანის მთელ რიგ მაზრებში დაგზავნილი იყო სამკურნალო ექსპედიციები ქლექის და სხვა სენების გამოსაკვლევად. ეპიდემიურ ავადმყოფობათაგან წლის განმავლობაში შესამჩნევი იყო მხოლოდ მუცლის ტიფი, რომელმაც თავი იჩინა მხოლოდ სოფ. ქედაში.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჯანსახკომი დიდ ყურადღებას აქცევდა ახალი სამკურნალო დაწესებულებების დაარსების საქმეს, კურორტების მოწყობას და დაზღვეულთა სამკურნალო დახმარებას.

კრებამ მოიწონა ჯანსახკომის მიერ ჩატარებული მუშაობა

ბუნებრივი სიმდიდრენი

ჰიდრო გეოლოგმა მორადანიმ რომელიც გორის მაზრაში აწარმოებდა ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოკვლევას, განაცხადა შემდეგი: გორის მაზრაში ნაპოვნი იქნა აგატის, ამეთისტის, ტოპაზის და კვარცის ნიმუშები. ამ ძვირფასი ქვების მდიდარი ბუდობები ძევს მთიან ადგილებში. ამას გარდა გორის მაზრაში აღმოჩენილია გოგირდის გაზოვანი მლაშე წყარო, კუპრიანი და ნავთიანი ადგილები. გორის მაზრაში უნდა იყოს ნავთის მდიდარი წყაროები. გორის მაზრაშივე აღმოჩენილი იქნა ქვამარილის მადნების ნიშნები.

აღმოჩენილ მადნების ნიმუშები წარედგინა სახალხო მეურნეობის საბჭოს, რომელმაც სამრეწველო განყოფილებას დაავალა გორის მაზრაში გაგზავნოს სპეციალური ექსპედიცია აღმოჩენილ მადნების გამოსაკვლევად და მათი დამუშავების საკითხის შესასწავლად.

ა. ი. სუმბათაშვილი—იუჟინის ნეშტი თბილისში

ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინის ნეშტის შესახვედრად დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. დილის 10 საათისათვის სადგურის მთავარი დარბაზი და მთელი ბაქანი უკვე სავსე იყო. კულტურულ საზოგადოებრივ დაწესებულებების წარმომადგენლებით და კერძო მოქალაქეებით. განსვენებულის დასასვენებელი დარბაზი მორთული იყო შავი სუდარით, გვირგვინებით და მწვანეულობით.

უკვე შესრულდა ბათომის მატარებლის მოსვლის დრო—ათის ნახევარი, მაგრამ მატარებელი, რომელმაც უნდა მოასვენოს განსვენებულის ნეშტი, იგვიანებს. ხალხი თანდათან მატულობს და მალე უკვე ბაქანი ვეღარ იტევს ნეშტის შესახვედრათ მოსულ ხალხს.

აქ არიან ქართველი მსახიობების ძველი და ახალი თაობა, თბილისის მუშათა თეატრის რუსული სექციის დასი სრული შემადგენლობით, თბილისის სომხური და თათრული და აკადემ. დრამის მსახიობები, ქართველი მწერლები და ხელოვნების მრავალი მუშაკი. აქვე არიან განსვენებულის პირადი ახლობელი ნათესავები.

თბილისის სადგურზე—კუბო გამოაქვთ ვაგონიდან.

მატარებელმა ერთი საათით დააგვიანა.

გაისმა ორთქლმავლის საყვირის ხმა და საზოგადოება დაიძრა მიცვალებულის შესაგებებლად: იმ ვაგონის შესაჩერებელ ადგილზე, რომელშიაც განსვენებული ასვენია, დადგენ საორგანიზაციო კომისიის წევრები.

გამოჩნდა მატარებელიც და, ბოლოს, მწვანე და ცოცხალი გვირგვინებით მორთული ვაგონი. მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს. ვაგონი ჩერდება, ვაგონს კარებზე ჰკიდია განსვენებულის დიდი პორტრეტი ყვავილებით გარშემოვლებული.

საზოგადოება სულგანაბული უცდის კუბოს გამოსვენებას ვაგონიდან.

იღება ვაგონის კარები და შიგ შედიან: შ. დადიანი, დამკრძალავი კომისიის ხელმძღვანელი—მოსკოვის მცირე თეატრის წარმომადგენელი ფეოდოროვი, ქარ. აკადემიური დრამის რეჟისორი ახმეტელი, რუსულ მუშათა დრამის მსახიობი ლიუბოში, პაოლო იაშვილი და სხვა.

გამოაქვთ კუბო, მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს, სადგურის მთავარ დარბაზამდე ძვირფასი მსახიობის და მწერლის ნეშტს მოასვენებენ რიგ-რიგობით მსახიობები და მწერლები. კუბოს წინ მიუძღვის თეატრებიდან, მსახიობებიდან და კერძო პატივისმცემელთაგან მოძღვნილი ცოცხალი გვირგვინები.

დასასვენებელ დარბაზის წინ განსვენებულის ნეშტს ეგებებიან გარდაცვლილის მეუღლე, [illegible] ახლობელი ნათესავები. დარბაზის წინ მჭიდროთ შეჯგუფებული ხალხი ორათ იყოფა და კუბო შეაქვთ სამგლოვიაროთ მორთულ პატარა დარბაზში, რომელიც განსვენებულის ნეშტის შესახვედრად მოსულ ხალხის ერთ მეათედსაც ვერ იტევს.

იწყება გამოსათხოვარი სიტყვები.

უკანასკნელად ეთხოვებიან მას მისი მოწაფეები—მსახიობები, რომელთაც მისგან მიიღეს არა მარტო ცოდნა, არამედ იმის შეგნებაც, რომ მსახიობის დანიშნულება არის მოქალაქის მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა, რომელიც ნაკლები არ არის სხვა მოღვაწეობაზე.

უკანასკნელად ემშვიდობებიან განსვენებულს ქართველ მწერალთა კავშირის სახელით შ. დადიანი, დ. დიასამიძე (ხელოვნების მუშაკთა კავშ. თავმჯდომარე), მსახ. ვასაძე, (თბ. აკად. დრამა), ლიუბოში (მუშათა თეატრის რუს. სექცია), ალ. ინაშვილი, (თბ. ოპერა), ა. ფალავა (ბათომის აკად. დრამ.), ისპან-ოღლი (თურქ. დრამა), გ. ჟორდანია (ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგად.), თულაშვილი (მოსკოვის ქართველთა საზოგადოების სახელით). ამ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლების პირით თბილისი უკანასკნელ „მშვიდობის" უძღვნის განსვენებულის ნეშტს.

დასასრულ საზოგადოებას დიდ მსახიობის ხსოვნისადმი განსაკუთრებული პატივისცემის გამოჩენისათვის მადლობას უხდის განსვენებულის მეუღლე.

პანაშვიდი თავდება და განსვენებულს ისევ მიასვენებენ ვაგონში.

საღამოს მატარებელი დამკრძალავი კომისიის წევრების თანხლებით განსვენებულის ნეშტს მიაქანებს საბჭოთა რუსეთის ვრცელ ველებისაკენ—მოსკოვში.

ძ—ი.

ზუგდიდის მუზეუმში

განათლების კომისარიატთან არსებულ სიძველეთა დაცვის განყოფილების ცნობით, ზუგდიდის მუზეუმში, რომელიც მოწყობილია დადიანისეულ სასახლეში, ამჟამად დაცულია 20.000-მდე ისტორიული მნიშვნელობის ნივთი. ამ ნივთებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი ჩინური ვაზა, რომელიც დადიანისათვის უჩუქნია ნიკოლოზ მეორის ბაბუას—ალექსანდრე მეორეს. ამ ვაზაში მეფეს მიუცია 100.000 მანეთი. აქვე მოთავსებულია იმავე ალექსანდრე მეორის მაგიდა, გაკეთებული სპილოს ძვლისაგან.

მეორე ოთახში დაცულია ნაპოლეონის სავარძელი და სხ. ნივთები, რომლებიც საქართველოში მოტანილია ნაპოლეონის ნათესავის პრინც მიურატის მიერ სამეგრელოს მთავარის დადიანის ქალიშვილის შერთვის შემდეგ.

აგრეთვე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ძველი სამხედრო და სამეურნეო იარაღების ოთახი. ამ ოთახში დაცულია დიდი ისტორიული მნიშვნელობის ნივთები. დანარჩენ ოთახებში მოთავსებულია უძველესი ჭურჭლეულობა, ფულები, ბინების მორთულობა, ტანისამოსი, სურათები და სხ. საერთოდ მუზეუმში დაცულ ნივთების ღირებულება დაახლოვებით უდრის 20 მილიონ მანეთს.

სახელმწიფო მუზეუმის დამთავრების შემდეგ. ამ ნივთების გადმოტანა განზრახულია თბილისში.

სასოფ.-სამ. გადასახადი

თბილისის მაზრა

საქართველოს მთელ მაზრებში უკვე დაიწყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა. კერძოთ თბილისის მაზრაში გადასახადის აკრეფის დასაჩქარებლად თემებში მუშაობენ საგანგებო სამეულები, რომელთაც მინდობილი აქვთ გადასახადის დანიშნულ ვადაზე აკრეფა. სამეულებს მინიჭებული აქვთ უფლება გაავრცელონ გადამხდელთა სხვადასხვა კატეგორიებზე სხვადასხვა ხასიათის შეღავათები. თბილისის მაზრაში გაწერილია სულ 299 ათასი მანეთი. აღსანიშნავია, რომ წელს საჩივრებს გადასახადის უსამართლოდ გაწერის შესახებ ადგილი არ აქვს. გადასახადისაგან განთავისუფლებული არიან სტიქიურ მოვლენებით (სეტყვით, ნიაღვრებით, საქონლის ჭირით) დაზარალებული მეურნეობანი. ჯერ-ჯერობით თბილისის მაზრაში აკრეფილია 8 ათასი მანეთამდე.

თელავის მაზრა

საგადასახადო ფურცლების დარიგება თელავის მაზრაში დამთავრდა სექტემბრის პირველ რიცხვებში. ამ რიცხვიდან დაიწყო გადასახადის აკრეფაც. 22.630 მეურნეობიდან 9.755 მეურნეობა (40 პროც) სრულიად განთავისუფლებულია გადასახადისაგან. გლეხობას გადასახადი შეაქვს დანიშნულ ვადაზე უფრო ადრე. პირველ ნოემბრამდე შეგროვილი უნდა იქნეს გაწერილი გადასახადის საერთო ჯამის მეოთხედი. მაგრამ სამაზრო საფინანსო განყოფილების ცნობით შეგროვილ იქნება მთელი გაწერილი ჯამის 40 პროცენტი.

კულტურის ახალი კერა მესხეთ-ჯავახეთში

(ვარძიაში სკოლისა და მოწაფე-თა საცხოვრებელ ბინის მოწყობის შესახებ)

კარგი ხანია არსებობს აზრი, რომ ვარძიის მახლობლად მცხოვრებ ახალციხე-ახალქალაქის მაზრის ღარიბ გლეხების შვილებისათვის უნდა დაარსდეს სკოლა ბავშვთა საცხოვრებელი ბინით.

ვარძიის რაიონში და საერთოდ ახალციხე - ახალქალაქის მაზრებში სწავლა-განათლება მეტად მოიკოჭლებს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მთავრობა შესაფერ ღონისძიებებს ხმარობდა, ადგილობრივმა გლეხობამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ გამოიყენა ხელისუფლების ეს ყოველმხრივი ცდა და სკოლის ასაკის ბავშვი არ გაანთავისუფლა სასოფლო - სამეურნეო სამუშაოდან. მოწაფეებს ეძლეოდა საშუალება მხოლოდ ნოემბრიდან მარტამდე ევლო მოუწყობელ და გაუთბობელ სასწავლებელში. გლეხების თვალში ჩვეულებრივმა სკოლამ პირველადვე ვერ მოიპოვა ავტორიტეტი და მთავრობის კანონმა გლეხობის თვითდაბეგვრის შესახებ სკოლების აშენება - შეკეთებაში ფესვები ვერ გაიდგა. ამისათვის სკოლის საცხოვრებელი ბინით დაარსებას ასეთ ადგილას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვარძია იმყოფება უფრო მეტად სწავლა - განათლებას ჩამორჩენილ და [illegible] ქართულ, ქურთულ და თათრულ სოფლების ცენტრში. ამასთანავე ვარძიაში მოიპოვება ბევრი თითქმის მზა დარბაზები და ოთახები, რომლებიც ცოტაოდენ შეკეთება - მოწყობის შემდეგ გამოდგებიან საცხოვრებელ ბინათ. თავთბილ ჰავას, რომელიც ვარძიას ახასიათებს ისეთ ცივ მხარეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სათბობ მასალის შეძენა მაზრებში ძნელია. დღეს გლეხები და სკოლები შეშის მაგივრად „წივას" ხმარობენ. ვარძიას მოეპოვება რამოდენიმე ათეული დესეტინა მიწა, იქვე არის წყალი. სხვა ასეთ მრავალ თვისებების გამო ვარძიის მცირე ნაწილი სრულიად გამოსადეგი ხდება საერთო ბინისათვის და ამის მოწყობით არ შებღალება მისი ისტორიული სიძველე.

ვარძია და მის მახლობლად მდებარე ისტორიული მნიშვნელობის ნაშთები თმოგვის და ხერთვისის ციხეები და სხვა ძველი ციხე - მონასტრები და ეკლესიები ამ მხარეს საინტერესო საექსკურსიო კუთხედ ხდის.

ვარძიის მომავალი სკოლა ეკონომიურად დააკავშირებს ორ ერთმანეთზე ჩამოწყვეტილ მაზრას. ნიალის - ყურის და ვან - ჩუხურის ოცი სოფლის გლეხობა ნოემბრიდან ივნისამდე (7 თვე) უგზოობის და უხიდობის გამო ახალქალაქში წასვლის მაგივრად ახალციხისაკენ მიდის, და 20—30 ვერსის მაგივრათ 50—65 ვერსს გადის. ასევე მოწყვეტილნი არიან ახალქალაქის მაზრის გლეხები ახალციხის მაზრაში მყოფ მთებიდან და ტყეებიდან; გოგაშენელმა გლეხმა ქობაჯურის ტყეში წასასვლელად, რომელიც იმყოფება 20 ვერსზე, უხიდობის და შეუკეთებელ გზის გამო უნდა შემოიაროს 60 ვერსი. ვარძიაში სკოლის მოწყობას გლეხების მონაწილეობით მოჰყვება გზის შეკეთება, ხიდის გადება, მძლავრი კოოპერატივის დარსება და სხვ. ამ მხრივ ვარძიის სკოლას თავის საერთო საცხოვრებელი ბინით დიდი მნიშვნელობა ექნება.

26 სექტემბერს, ახალციხეში ადგილობრივ პასუხისმგებელ ამხანაგების დახმარებით და ამხ. ნ. ნათენაძის ინიციატივით შესდგა კრება, სადაც დაისვა საკითხი მესხეთ - ჯავახეთის კულტურულად დაახლოვებისათვის პრაქტიკულ ამოცანების დასახვის შესახებ.

კვირას, 16 ოქტომბერს, 1927 წელს პროფსაბჭოს დარბაზში, საღამოს 6 საათზე, შესდგა თბილისში მცხოვრებ მესხეთ - ჯავახელთა საერთო კრება, რომელზედაც დაესწრო 75 კაცი. კრებაზე იდგა საკითხი ვარძიაში სკოლისა და მოწაფეთა საერთო საცხოვრებელ ბინის დაარსების შესახებ. კრებამ ეს აზრი მოიწონა და დაადგინა ყოველნაირად შეეწყოს ხელი განზრახვის სისრულეში მოყვანას.

იმავე დღეს, 12 საათზე, საქართველოს ცაკის თავმჯდომარის კაბინეტში, ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით მოწვეული იყო სხდომა, რომელზედაც დაესწრნენ: ს. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტპროპის გამგე ამხ. თათარიშვილი, განსახკომის წარმომადგენელი ამხ. ვ. ბერიძე, ამხ. ვარძიელი და ნათენაძე. ამ სხდომამ პრინციპიალურად გადასწყვიტა ვარძიაში მოწაფეთა საცხოვრებელ ბინის მოწყობა ქართველ, ქურთ და თათარ ღარიბ გლეხების შვილებისათვის, ხოლო უფრო მიზან შეწონილად სცნო, რათა ამისათვის დაარსებულიყო საქართველოს განსახკომთან სპეციალური კომისია სათანადო ორგანოების, ახალციხე - ახალქალაქის მაზრების და ინიციატორთა წარმომადგენლებისაგან, რომელიც მოაგვარებს ამ საკითხს.

თავის მხრივ მესხელ - ჯავახელთა საერთო კრებამ აირჩია თავისი ხელმძღვანელი ჯგუფი. რომელიც მთავრობის მიერ გამოყოფილ კომისიის დასახმარებლად იმუშავებს. კომისიაში შედიან შემდეგი ამხანაგები: ნათენაძე ნიკოლოზ, ძელქიძე გიორგი, შეშაბერიძე ედუარდი, სარაჯიშვილი ელისაბედი, მესარქიშვილი სერგო, ზედგინიძე შალვა, სეხნიაშვილი დავითი, ჯერპეტიანი არტიკა, კოკოლია გოშა და თათოშვილი ანდრო.

ისაჯვილი

10 წლის წინედ

როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

20 ოქტომბერი

„კრიზისი მომწიფდა"

გაზ. „რაბოჩი პუტ"-ის № 30-ში მოთავსებულია ნ. ლენინის წერილი „კრიზისი მომწიფდა". ნ. ლენინი აღნიშნავს სექტემბრის დამლევს „რუსეთის და როგორც სჩანს, მსოფლიო ისტორიაში" მომხდარ უდიდეს გარდატეხას.. „პარტიის ბელადების მასიური დაპატიმრება იტალიაში, და განსაკუთრებით სამხედრო აჯანყებათა დაწყება გერმანიაში—აი უდიდესი გარდატეხის უდავო ნიშნები, ნიშნები რევოლიუციის დასაწყისისა მსოფლიო მასშტაბით... ჩვენ ვიმყოფებით მსოფლიო რევოლიუციის კარებთან.. რუსეთში გარდატეხის მომენტი უდავოა: გლეხთა აჯანყების ზრდა და მათი ჩაქრობა კერენსკის მთავრობის სამხედრო ღონისძიებებით, ნაციონალური საკითხის გამწვავება, ფინეთის ჯარებისა და ბალტიის ფლოტის სრული ჩამოშორება მთავრობისგან, ზრდა ბოლშევიკების მიმდევარ მასების მწვავე კონფლიქტი მთავრობასა და რკინისგზელებისა და ფ.-ტ. მოსამსახურეთა არმიას შორის და სხვ.,—ყველა ეს სიმპტომები გვიჩვენებენ, რომ საერთო ნაციონალური კრიზისი მომწიფდა". აღნიშნავს რა, რომ ბოლშევიკებს მემარცხენე ესერებთან ერთად ახლა „უმრავლესობა ყავს საბჭოებში, არმიაში და ქვეყანაში,"—ლენინი ასე ათავებს წერილს: „...ბოლშევიკები,—რომ ისინი წამოეგონ კონსტიტუციონური ილიუზიების, დამფუძნებელი კრების მოწვევის „რწმენის" საბჭოების ყრილობის „ლოდინის" და სხვ. ილიუზიების ანკესზე,—ეჭვს გარეშეა ასეთი ბოლშევიკები იქნებოდნენ პროლეტარული საქმის უბადრუკი მოღალატეები. ვინაიდან ინტერნაციონალიზმი მდგომარეობს არა ფრაზებში, არამედ სოლიდარობის გამოხატვაში, არა რეზოლიუციებში. არამედ საქმეში. რუსეთის რევოლიუციის მთელი მომავალი ბეწვზე ჰკიდია. მთელი ბედი საერთაშორისო მუშათა რევოლიუციისა სოციალიზმისათვის—ბეწვზე ჰკიდია. კრიზისი მომწიფდა"...

რესპუბლიკის დროებითი საბჭოს სხდომების გახსნა

გაიხსნა „რესპუბლიკის დროებით საბჭოს" („პრედპარლამენტის") სხდომა. სხდომა გახსნა კერენსკიმ, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა რომ „დრ. მთავრობა" ჯერ კიდევ აპრილიდან ცდილობდა ნორმალური კავშირი დაემყარებინა ქვეყანასთან თუ გინდ ასეთი არასრულქმნილი, მაგრამ მაინც სახალხო წარმომადგენლობისა და კრების წინაშე" (საბჭოების „წარმომადგენლების" [illegible] არსებ[illegible] ჩუმათ გა[illegible] მენშევიზმის ერთ-ერთი [illegible] გავიხსენოთ, თუ როგორ სცდილობდა წინედ ამხ. ტროცკი თავისი წარსულის „რეაბილიტაციას". თავის წერილში [illegible] ნის თავდაცვა, აღდგენა არმიის ბრძოლის უნარიანობის, რომ პასუხი გავსცეთ გათავხედებულ მტერს".

ბურჟუაზიის ამ საპროგრამო სიტყვის მოსმენისა და პრეზიდიუმის არჩევნების შემდეგ, ტროცკიმ ბოლშევიკური ფრაქციის სახელით გამოაცხადა დეკლარაცია ფრაქციის გასვლის შესახებ დროებითი საბჭოდან.

დეკლარაცია ასე თავდებოდა: „ჩვენ, ბოლშევიკ-სოციალ-დემოკრატების ფრაქცია ვაცხადებთ: ხალხის ღალატის ამ მთავრობასთან და კონტრ-რევოლიუციონური [illegible] ამ საბჭოსთან ჩვენ არაფერი საერთო არ გვაქვს.. რევოლიუცია საფრთხეშია! იმ დროს, როცა ვილჰელმის ჯარები ემუქრებიან პეტროგრადს, კერენსკი-კონოვალოვის მთავრობა აპირობს გაპარვას პეტროგრადიდან, რომ მოსკოვი კონტრრევოლიუციის დასაყრდენათ გადააქციოს. ვტოვებთ რა დროებითი საბჭოს, ჩვენ სიფხიზლისაკენ მოვუწოდებთ მთელი რუსეთის მუშებს, ჯარისკაცებს და გლეხებს".

დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ ბოლშევიკურმა ფრაქციამ დასტოვა სხდომის დარბაზი.

დეკლარაციას შეუერთდნენ და ბოლშევიკებთან ერთად დასტოვეს სხდომა არაპარტიული სიებით არჩეულმა დეპუტატებმა [illegible]—მეორე არმიის დელეგატებმა, მამაევმა—რკინისგზელთა დელეგატმა, სტუჩკამ და უნშლიხტმა—ნაციონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და სკრიპნიკმა—საქარხნო საფაბრიკო კომიტეტების ცენტრალური საბჭოს წარმომადგენელმა.

წითელი გვარდია

პეტროგრადში შესდგა ვიბორგის რაიონის წითელი გვარდიის კონფერენცია, მიღებულ იქნა ბოლშ. სამხ. ორგანიზაციის მიერ შემუშავებული წესდება და აირჩიეს შტაბი.

მთელი ძალაუფლება საბჭოებს

„რაბოჩი პუტ" ათავსებს მუშების და სამხ. ნაწილების 34 რეზოლიუციას, რომლებიც უყოყმანოდ უცხადებენ დრ. მთავრობას და მოითხოვენ ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის.

ვლადივოსტოკის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც მოითხოვს კავშირის გაწყვეტას ცენზიან ელემენტებთან და საბჭოების წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის შექმნას. რეზოლიუცია, აგრეთვე, მოითხოვს ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას

კონტრ-რევოლიუცია ირაზმება

დონის ყაზახთა ლაშქრის რადამ დაადგინა შექმნას „სამხრეთ აღმოსავლეთის კავშირი" ყუბანის, თერგის, დონის და ასტრახანის ყაზახების, ჩრდ. კავკასიის მთიელების და დონისა და ასტრახანის [illegible] მოსახლეობის შემადგენლობით. [illegible] ამ თავის გადაწყვე[illegible] მენშევიკების რევოლი[illegible] „დაიცვას [illegible] ნაწილები" [illegible] ღაჭარბებით შეფასება; [illegible] შირის მიზანია—„ძლიერ ნაციონალურ მთავრობის შექმნა რუსეთში და ხელის შეწყობა გარეშე მტერთან და შინაურ ანარქიასთან ბრძოლაში.

შავრაზმელი შულგინი გამოვიდა რესპუბლიკის დროებით საბჭოდან.

გერმანელების შეტევა

მოონზუნდის მთელი არხიპელაგი (კუნძულები დაგო, ეზელი, მოონი და ვორმსი—რიგის ყურე'ში შესავალთან) დაიკავეს გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა. რუსეთის ესკადრამ ფინეთის ყურეს შეაფარა თავი.

აგრარული მღელვარებები

დრ. მთავრობა ღებულობს ახარებულ დეპეშებს აგრარულ მღელვარებათა გაძლიერების შესახებ მინსკის, ხარკოვის და ვორონეჟის გუბერნიაში.

ბოლშევიკურ პარტიაში

პეტროგრადში გაიხსნა რ. ს. დ. მ. პ: (ბოლშევიკების) საერთო საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც გამოქვეყნებულ იქნა ლენინის თეზისები პარტიის ტაქტიკის შესახებ (იხ: ლენინის თხზ., ტ. 14, ნაწ. მეორე, გვ. 267—269).

სმოლენსკში შესდგა ბოლშევიკური ორგანიზაციების საგუბერნიო კონფერენცია

მუშების ბრძოლა

ვინაიდან მოსკოვის აფთიაქების პატრონები შეურიგებელ პოზიციას დაადგენ მომრიგებელ კამერაში, ისევ წარმოიშვა აფთიაქების თანამშ. რომელთა გაფიცვის საფრთხე, მოსკოვის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ჩაერიოს კონფლიქტში და ქალაქის თვითმართველობასთან შეთანხმებით შეადგინოს „კომისია, რომელიც, თუ მწარმოებლები განაგრძობენ ჯიუტობას, მოახდენს აფთიაქების რეკვიზიციას".

ლესნერის (პეტროგრადში) ქარხნის მუშების საერთო კრება მოითხოვს აფთიაქების რეკვიზიციას.

შეწყდა გაფიცვა ვლადიმირის თოფის წამლის ქარხნებში.

საზოგადოება „დვიგატელის" რეველის ქარხნის მუშებმა დაადგინეს არ დაემორჩილონ ბრძანებას ქარხნის ევაკუაციის შესახებ. საბჭოების ცაკმა გადასწყვიტა გაგზავნოს რეველში დელეგაცია ევაკუაციის ჩასატარებლად.

21 ოქტომბერი

„გარეშეს რჩევა - დარიგებანი"

ნ. ლენინმა დასწერა თავისი „გარეშეს რჩევა-დარიგებანი" ჩრდილოეთის საოლქო საბჭოთა ყრილობისათვის. აღნიშნავს რა, რომ „მთელი ძალაუფლება უნდა გადავიდეს საბჭოების ხელში, რაც შეუძლებელია შეიარაღებული აჯანყების გარეშე, ლენინი თავის წერილში ჩერდება ამ აჯანყების მეთოდებზე, რომლებიც გარკვეულად ჩამოაყალიბა კარლ მარქსმა და ურჩევს ამხანაგებს მტკიცედ იხელმძღვანელონ მარქსის ამ გამოცდილებით:

„1) არასდროს არ ვეთამაშოთ აჯანყებით, არამედ [illegible] გახსოვდეთ, რომ [illegible] კერძოდ გერმანიის [illegible] ამ განცხადებას უნდა ძალების დიდ [illegible] რთება ოპოზიციონურ და გადა[illegible] თხვევაში, მტერი, რომელსაც აქვს უკეთესი მომზადება და უკეთესი ორგანიზაცია, — მოსპობს აჯანყებულებს.

3) რაკი აჯანყება დაიწყება, უნდა იმოქმედოთ უდიდესი პირდაპირობით და გამბედაობით და აუცილებლად გადახვიდეთ შეტევაზე. „თავდაცვა არის შეიარაღებული აჯანყების სიკვდილი".

4) უნდა ვეცადოთ უეცრად დავესხეთ თავზე მტერს, ავირჩიოთ ისეთი მომენტი, როცა მისი ძალები დაფანტულია.

5) უნდა ვეცადოთ ყოველდღიურათ (შეიძლება ითქვას — ყოველ საათში, თუ საქმე შეეხება ერთ ქალაქს) მოვიპოვოთ თუგინდ პატარა გამარჯვება და რათაც არ უნდა დაგვიჯდეს განვამტკიცოთ „მორალური სიძლიერე".

შემდეგ ლენინი იძლევა აჯანყების დეტალურად დამუშავებულ ტეხნიკურ გეგმას:

„დავრაზმოთ ჩვენი სამი უმთავრესი ძალა: ფლოტი, მუშები და ჯარის ნაწილები ისე, რომ აუცილებლად ჩავიგდოთ ხელში და რა მსხვერპლის გაღებაც არ იქნეს საჭირო შევინარჩუნოთ: ა) ტელეფონი, ბ) ტელეგრაფი, გ) რკინის გზის სადგურები, დ) ხიდები, პირველ რიგში.

გამოყოფილ უნდა იქნეს ყველაზე გაბედული და ენერგიული ელემენტები (ჩვენი „უდარნიკები" და მუშა - ახალგაზრდობა, აგრეთვე საუკეთესო მატროსები) პატარ - პატარა რაზმებათ ყველა მნიშვნელოვან პუნქტების დასაკავებლად და იმ მიზნით, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ ყველგან და ყველა მნიშვნელოვან ოპერაციებში, მაგალითად:

გარს შემოერტყან და მოსწყვიტონ პეტროგრადი, აიღონ იგი ფლოტის, მუშების და ჯარის შეერთებული და შეთანხმებული შეტევით, — ასეთია ის ამოცანა, რომელიც მოითხოვს დიდ ხელოვნებას და სამკეც გამბედაობას.

შედგენილ უნდა იქნას მუშათა საუკეთესო რაზმები, შეიარაღებული თოფებითა და ბომბებით მტრის „ცენტრებზე" (იუნკრების სკოლები, ტელეგრაფი, ტელეფონი და სხვ.) შესატევად და მათთვის ალყის შემოსარტყმელად. ლოზუნგი უნდა იყოს: დავიხოცოთ ყველანი და არ გამოუშვათ არც ერთი მოწინააღმდეგე.

იმედი ვიქონიოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ გამოსვლა გადასწყდა, ხელმძღვანელები სათანადოთ და წარმატებით გამოიყენებენ დანტონისა*) და მარქსის რჩევებს.

როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო რევოლიუციის ბედი დამოკიდებულია 2—3 დღის ბრძოლაზე".

„ძირს დროებითი მთავრობა" — „გაუმარჯოს საბჭოებს"

უფაში შესდგა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მიერ მოწყობილი დემონსტრაცია მუშებისა და გარნიზონისა ლოზუნგებით: „ძირს დროებითი მთავრობა", „ძირს შეთანხმებლური პოლიტიკა", „მთელი ძალაუფლება საბჭოებს".

ბოლშევიკური რეზოლიუციები გამოიტანეს: პეტროგრადის საარტილერიო — საამშენებლო მუშების საერთო კრებამ (18.000 კაცი), მეფურლაქეების მოსკოვის კავშირმა, ვოლინის და ვოლოგდის გუბერნ. მთელ რიგ. სოფლების გლეხებმა და სხვადასხვა სამხედრო ნაწილებმა

ქარხანა „ძველი პარვიაინენ"-ის (პეტროგრადი) მუშების საერთო კრება ესალმება ბოლშევიკების გამოსვლას რესპუბლიკის დრ. საბჭოდან და აქეთკენ მოუწოდებს რევოლიუციონურ მუშების გლეხების და ჯარისკაცების ჭეშმარიტ წარმომადგენლებს. კრება აცხადებს, რომ „პირველ დაძახებისთანავე მზად არის გამოვიდეს იარაღით, მოღალატე დროებითი მთავრობის წინააღმდეგ". კრებამ 3.000 მან. გადასდვა ბოლშევიკური პარტიის და 2.000 მ. პეტროგრადის საბჭოს ფონდში.

პეტროგრადის ბოლშევიკური ორგანიზაციის საქალაქო კონფერენცია

(მეორე დღე)

ანგარიშს სააგიტაციო - საპროპაგანდო მუშაობის შესახებ აღნიშნავს, რომ მასებში ბოლშევიკური განწყობილების ზრდის გამო სააგიტაციო - საპროპაგანდო ძალები არასაკმარისია.

ამხ. პოდვოისკი აკეთებს მოხსენებას სამხედრო ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. მოხსენება აღნიშნავს ბოლშევიკური გავლენის საგრძნობ ზრდას სამხედრო ნაწილებში. იუნკრების სასწავლებლებში არსებობს სოციალისტურ - იუნკრების წრე 120 კაცის შემადგენლობით, აქედან 43 ბოლშევიკია.

კერენსკის „საიდუმლო" მოხსენება

კერენსკიმ აცნობა „პრედპარლამენტის" „უხუცესთა" საბჭოს, რომ მას განზრახვა აქვს „პრედპარლამენტის დახურულ სხდომაზე გააკეთოს მოხსენება ქვეყნის თავდაცვისა და პეტროგრადის ევაკუაციის შესახებ. „უხუცესმა" დაადგინეს კერენსკის მოხსენება მოისმინონ „პრედპარლამენტის" ღია სხდომაზე. აზრთა გაცვლა - გამოცვლიდან გამოირკვა, რომ „პრედპარლამენტში" შემავალ პარტიების ჯგუფების უმრავლესობა არადროულათ თვლის მთავრობის დაუყოვნებლივ გადასვლას მოსკოვში.

შავრაზმულ გაზეთის ისტერიკა.

შავრაზმული გაზ. „ნოვაია რუს" ეხება რა ბოლშევიკების გამარჯვებას მოსკოვის რაიონულ მუნიციპალურ საბჭოების არჩევნების დროს და მათი გავლენის ზრდას ყველგან, წინასწარმეტყველობს, რომ დამფ. კრებაში ბოლშევიკები მიიღებენ ადგილების 30 პროც., ესერები — 40 და სხვ. გაზეთი ისტერიულათ გაჰყვირის: „მოქალაქენო! მოითხოვეთ არჩევნების გადადება, განაცხადეთ პროტესტი დრ. მთავრობის ამ ახალი უგნურების წინააღმდეგ... მოიყვანეთ გონს მთავრობა. გაიღვიძეთ! იგრძენით! იმოქმედეთ! ჭეშმარიტი მთავრობის შექმნა დღევანდელ არევ - დარევის პირობებში შეუძლია მხოლოდ კაზაკობას". გაზეთი მოითხოვს კორნილოვის განთავისუფლებას.

მუშების ბრძოლა

პეტროგრადის აფთიაქების მოსამსახურეთა გაფიცვა გამწვავდა, რადგან აფთიაქების პატრონებმა უარი სთქვეს შტრეიკბრეხერების მოხსნაზე სამუშაოდან.

ყველგან იზრდება უმუშევრობა, მაგ. პეტროგრადის მეტალისტების კავშირში უმუშევართა რიცხვი ერთი კვირის განმავლობაში 1.832-დან 5.497-დე გაიზარდა.

ამიერ-კავკასიაში

(საქართველოს რევოლიუც. მუზეუმის მასალებიდან)

20 ოქტომბერი

„უთანხმოება" მენშევიკურ ოჯახში

მენშევიკების საოლქო კომიტეტის ინიციატივით ნაძალადევში—„აზრთა გაზიარების მიზნით—შესდგა მენშევიკების პარტიულ კომიტეტების და კოლექტივების წევრთა და პარტიულ პროპაგანდისტთა კრება.

კრებაზე ი. წერეთელმა გააკეთა ვრცელი მოხსენება მიმდინარე მომენტზე. თავის მოხსენებაში მან გაილაშქრა არა მარტო ძალაუფლების გადაცემის წინააღმდეგ საბჭოებისათვის, არამედ ერთფეროვანი დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგაც, რადგან „სამისო დრო ჯერ არ დამდგარა".

ეს თვალსაზრისი დაიცვა აკაკი ჩხენკელმაც.

ნოე ჟორდანიამ დაიცვა „საშუალო ხაზი" - დემოკრატიული მთავრობის შექმნის საჭიროება.

საბოლოო სიტყვაში ი. წერეთელმა საჭიროდ აღიარა „ისევ ძველი გზით სიარული, თუ გინდ აქედან იმსხვერპლოს ჩვენი (მენშევიკების) პოპულარობა".

ესერ-მენშევიკები საბჭოთა ყრილობის წინააღმდეგ

კავკასიის არმიის ჯარისკაცთა საბჭოების ესერ-მენშევიკურმა საბჭომ „არადროულად" აღიარა საბჭოების ყრილობის მოწვევა.

კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობა

თბილისში დაიხურა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყრილობა. არჩეულ იქნა პარტიის საოლქო კომიტეტი და სამხედრო ორგანიზაციების ბიურო.

21 ოქტომბერი

ქართველ მწერალთა ყრილობა

გაიხსნა ქართველ მწერალთა და ხელოვანთა ყრილობა.

გაფიცვა თბილისის სახ. სახლში

გაიფიცენ თბილისის სახალხო სახლის მოსამსახურენი და მუშები, რომლებმაც წარადგინეს ეკონომიური მოთხოვნილებები. დანიშნული წარმოდგენა არ შესდგა.

მოწაფეთა გაფიცვის გარშემო

ამიერ - კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან შესდგა თათბირი სამოსწავლო ოლქის კომისრების, პედაგოგიურ საბჭოების, მშობელთა წრეების და მოწაფეთა წარმომადგენლების მონაწილეობით. თათბირმა განიხილა საკითხი მოწაფეთა გაფიცვის მიზეზების შესახებ და დაადგინა: შემცირდეს ლათინური ენის გაკვეთილები და დაუშვას პედაგოგიურ საბჭოებში მოწაფეთა წარმომადგენლები, სათათბირო ხმით.

---

*) დანტონს ეკუთვნის ფრაზა: „გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა".

საბჭოთა საქართველო

წერილები

მტკივნეული საკითხი

წერილი საგარეჯოდან.

საგარეჯო როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად ძლიერი თემია. კერძოთ სოფ. საგარეჯოს ამ მხრივ პირველობა უკავია თბილისის მაზრის ყველა სოფლებში. აქ აღარებელი კულტურული ძალებია დაგროვებული მათში უმთავრესად ადგილობრივი. მოსახლეობის აქტივობამ და გაზრდილ-კულტურულმა მოთხოვნილებებმა ორი-სამი წლის წინეთ ხელისუფლების წინაშე დააყენა საშუალო განათლების სკოლის დაარსების აუცილებლობის საკითხი. ადგილობრივმა და მაზრის ხელისუფლებამ ეს საკითხი გადაჭრეს მოთხოვნილებისამებრ. დღეს საგარეჯოში 9 წლედი არსებობს —სპეც-აგრონომიული განხრით. ამ უკანასკნელმა თავის არსებობის მანძილზე უკვე ორი წყება სასწავლებელ დამთავრებულ მოწაფეთა საგრძნობი რაცხვი გამოუშვა. ერთი შარშან და ერთიც ა.-წ. გაზაფხულზე.

პედაგოგიური პერსონალი ჯანსაღი და მეტაფერიან ძალებისაგან შესდგება, სკოლის აგრონომებიც საკმარის ენერგიას, აქტივობას და მზრუნველობას იჩენენ საქმისადმი.

გამოშვებულ მოწაფეებზე სკოლის ხელმძღვანელებს დიდ იმედებს ჰქონდათ დამყარებული. სამწუხაროდ ამ იმედებს თავის გამართლება დღესაც ვერ აქვს. სამწუხაროა, როდესაც ერთის მხრივ სდგას ასეთი მაღალი ღირსების საბჭოთა სკოლა—და მეორე მხრივ ის უქნარა ახალგაზრდობა (მე ვლაპარაკობ უმრავლესობაზე), რომელიც არაფითარ საზოგადოებრივ მუშაობაში არ არიან ჩაბმული. გვაქვს ქოხ-სამკითხველო, თეატრი და უამრავი კულტურული დაწესებულება-ორგანიზაციები. აქ მათი მონაწილეობა არამც თუ უმნიშვნელოა, არამედ არაფერს არ წარმოადგენს.

იბადება კითხვა: რათ, რისთვის და ვისთვის ისწავლეს მათ? ნუ თუ იმისათვის რომ კრუხიწილს დაემგზავსნენ და ატარონ ძველი მეშჩანური ცხოვრების სახეები? აკი ხომ ასეა. ეს კითხვა უმთავრესად ქალებს ეხებათ, და მათში ზოგიერთ ვაჟსაც. მე არ ვლაპარაკობ მთლიან რიცხვზე, რადგან მათი ნაწილი ზოგი უმაღლესში შესული და ზოგიც საზოგადოებრივ საქმიანობის ფერხულშია ჩაბმული. ახალგაზრდობის მით უმეტეს საშუალო განათლებით აღჭურვილებს ეს არ შეჰფერის.

საჭიროა მათი აქტივობა, ყოველდღიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ცოცხალი და საღი ენერგიით გავამართლოთ ჩვენი სკოლის იმედები.

გიგა.

— : —

ჩოხატაური - სურების გზა

გზის დასამთავრებლად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. დიდ აქტივობას იჩენენ საგზაო მუშაობაში დედაკაცები, დელეგატ-ქალების ხელმძღვანელობით; მაგალითად: კვირას, 9 ოქტომბერს შუა-სურების ხაზზე 200-მდე ქალები მუშაობდა ლაფათქებით, თოხებით და წაკატებით.

ახლო მომავალში დამთავრდება გზის გაყვანა და დამთავრების დღე უეჭველად საზეიმო დღე უნდა გახდეს სურების მშრომელთათვის.

ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე სურების მშრომელ გლეხობას შეუძლია იამაყოს ამ გზის დამთავრებით, რადგან მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ რაიონისათვის.

სურების საზღვრამდე კი გზა შეუკეთებელია ჩოხატაურის და ბუკის-ციხის.

საჭიროა მათაც დაიჭირონ გზის შეკეთება.

ქ. უჩმაზურიძე.

ავჭალის თემი, თბ. მაზრა

სააღრიცხვო კონფერენცია.

7 ოქტომბერს ავჭალის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლაში გაიხსნა წლიური მუშაობის საანგარიშო კონფერენცია, რომელზედაც მოწაფეები შეუდგენ თავიანთი წლიური ნამუშევრის აღრიცხვას და ყოველივე ის, რაც წლის განმავლობაში შეუთვისებიათ ცოცხლათ გადაუშალეს კონფერენციას და გააცნეს შესწავლილი საგნები.

მოწაფეებს დამზადებული ჰქონდათ 4 მთავარი თემა. თვითეული თემა დაყოფილი იყო ცალკე ქვე-თემათ:

1-ლი თემა იყო: „ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობა". ამ თემაზე მოხსენება გააკეთა შემდეგმა მოწაფეებმა: ე. თევზაძემ, გ. არუთინოვმა, მ. ლეჟავა-მანიშვილმა, გ. ქოხოძელიძემ და ჯაჯაიაშვილმა.

მე-2 თემა იყო „ჩვენი სოფლის კლასობრივ დაჯგუფება და საზოგადოებრივი ცხოვრება". მოხსენება დავალებული ჰქონდა ცაციშვილს, ცვინარიას, ბერიძეშვილს, თევდორაშვილს, ჯერქიძეს, ფანიაშვილს, გიორგობიანს და ნახიძეს. მოხსენება დასრულდა სხვადასხვა შეკითხვებით.

მე-3 თემა იყო „ადგილობრივი ხელისუფლება და გლეხის უფლებრივი მდგომარეობა". მოხსენება გააკეთა ანანიამ, პეტროსიამ, ვარტანაშვილმა და მიქელ ბერიძეშვილმა.

მე-4 თემა იყო „საბჭოთა ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა". ამ თემაზე მოხსენება გააკეთა ბიძიძემ, ლებანიძემ, ამირანაშვილმა, ბუთიკაშვილმა და კატო ჩანიძემ. კონფერენცია გაგრძელდა ორ დღეს.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები სოფლებს უმზადებს ცოცხალ და საქმიან მომუშავეებს. ამ სკოლაში აგრეთვე არსებობს ა.-ლ.-კ. უჯრედი, რომლის მუშაობაში ჩაბმულია სკოლის მთელი მოწაფეობა.

გასულ წლის ასეთი ნაყოფიერი მუშაობისათვის მადლობის ღირსნი არიან ადგილობრივი სკოლის გამგე და თვით მასწავლებლობაც.

ან-კეშ.

— : —

ს. ხაიში, ზემო - სვანეთი

გახსენით კოოპერატიული სავაჭრო

ს. ხაიში მდებარეობს ჯვარი - მესტიას შუა ზემო - სვანეთში. ამ სოფლის გარშემო თავმოყრილია რამოდენიმე ათასი მუშა, ვინაიდან აქ არის საქ. ტყის მრეწველობის ტრესტის სვანეთის რაიონის დამამზადებელი ნაწილის ანგარიში. ასეთ ადგილას არ არის კოოპერატიული სავაჭრო და როგორც მუშები, ისე მოსახლეობაც განიცდიან დიდ გაჭირვებას. ხანდახან გამოჩნდებიან ჩარჩები. რომლებიც საზღაპრო ფასებს ახდევინებენ ამა თუ იმ საქონელში. ამავე დროს ს. ლახამულაში გახსნილია მესტიის კოოპერატივის განყოფილება, რომელიც მოთხოვნილების ნაკლებობის გამო თითქმის უმოქმედოთაა.

უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ამ კოოპერატიული სავაჭროს სოფ. ხაიშში გადმოტანა, რისთვისაც უნდა იზრუნოს როგორც აღმასკომმა, ისე კოოპერატივის გამგეობამ.

გ. მუბლაძე.

წერილებიდან

ნ. მარტყოფი, თბილისის მაზრა

გაიყვანეთ არხი

მარტყოფის მიდამოები ზაფხულობით გადაბუგულია გვალვისაგან, რის გამო მოსავალი ცოტა მოდის და გლეხობაც ძალზე ღარიბია. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მდინარე იორიდან გამოყვანილი იქნეს სარწყავი არხი, რომელიც საგრძნობლად გააუმჯობესებს გლეხების მდგომარეობას.

გლეხობა მზადაა არხის გასაყვანად გაიღოს თავისი წვლილი, მაგრამ ხელმძღვანელი არავინ სჩანს.

საჭიროა თბილისის აღმასკომმა ყურადღება მოგვაქციოს და არხის გაყვანაში დაგვეხმაროს.

ომერ-ოღლი.

ს. გაგები, წუნეთის თემი

ჩვენი სოფლის ავ-კარგი

სოფ. გაგებში კულტურული მუშაობა ძალზე მოისუსტებს, აქ არ არის ქოხ სამკითხველო, არ არის გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები, რის გამო ადგილობრივ ღარიბი გლეხობა მოკლებულია კულტურულ საზრდოს.

გარდა ამისა, გლეხობა უკმაყოფილოა იმით, რომ აქ არ არის კოოპერტივი, რის გამო ისინი ჩარჩ დუქნებს უვარდებიან ხელში და ისედაც ღარიბ გლეხობას ტყავს აძრობენ. არც წყალსადენი გვიდგია. გვაქვს მხოლოდ ერთი სკოლა, სადაც მუშაობს ერთი მასწავლებელი და საქმეს ვერ ასდის.

საჭიროა აღმასკომმა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და დაეხმაროს ჩამორჩენილ სოფლის დაწინაურებაში.

ვახტ. ელიზბარაშვილი.

სოფ. ბარი, რაჭის მაზრა

უნდა ჩამოერთვას

სოფელ ბარში მცხოვრებმა არსენ გქლიძემ გაყიდა სახნავი მიწა, რომელიც იყიდა მისმა მეზობელმა შალიკო გქლიძემ, მიუხედავად იმისა, რომ მიწის კოდექსის ძალით მიწების ყიდვა-გაყიდვა სასტიკად აკრძალულია, ხსენებული პირობისთვის დღემდის პასუხი მაინც არავის მოუთხოვია.

საჭიროა შალიკო გქლიძეს ჩამოერთვას ნაყიდი მიწა, თორემ მის მაგალითს სხვებიც წაბაძავენ და მიწების ყიდვა - გაყიდვა სოფლად გახშირდება.

ზაზვილი.

იანეთის თემი, ქუთაისის მაზრა

რასა გავს ეს?

იანეთის თემის აღმასკომის თავმჯდომარეს ალ. ბაღ არ ესმის თავის მოვალეობა, როცა მასთან მისულ გაჭირვებულ გლეხს აძლევს მოწმობას მათხოვრობისათვის. რა საჭიროა ასეთ მოწმობაზე? ის რომ ესა და ეს კაცი არის ღარიბი და ამიტომ პატიოსან მოქალაქეთ სთხოვს ადმასკომი (!) დაეხმარონ.

ამ სტრიქონების დამწერთან მატარებელში მოვიდა უცნობი გლეხი და წარადგინა მოწმობა № 564, 1927 წლის 2 აპრილის მიცემული იანეთის აღმასკომიდან. რა არის ეს, თუ არა მათხოვრობის პროფესიის დაკანონება?

საჭიროა ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა მოუთითოს ამის შესახებ იანეთის აღმასკომის თავმჯდომარეს.

მგზავრი.

სოფლის ქრონიკა

— თუთის სანერგე. გორის მაზრაში შეუდგენ თუთის სანერგეს მოწყობას, საიდანაც გლეხებს მიეცემათ ნერგები უფასოთ.

— ქუთაისის სამაზრო გლეხკომის სახლში უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში გაიარა 1112 გლეხმა.

— აგურის ქარხანა. ახლო ხანში შორაპნის მაზრაში შეუდგებიან აგურის ქარხნის აგებას.

— მარანი. თელავის მაზრაში შეუდგენ დიდი მარნის აგებას.

— წყალსადენი. მეჯვრისხევში (გორის მაზრა) გამოჰყავთ წყალსადენი, რომელიც ჯდება 13.000 მან.

— ხიდი. ცაიშის თემში (ზუგდიდის მაზრა) შვიდწლედისათვის აგებულ იქნა ახალი შენობა.

— გადასახადის შემცირება. ქედის მაზრაღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა წყალდიდობისაგან გაზარალების გამო გლეხებისათვის სას.-სამ. გადასახადის შემცირების შესახებ.

მზადება ოქტომბრის ათი წლის თავისათვის

№ ქართ. საარტ. ლეგიონი

ლეგიონში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლად. გამოყოფილია დღესასწაულის ჩამტარებელი კომისია. ლენ კუთხეებში ტარდება საუბრები ოქტომბრის დღეების მნიშვნელობაზე; დრამატიული წრე ამზადებს პიესებს და იმპროვიზაციებს; მზადდება ნაწილის მიღწევების ამსახველი დიაგრამები. რედკოლეგია ამზადებს კედლის გაზეთის სპეციალურ ნომერს. საპოკალატო ორგანიზაციასთან ერთად მოწყობილი იქნება ახლო მომავალში ექსკურსია რევოლუციის მუზეუმში. დღესასწაულთან დაკავშირებით შესდგება სამხედრო კუთხის საზეიმო გახსნა მუშათა ცენტრალურ კლუბში. ამ დღისთვის გახსნილი იქნება ამხ. ფრუნზეს სახელობის ლეგიონის ახალი კლუბი.

კვახაძე.

ჯანსახკომში.

ჯანმრთელობის კომისარიატში შესდგა ოქტომბრის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისიის სხდომა. რომელზედაც შედგენილი იქნა გეგმა დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. გეგმის მიხედვით 7—8 ნოემბერს გატარებული იქნება შემდეგი ღონისძიებები.

7 ნოემბერს თბილისში გაიხსნება სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტი, კათედრით, მუზეუმით და ლაბორატორიით. ჯანმრთელობის კომისარიატს და მთავარ საკურორტო სამმართველოს ფიზიოთერაპევტიულ ინსტიტუტთან მოეწყობა რენტგენის განყოფილება; სამეან-გინეკოლოგიურ ინსტიტუტთან გაიხსნება პოლიკლინიკა ბავშვთა განყოფილებით.

ქუთაისის ქალაქის დისპანსერთან მოეწყობა საბავშვო სანატორიუმი 10 საწოლით; ჩოხატაურში გაიხსნება ახალი საავადმყოფო, რომელსაც ჯანმრთელობის კომისარიატი უფასოდ გადაზავნის საჭირო ხელსაწყო იარაღებს.

ბორჯომში საფუძველი ჩაეყრება ამბულატორიის შენობას. ამბულატორიის მოწყობა დამთავრდება წელს.

ოზურგეთის ვენერიული ამბულატორია გადაკეთდება სამაზრო ვენერიულ დისპანსერად. ოზურგეთის აბრეშუმის სახვევ-სართავ ქარხანასთან მოეწყობა ამბულატორია. ახალქალაქის, ონის, ამბულატორიის და საჩხერის საავადმყოფოს უფასოდ დაეგზავნება თეთრეული.

ცაგერში გაიხსნება ვენერიული დისპანსერი.

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავისათვის ახალი ჰიდრო ელსადგური

თბილისის აღმასკომის ცნობით, ოქტომბრის დღესასწაულებისთვის ყარაიაზში დამთავრდება ჰიდრო ელექტრონის სადგურის აგება, რომელსაც პირველ ხანებში ექნება 40 ცხენის ძალა. სადგური ამუშავებული იქნება არხის საშუალებით, რომლის გამოყენება უკვე დამთავრებულია, სადგურის შენობის აგებაც სავსებით დამთავრებულია. ტურბინებიც დადგა. ამჟამად სწარმოებს მხოლოდ ელექტრონის ენერგიის გამტარებელ ქსელის გაყვანა.

პირველად ჰიდრო სადგური გაანათებს შემდეგ სოფლებს: ყარათაფას ერთობას, მიხაილოვკას და ვასილოვკას, სადაც დაახლოვებით ითვლება 500 მეკომური. ამას გარდა მოეწყობა ყარაიაზის თემის აღმასკომის და საზოგადოებრივ კულტურულ დაწესებულებების განათება.

მომავალში გადაწყვეტილია არხის გაღრმავება და გაფართოვება, რითაც საგრძნობლად გაიზრდება ჰიდრო ელსადგურის ძალა, რის შემდეგ სადგური სავსებით დააკმაყოფილებს ყარაიაზის რაიონის მოთხოვნილებას.

წყალსადენი

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე ყარაიაზში დამთავრდება წყალსადენის გამოყვანა: ადგილობრივი მოსახლეობა დღემდე ხმარობდა არხის წყალს, რომელიც ცუდი ღვისებისაა. ამრიგად ოქტომბრის დღესასწაულებზე ყარაიაზში ამუშავდება ჰიდრო ელსადგური და გამოყვანილი იქნება წყალსადენი.

ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების შემცირება

ს. მ. უ. საბჭოს წარმოებებში

17, 18 და 19 ოქტომბერს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმთან შესდგა თათბირი იმ სპეციალური კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს უხელმძღვანელოს ხარჯების შემცირებას ს. მ. უ. ს. ყველა წარმოებებში. კომისიის სხდომებს ესწრებოდნენ ყველა იმ წარმოება-დაწესებულებათა წარმომადგენლები, რომელთა ხარჯთაღრიცხვების განხილვაც შეტანილი იყო დღის წესრიგში.

კომისიის მიერ განხილულ იქნა ხარჯების შემცირების გეგმები შემდეგ ტრესტებისა და წარმოებების: აბრეშუმის ტრესტის, ქუთაისის საგრენაჟო სადგურის, სატყეო მრეწველობის ტრესტის, პოლიგრაფ. ტრესტის ყველა წარმოებების (სტამბები, პოლიგრაფკოლა, ახოთშემხმელი ქარხანა და სხვა). თამბაქოს ტრესტის, ტყავტრესტის, ლითონტრესტის, სამთომრეწველობის ტრესტის და ყველა ცალკე ქარხნების და წარმოებების, როგორც მაგალ. ტყიბულის მაღაროების, შროშის ქარხნის, გლაუბერის მარილის წარმოების და სხვა.

კომისიის სხდომებზე აღნიშნულ იქნა, რომ ზოგიერთ ტრესტებსა და წარმოებებში ადმინისტრატიულ-სამეურნეო და სხვა ხარჯების შემცირება შესაძლებელია 20 პროცენტზე მეტი რაოდენობით და წინადადება მიეცა ყველა წარმოებებს დაჩქარებით შეუდგენ ხარჯთაღრიცხვების შედგენას 1927—28 საოპერაციო წლისათვის ხარჯთაღრიცხვების შედგენისას უნდა იხელმძღვანელონ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და აღნიშნულ თათბირებზე გამოტანილი დადგენილებით.

თათბირზე განხილული იქნა აგრეთვე ყველა ჩამოთვლილი ტრესტებისა და წარმოებების შტატები და ჩამოთვლილ იქნა ის მთავარი ხარჯები, რომელთა შემცირებაც შესაძლებელია პირველ რიგში შესამცირებელ ხარჯებათ მიჩნეულია: საკანცელარიო გასავალი, მივლინების ხარჯები, საფოსტო სატელეგრაფო ხარჯები, ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერი თანხები, გაზეთების ხარჯები და სხ.

სატყეო მრეწველობის ტრესტის ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს კომისიამ გამოარკვია, რომ აღნიშნულ ტრესტში უკვე მომხდარა ხარჯების შემცირება საკმაო რაოდენობით (22,8 პროც. გასული წლის ხარჯებთან შედარებით). ამ ტრესტის შესახებ თათბირმა აღნიშნა, რომ დირექტივა ხარჯების შემცირების შესახებ იქ სავსებითაა შესრულებული.

დანარჩენ ტრესტებს თათბირმა დაავალა უახლოესი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ მასალები ადმ.-სამეურნეო ხარჯების შემცირების და შტატების შემოკლების შესახებ.

„ზაკუტილსირიეში".

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატის ინსპექციამ განიხილა „ზაკუტილსირიეში" ადმინისტრატიულ-სამეურნეო და მმართველობის ხარჯების შემცირების საკითხი.

ინსპექციამ დაადასტურა, რომ საზოგადოების გამგეობამ მოუხდინა ყველა ხარჯების შემცირება 28,7 პროცენტით გასულ 1926—27 საბიუჯეტო წლის ხარჯებთან შედარებით, თანახმად დირექტივისა კი ხარჯების შემცირება უნდა მომხდარიყო 32 პროცენტით.

ამის შემდეგ გამგეობას კიდევ ჩაუტარებია ხარჯების შემცირება 2,2 პროცენტით, ამრიგად „ზაკუტილსირიეში" ხარჯები კიდევ არის შესამცირებელი 1,1 პროც.

თათბირი სუბტროპიკულ კულტურების შესახებ

სოხუმი, 20 ოქტომბერი. ამხ. სელიაკინომა გააკეთა მოხსენება სუბტროპიკული კულტურების კლიმატიური საზღვრების შესახებ შავი ზღვის სანაპიროებზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კულტურების კლასიფიკაციისათვის აფხაზეთში ჰავის მიხედვით აუცილებელია მეტეოროლოგიური ქსელის გაფართოება, სწორი გიპსომეტრიული რუქების დამზადება და სუბტროპიკული კულტურების რაიონების გამოკვლევა.

ამხ. კვარაცხელიამ გააკეთა მოხსენება აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის მოქმედების შესახებ. მან აღნიშნა სადგურის მიღწევები სუბტროპიკული მცენარეების კლიმატიზაციის დარგში. მომხსენებელი შეეხო რა მუშაობის დეფექტებს, აღნიშნა, რომ სადგურს არ ჰქონდა სწორი მეთოდი და მისი მუშაობა ვერ იყო დაკავშირებული გლეხთა მეურნეობასთან. ეხლა სადგური ყოველი ძალ-ღონით სცდილობს ამ დეფექტების აღმოფხვრას. დასასრულ ამხ. კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის საცდელი სადგურის მოქმედება უნდა გავრცელდეს სასოფლო მეურნეობის ყველა დარგებზე.

პროფესორმა **კოსტეცკიმ** გააკეთა მოხსენება დეკორატიული მებაღეობისა და მეყვავილეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ შავი ზღვის ნაპირები საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს სხვადასხვაგვარი დეკორატიული კულტურების განვითარებისათვის. ჩვენი კავშირის მებაღეობის მრეწველობას ძალიან დიდი რაოდენობით ესაჭიროება დეკორატიული მცენარეები, რომელიც საზღვარ-გარეთიდან შემოგვაქვს (რომამდე დეკორატიული მცენარეების იმპორტი რამოდენიმე მილიონ მან. უდრიდა). ეს მოთხოვნილება თითქმის სავსებით შეუძლია დააკმაყოფილოს შავი ზღვის სანაპიროებმა და კერძოდ აფხაზეთმა. მებაღეობის განვითარებისათვის აფხაზეთში საჭიროა დახარისხებული სათესლე მასალა იაფი ტრანსპორტი, მიწათმოწყობა და კრედიტი.

საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობისა და სამეურნეო-ტეხნიკური სამმართველოს საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორმა არციბაშევმა გააკეთა მოხსენება სუბტროპიკული კულტურების განვითარების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის ახალ, მეცნიერულ მეთოდებზე გადასვლას. მომხსენებლის აზრით უდიდესი სიფრთხილე უნდა იქნას გამოჩენილი კულტურების არჩევის დროს. დასასრულ არციბაშევმა წინადადება შეიტანა, რომ მოეწყოს სუბტროპიკულ მცენარეთა გამოფენა აფხაზეთში, მოსკოვში და ხარკოვში.

შემდეგ თათბირმა მოისმინა პროფესორ კოსტეცკის მოხსენება პრაქტიკული ბოტანიკის საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის განყოფილების მუშაობის შესახებ. მიმდინარე წელში განყოფილებებში მუშაობდა 30 სამეცნიერო მუშაკი. მუშაობის უმთავრესი დარგები იყო: ტეხნიკური (მთრთილავი, ყაოჩუკის, სუბტროპიკული, საფეიქრო) და სამინდვრე კულტურების. სამინდვრე განყოფილებაში ითესებოდა ბრინჯის მსოფლიო კოლექციების 3.600 ხარისხი. სწარმოებდა სიმინდის, ხორბლის და შვრიას ხარისხობრივი გამოკვლევა. განყოფილებამ ჩაატარა აფხაზეთის კულტურული ფლორის გამოკვლევა და შეაგროვა თესლის 5.000 ნიმუში. აღმოჩენილ იქნა ზოგიერთი აუწერელი კულტურული მცენარეები.

თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომ გამოიცეს ჟურნალი სუბტროპიკული კულტურების შესახებ. დელეგატებმა დაათვალიერეს „ცინსპოს" სუბტროპიკული ბაღი, მოსკოვის კომუნალური მეურნეობის აგარაკი, სმეცკის ყოფილი პარკი, რომელიც ეხლა პრაქტიკული ბოტანიკის ინსტიტუტის გამგებლობაშია იმყოფება. განსაკუთრებული ყურადღებით იქნა დათვალიერებული სანერგე ინსტიტუტი. (ადს).

ა.-კ. ცაკში

ლონინქიმების ოპიუმზე სახელმწიფო მონოპოლიის დარღვევის წინააღმდეგ

ა.-კ. ცაკმა წინადადება მისცა ა.-კ. ს.ფ.ს. რ.-ში შემავალ რესპუბლიკების ცენტრ. აღმას. კომიტეტებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულ იქნეს ლონინქიმების ოპიუმზე სახელმწიფო მონოპოლიის დარღვევის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კანონების საფუძველზე.

მიწერ - მოწერის ენა ა.-კ. რესპუბლიკებს შორის

ა.-კ. ცაკმა დაავალა საკანონმდებლო კომისიას დამუშაოს საკითხი, ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს შორის მიწერ - მოწერის ენის შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგინოს ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმს სათანადო დადგენილება.

წითელ - არმიელთა ინტერესების დასაცავად

ა.-კ. ცაკმა დაადგინა შეავსოს წითელ - არმიელებსა და მათი ოჯახების უფლებებზე საპროკურატურო ზედამხედველობის შესახებ გამოცემული ინსტრუქცია დებულებით იმის შესახებ, რომ საპროკურატურო ზედამხედველობის ორგანოები ვალდებულნი არიან იქონიონ მუდმივი ზედამხედველობა. ტარდება თუ არა თავის დროზე სასამართლო ორგანოებში საქმეები, რომლებშიდაც ერთ - ერთ დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ წითელ - არმიელები და მათი ოჯახები.

თანამდებობის პირები, რომელთაც არ მიიღეს, ან თავის დროზე არ მიიღეს ზომები წითელ - არმიელთა ან მათი ოჯახების კანონიერ ინტერესების დასაცავად, ეძლევიან პასუხისგებაში, როგორც უპასუხისმგებლო თანამდებობის პირნი.

საქ. სას. სამ. ბანკში

წითელ არმიელთა მეურნეობის ფონდი

საქართველოს სასოფლო სამეურნეო ბანკმა წითელ არმიელთა მეურნეობის დასახმარებლად გადასდო გრძელ ვადიანი სესხი 5,000 მანეთის რაოდენობით. ეს სესხი გაიცემა იმავე პირობებით, როგორც თანხები ღარიბ გლეხთა ფონდიდან.

გრძელვადიანი სესხი კოლექტიურ ამხანაგობებს

საქართველოს სასოფლო სამეურნეო ბანკმა საკრედიტო ამხანაგობების კოოპერატიულ მეურნეობებისათვის დასახმარებლად გაანაწილა გრძელვადიანი სესხი 7.500 მანეთის რაოდენობით.

სესხი ღარიბებს შინამრეწველებს

ღარიბების შინა მრეწველთა დასახმარებლად საქართველოს სასოფლო სამეურნეო ბანკმა გადასდო გრძელ ვადიანი სესხი 15.000 მან. რაოდენობით. სესხი მიეცემა შემდეგ სახის შინამრეწველებს: ხის გადამმუშავებლებს, მაუდის მთელავებს, თიხის ჭურჭლის დამამზადებლებს ლითონის გადამმუშავებლებს, ხელის მქსოველებს, შალეულის, აბრეშუმის და ნოხ-ფარდაგის მქსოველებს.

საგეგმო კომისიაში

ხის დამამუშავებელი ქარხანა

საქართველოს სახელმწ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების მიერ წარმოდგენილი ხის დამამუშავებელ ქარხნის ხარჯთ-აღრიცხვა. ქარხნის ასაშენებელ ადგილის ასარჩევათ მოწვეული იქნება სპეციალური კომისია

ფშავეთის გზა

საგეგმო კომისიამ განიხილა და მოიწონა სასოფლო-სამეურნეო სექციის დასკვნა ფშავეთში გზის გაყვანის შესახებ. აღნიშნული საქმე დასამტკიცებლად გადაეცა სახკომსაბჭოს.

ტყის ექსპორტი

რესპუბლიკანურ მნიშვნელობის ტყის საზღვარ-გარეთ გამზიდველ ორგანოთ სახ. საგეგმო კომისიის დასკვნით, აღიარებულია საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტი.

სატყეო მრეწველობის ტრესტს წინადადება მიეცა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დაამუშაოს ყველა საკითხები საექსპორტო ტყის დამზადება-რეალიზაციის შესახებ, რათა წლის მეორე ნახევარში შესაძლო იქნეს დასახულ პროგრამის განხორციელების დაწყება.

მცხეთის ხე-ტყის სახერხი ქარხანა საჩქაროთ უნდა იქნეს მოწყობილი მაგარი და ძვირფასი ჯიშის ხეების დასახერხად.

ტრესტის სპეციალურ საბრუნავი თანხების გასაძლიერებლად, საგეგმო კომისია საჭიროთ ცნობს მიეცეს ტრესტს 500.000 მან. სესხი.

სავეტერინარო უმაღლესი განათლება

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაავალა სასოფლო-სამეურნეო და სოციალ-კულტურულ სექციებს, სახელმწიფო უნივერსიტეტთან და მიწათ-მოქმედების და განათლების სახალხო კომისარიატებთან ერთად დამუშაონ საკითხი სავეტერინარო უმაღლესი განათლების შესახებ და თავისი დასკვნა წარუდგინონ სახელმწ. საგეგმო კომისიას.

ახალი გვირაბი

ლენინის მუშათა რაიონი, ნაძალადევი დღითი დღე ფართოვდება. ქალაქი განსაკუთრებით იზრდება ამ მიმართულებით, ამ რაიონში მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ მუშები. თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება უკვე შეუდგა ამ რაიონის კეთილმოწყობას. უკვე სწარმოებს ქუჩების გაფართოვება-შეკეთება, კანალიზაციის გაყვანა, მუშათა სახლების აგება და სხვა.

ამ რაიონის ერთ დიდ ნაკლს წარმოადგენს ტვირთსაზიდავი გზის სიმწირე. ამჟამად საავტომობილო მიმოსვლა და ტვირთების გადაზიდვა ამ რაიონში ცენტრიდან სწარმოებს დიდი მანძილიდან მოვლით (საბჭოთა ქუჩის მიმართულებით).

ამის გამო თბილისის აღმასკომს განზრახვა აქვს სადგურის ქუჩიდან ნაძალადევში გაიყვანოს გვირაბი, რომლის საშუალებით იწარმოებს როგორც საავტომობილო-საბარგო, ისე ფეხით მიმოსვლა. ამჟამად სწარმოებს პროექტების და ხარჯთაღრიცხვის შედგენა, რომლის დამტკიცების შემდეგ შეუდგებიან გვირაბის გაყვანის საქმეს.

მფლანგველი მოლარე

ამ უკანასკნელ ხანებში სადგ. გურჯაანის (კახეთის ხაზზე) ბილეთების სალაროში ძალიან გახშირდა ფულების „ქურდობა".

უკანასკნელად, 17 ოქტომბერს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში მოვიდა ცნობა, რომ ღამით 16—17 ოქტომბერს სადგ. გურჯაანის ბილეთების სალაროდან მოიპარეს 339 მან. და 45 კაპ.

ამ შემთხვევის გამოძიება და ქურდის აღმოჩენა დაევალა ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს სატრანსპორტო განყოფილებას.

საქმის გამოძიებამ დაამტკიცა, რომ სადგ. გურჯაანის მოლარე **გიორგი სიმონისძე მაისურაძეს** არა ერთხელ გაუფლანგავს სალაროში შემოსული თანხები.

იგი ჯერ კიდევ 5 ოქტომბერს იქნა შემჩნეული ნავთლუღამდი გაყიდულ ხუთი ბილეთის საფასურის მითვისებაში, 14 ოქტომბერს მან სალაროდან ამოიღო 83 მან. და გაფლანგა.

ამის შემდეგ მაისურაძემ განიზრახა თავიდან აეცილებია ბოროტმოქმედების აღმოჩენის საფრთხე და ამისათვის შემდეგ ხერხს მიმართა

17 ოქტომბერს კახეთის მატარებლის წასვლის შემდეგ, ღამის 11 საათზე მან ჩამოუშვა სახელოთო სალაროს ფანჯრის ფარდა, გასტეხა გარეთა ბოქლომები, ჩაიდო ჯიბეში სალაროდან წაღებული 339 მან. და 49 კაპ. და განაცხადა, რომ სალარო გასტეხესო.

მაგრამ მაისურაძის ოინება არ გაუვიდა. საგზაო სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თანამშრომლებმა მიუხვდნენ მას მაქინაციებს და დაუმტკიცეს სახელმწიფო ფულის გაფლანგვა.

მოლარე მაისურაძე ამჟამად მოხსნილია სამსახურიდან და მიცემულია პასუხისგებაში.

საქონლის შემოზიდვა

საქართველოში ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ეკონომიურმა განყოფილებამ ჯამი გაუკეთა პირველ საჭიროების საგნების შემოზიდვას 1926—27 წ.

პური. 1925—26 წელში შემოზიდულ იქნა 4,696.000 ფუთის რაოდენობით, ხოლო 1926—27 წელში შემოზიდულია 6.236.000 ფუთი, თუ წარსულ წელში პურის შემოზიდვის გეგმა შესრულებულ იქნა 142 პროცენტით, ეხლა ეს პროცენტი გაიზარდა 152,8 პროც.

ბამბის ფართლეული 1925—26 წ. შემოიზიდა 478 ვაგონი, ხოლო 1926—27 წელში—530 ვაგონი, ე. ი. 1925—26 წ. გეგმა შესრულდა 93,3 პროცენტით, ხოლო 1926—27 წელში—79,5 პროც.

შაქარი შარშან შემოზიდული იქნა 882.000 ფუთი, წელს 781. 900 ფ. შარშან გეგმა შესრულდა 110,3 პროცენტით, წელს კი 97,7 პროცენტით.

სილიკატური ნაწარმოები 25—26 წ. შემოვიდა 150 ვაგონი, ხოლო 26—27 წელს 287, შარშან გეგმა განხორციელდა 65,2 პროცენტით, წელს კი 95,8 პროც.

ქალოშები: შარშან—174,000, წელს—337.900 წყვილი, გეგმის შესრულება შარშან—69,6, წელს 96,5 პროც.

ასანთი: შარშან—74, წელს 77,5 ვაგონი. გეგმის შესრულება: შარშან—81,1, წელს—93,4 პროც.

ქაღალდი: შარშან—204.000, წელს—259.000 ფუთი, გეგმის შესრულება: შარშან—78,1, წელს—64,9 პროც.

ლითონი, როგორც სამრეწველო, ისე ფართო სამომხმარებლო, შარშან შემოტანილ იქნა 358,800 ფუთი, ხოლო წელს მრეწველობისათვის მიღებულია 466.900 ფუთი, ფართო მოხმარებისათვის 336.900 ფუთი, გეგმა შესრულებულია შარშან 24,3 პროცენტით, წელს—58,6 პროც.

ნავთი: შარშან—1.242,500 ფუთი, წელს—1,495.200 ფუთი, გეგმის შესრულება: შარშან 99,4 პროცენტით, წელს—119,7 პროცენტით.

ტყავი და ფეხსაცმელი შემოზიდულ იქნა შარშან—ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით, ხოლო წელს ტყავი 756,300 მან., ფეხსაცმელი 1.060,000 მან. გეგმა შესრულებულია 72,7 პროც.

შალეული მასალა შემოიზიდა წელს 4.910.000 მანეთისა, გეგმა შესრულებულია 86,9 პროც.

სულ შარშან საქართველოში შემოზიდულ იქნა 42.718,000 მან. საქონელი. წელს 55.926000 მან. თუ აქედან გამოვაკლებთ შემოზ: ტყავის, ფეხსაცმელის და შალეული მასალის ღირებულებას, რომლებიც შარშან არ ყოფილა შემოზიდული, მაშინ წელს შემოზიდული საქონლის ღირებულება უდრის 49,199.400 მან.

ყაზბეგის ჰიდრო-ელსადგური

ყაზბეგის ჰიდრო - ელსადგურის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 5 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: დავით მოსესძე **ჭარხალაშვილს**, ნინო მიხეილის ასული **ჭარხალაშვილისა**, ალექსანდრე (საშა) სოლომონისძე **თუთბერაშვილი** (გორი), ლევან ესტატესძე **ქუბაშვილი** (ს. ყაზბეგი), გიორგი სტეფანესძე **ალიბეგიშვილი** (თბილისი), ვარდო (თევდორე) იოსებისძე **ფიცხალაური** (თბილისი), ფიდო ზაქარიასძე **ჯამარჯაშვილი** (ყაზბეგი), ილიკო მიშიასძე **ქუბაშვილი** (ყაზბეგი), ლადო კონსტანტინ. **გოძიაშვილი** (ყაზბეგი), გიორგი ლაზარესძე **ჩოფიკაშვილი**, ასაბე **სუჯაშვილი** (კავკავი), დოლდი ლევანისძე **ავსაჯანაშვილი** (კავკავი), გიორგი ფიდოსძე **ავსაჯანაშვილი** (თბილისი), ლადო ივანესძე **ფიცხალაური** (ყაზბეგი), იაგორ საბასძე **ხახლიშვილი** ტეფო იოსებისძე **ფიცხალაური**, გრიშა ფაჯიაშვილი სიონი, ლევან სოლომონისძე **ფიცხალაური**, გრიშა მიხეილისძე **მონავწოვი** ლაზა კონსტანტინესძე **გოგეშვილი** (თბილისი), შალვა ანდრიასძე **ყაზალიკაშვილი**, [illegible] ფაძე (ყაზბეგი).

ს. ვაჟაშვილი.

შემომაქვს 5 მან. ყაზბეგის ჰიდრო-ელსადგურის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

განათლების კომისარიატიდან — დ. მელიქაძეს, დიმ. გურგენიძეს და შალვა სიხარულიძეს.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლების შემდეგ გამგეებს: შ. გენძეხაძეს ი. დევიძეს, მ. მშვილდაძეს, ლ. ციხისთავს, ვ. ჩხუბიანიშვილს, ა. გოგიშვილს, ვ. ღლონტს, შ. კობალაძეს, ა. ნოზაძეს, ბ. გოგიჩაიშვილს, ა. ფირანიშვილს, ი. შენგელიას, შ. ქეიშვილს, შ. მახარაძეს, კ. კალანდარიშვილს, ვ. ქანთარიას, დ. ზავადეჩკორიას; ოზურგეთიდან—ს. კოპალეიშვილს და დიმ. სიმვულიდის. დუშეთიდან — შ. ცქვიტინიძეს, ი. იორდანიშვილს, ნინიძეს, ხ. მელიქიშვილს, ბ. ჟღენტს, დ. ჟღენტს.

პ. კოპალეიშვილი.

ქრონიკა

სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შეღავათები

ა. კ. სახკომსაბჭომ მიმართა ა. კავკასიის რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს წინადადებით მიიღონ საჭირო ზომები, რათა ღარიბების და სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ მოსახლეობისათვის საგანაკვეთო დაზღვევის შეღავათების მისაცემად გაცემული თანხები მთლიანათ იქნეს განაწილებული არა უგვიანეს ერთი თვისა.

სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი მოსკოვში

24 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა კავშირის სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის კავშირების საოლქო განყოფილებათა წარმომადგენლების თათბირი. საქართველოდან „სოფლის კავშირის" წარმომადგენლად თათბირზე მივლინებულია ლაჟვაიანი.

წარმოებათა დაჯარიმება

ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ დააჯარიმა 100-მდე შინა-მრეწველ ხელოსანთა და კერძო პირთა წარმოებები, რომლებიც თავის დროზე არ გატარდენ შესაფერ აღრიცხვაში.

კერძო წარმოებათა აღრიცხვას აწარმოებს ადგ. მრეწველობის განყოფილება, თანახმად სახკომსაბჭოს დადგენილებისა. აღრიცხვის მიზანია გამოარკვიოს კერძო კაპიტალის როლი რესპუბლიკაში არსებულ წარმოებებში.

ქარხნის გადაცემა

უმაღლეს ეკ. საბჭოს დადგენილებით, ამორჩეულია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლოს ლითონტრესტის № პირველი (ამხ. მ. კალინინის სახელობის) ქარხნის გადაცემის საქმე თბილისის აღმასკომისათვის. ქარხანა აწარმოებს უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთებას და მათი სათადარიგო ნაწილების დამზადებას.

კომისიაში შედიან ამხ. ე. ალიბაია, ვ. ავალოვი, მაჩაიძე და ხვედელიძე.

ჩვენი ტრესტების პროდუქცია შორეულ ბაზრებზე

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაავალა ყველა ტრესტებს მიიღონ ზომები მათი პროდუქციის გასაღებად საბჭოთა კავშირის შორეულ ბაზრებზე. პირველ რიგში განზრახულია საშუალო აზიის ქვეყნების და ჩრდილო კავკასიის ბაზრებზე გასვლა.

პროდუქციის გასასაღებლად ტრესტები უნდა ერიდონ საკუთარი განყოფილებების გახსნას. საქონლის გასასაღებლად მათ უნდა გამოიყენონ სახელმწიფო და კოოპერტიული ორგანოების აპარატი.

თბილისის აღმასკომში

◆ **მაზრის კეთილმოწყობის მიზნით** სამაზრო კეთილმოწყობის სექციის დაევალა დაგეგმოს თემები.

◆ **ქუჩების გაფართოვება.** კეთილმოწყობის განყოფილებამ გადასწყვიტა გააფართოვოს ქალაქში არსებული უსწორმასწორო ქუჩები.

◆ **ქალაქში სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების** დაცვის გაძლიერების მიზნით აღმასკომმა გადასწყვიტა ღარიბ მოქალაქეებს მისცეს შეღავათი კანალიზაციისა და წყალსადენის გაყვანის საქმეში.

◆ **სახლების აგება.** თბილისის აღმასკომმა აკრძალა ქალაქის განაპირა უბნებში სახლების უგეგმოდ აგება.

◆ **ქოხ-სამკითხველოები.** პოლიტგანათლების განყოფილებამ გადასწყვიტა გააფართოვოს მაზრაში ქოხ-სამკითხველოების ქსელი.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა ტრამვაის ხაზი გაიყვანოს ბოტანიკურ ბაღის გვირაბამდე.

◆ **კრემატორიუმის მოსაწყობად.** აღმასკომმა გადასდო 120 ათასი მან.

◆ **ნაძვის საწვავი ღუმელების** შესაძენად გადაიდო 800.000 მანეთი. პირველ ხანებში დაიდგმება 2 ღუმელი.

◆ **საბურთალოს ჭაობების** ამოსაშრობად აღმასკომმა გადასწყვიტა გაიყვანოს გვირაბი არხი.

მიწსახკომში

◆ **მეცხვარეობის კურსები.** ჩრდილოეთ კავკასიის ზოოტეხნიკურ საცდელ სადგურთან რ. ს. ფ. ს. რ. მიწსახკომის მიერ მოწყობილ მეცხვარეობის კურსებზე საქართველოს მიწსახკომმა მიავლინა 2 მსმენელი.

◆ **ვაზის ჯიშების** ამპელოგრაფიულ გამოკვლევის მოსახდენად დასავლეთ საქართველოში გაიგზავნა სპეციალისტი დ. სოსნოვსკი.

სახელგამის კალენდრები

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა 1928 წლის კედლის და მაგიდის კალენდარი. კალენდარი შედგენილია სრულიად ახალი პროგრამით და შეიცავს დიდ მასალას ჩვენი რევოლუციონური წარსულიდან. კალენდარში მოთავსებული ცნობები შეეხება: მოძრაობის მნიშვნელოვან მომენტებს საქართველოში, კომპარტიის და კომინტერნის ისტორიას და სხვ., პროფმოძრაობას საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებში; არის ცნობები აგრონომიიდან და რჩევა-დარიგებანი სოფლის მეურნეთათვის, სტატისტიკური ცნობები და მასალები საქართველოს და სხვა ქვეყნების ცხოვრებიდან; საექიმო ცნობები და რჩევა-დარიგებები, ცნობები პოლიტ-ეკონომიიდან, ასტრონომიიდან; მწერლობის და პოეზიის ნიმუშები: საქართველოს კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებათა სია; ბიოგრაფიები და სხვა.

სხვადასხვა

◆ **ექსკურსია.** 23 ოქტომბერს საქართველოს ტეხნიკური საზოგადოება აწყობს ექსკურსიას ნატახტარის დასათვალიერებლად. პირობების გაგება შეიძლება კამოს ქ. № 70.

ჩაუბარებელი დეპეშები

ცხინვალიდან—ცხოვრებოვს, მოსკოვიდან—კანდელაკს, ბაღდადიდან—კონიაშვილს, ველისციხიდან—კირაკოსოვს, ზესტაფონიდან—ადეიშვილს, ქუთაისიდან—უგულავას, ბაქოიდან—კუტლაშვილს, ჩრებალოდან — სანებლიძეს, ცხინვალიდან—კახლოტოს, ხაშურიდან—ბონდაკს, მოსკოვიდან—ხუდომინსკის, ფოთიდან—სვირსკის, არმავირიდან—საფართიანცს, ახალციხიდან—ვართოვს, პავლოვსკიდან — შორიაძეს, არმავირიდან — საფარიანცს, ახალციხიდან—ახალკაცშიძეს.

შემთხვევები

◆ **შეპყრობა.** 19 ოქტომბერს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს გიორგი ხარიტონისძე გუგუშვილი და ილო მთიაშვილი.

◆ **სამეურნეო ინსტიტუტის** რენტგენის კაბინეტიდან მოიპარეს 500 მან. ნივთები.

◆ **ცეცხლი.** 19 ოქტომბერს ყორღანოვის ქუჩა № 7 შალვა ჩხეიძეს ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

◆ **რომანიულ ნიადაგზე** არტილერიის ქუჩაზე შალიკო ჯალაღანიამ რევოლვერით მძიმედ დასჭრა ციციკო ნეფარაშვილი.

◆ **მუშკოვის მაღაზიიდან** (უკავის და რტიშჩევის ქუჩებში მდებარე) ღამით მოიპარეს 500 მან. ნივთები.

◆ **მოერგებული გასაღების** საშუალებით 19 ოქტომბერს პლეხანოვის გამზ. № 172 გატეხეს ელენე მამადაიანის ბინა.

◆ **გამოტყუება.** 19 ოქტომბერს არუთინოვ საგინოვს უცნობმა პირებმა გამოსტყუეს 90 მანეთი.

◆ **ჯიბგირის შეპყრობა.** 19 ოქტომბერს შეიპყრეს ჯიბგირი არმენაკ მოსესძე სერიაფოვი.

◆ **ა. კ. რკინის გზის** სამმართველოს კანცელარიიდან მოიპარეს კედლის საათი.

◆ **დაჭრა.** 19 ოქტომბერს ღამით მარიამ ბაინდუროვმა დანით დასჭრა გრიგოლ ბაღდასაროვი. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ **სამხედროვაჭრობის** ამბულატორიის გაქურდვისათვის შეიპყრეს რაჟდენ დიმიტრისძე აბულაძე და დიმიტრი ნიკოლოზისძე ალავიძე და არტემ სტეფანოვი.

მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან.

ერთი ქურქის ამბავი

მე მინდა მოგითხროთ ერთი ქურქის შესახებ, რომლის მოგონებაც მჭიდროთ არის დაკავშირებული ალექსანდრე იუჟინ-სუმბათაშვილის ცხოვრებასთან.

უკანასკნელი წელი დიდ გაჭირვებაში და ვაი-ვაგლახში გავატარე მოსკოვში. არც წინათ ვცხოვრობდი ფუფუნებაში, მაგრამ 1916 წელი რაღაც საშინელება იყო ჩემთვის.

სწორედ ამ წელში რუსეთის ცნობილმა მწერალმა ქალმა, ანასტასია ვერბიცკაიამ დაიწყო დიდი რომანის წერა: „Артист живущий для народа". არ ვიცი დაამთავრა თუ არა მან ეს რომანი, ხოლო მაშინ კი სწერდა, სწერდა და მალ-მალ მიბარებდა.

მეც დავდიოდი, დავდიოდი მწერალთან და უამბობდი სხვადასხვა ეპიზოდებს ჩემს ეზოებში ცხოვრებისას.

ანასტასიას დაუმეგობრდი, დაუმეგობრდი, თუმცა არ ვიცოდი, რამ დამამეგობრა, ან რამ დამაშინაურა. მე ვიყავ ღარიბ-ღატაკი, ის იყო მდიდარი; მე ვიყავ მოხეტიალე მუსიკოსი, ის იყო.. რა ვიცი რა იყო, ჩემი დიდი მეგობარი კი იყო.

ერთ დღეს მან ტელეფონით შემატყობინა: —ილია პეტრეს ძე, ამაღამ წვეულება მაქვს და გთხოვთ თქვენც აქ მობრძანდეთ.

წაველ.

ანასტასია სასტუმროში იჯდა. ხელში პატარა ერთი კალათა ეჭირა. ამ მორთულ კალათაში ხუთი-ექვსი კატის კნუტები ეყარა. ყველანი ლამაზები იყვნენ. ჭრელი აბრეშუმის საყელოებით უფრო ამშვენიერებდნენ და ალამაზებდნენ კნუტებს.

ანასტასიაც იჯდა, იჯდა და ეალერსებოდა ერთს, მეორეს თვალებში ჰკოცნიდა, მესამეს უყურებდა და ტუჩებში ეამბორებოდა, მოთხეს ბრჭყალებს უსინჯავდა, მეხუთეს, მეექვსეს...

სახალისო ნახავი იყო უკვე ხანში შესული ეს ადამიანი, მაგრამ „Ключи счастья"-ს ავტორისაგან ყველაფერი გასაგებია.

მტრედის ფრად გარიჟრაჟდა, რომ სტუმრები დაიშალნენ. ანასტასიამ ყველაზე ბოლოს ჩვენ, ახლო მეგობრები გამოგვისტუმრა და დერეფანში გამოგვყვა. ზოგმა პალტო ჩაიცვა, ზოგმა კალოშები, ზოგმა ქურქი და ბოტიკები, მეც წამოვავლე ხელი ჩემ ქუდს და გაუწოდე ხელი.

— ღამე მშვიდობისათ დიდათ გმადლობთ დროს გატა...

— მოიცათ, მოიცათ ილია პეტრეს ძე, თქვენი პალტო?—შემაწყვეტინა.

მე გამეცინა, დღევანდლამდის არ იცოდა, რომ უპალტოო დავდიოდი.

— პალტო?.. სახლში დამრჩა.

— როგორ, განა ეგეც შესაძლებელია? ხა, ხა, ხა, ხა,..ა..ა!

— გულიანად გადაიხარხარა. სხვებმაც ბანი მისცეს.

— მე და ჩემ ამხანაგს, პოეტს ერთი პალტო გვაქვს. როცა ის სახლშია, მე გამოვდივარ, როცა მე ვარ სახლში, ის გამოდის გარეთ.

— თქვენ გვიან მოხველით ჩვენსა, ნუ თუ თქვენი ამხანაგი სახლში არ იყო?

— დაიგვიანა, ალბათ არ იცოდა... მეც ველოდე და ვთქვი:—სულერთია არც მისი პალტოა ზამთრისა, შემოდგომისა კი აბა ამ ყინვას როგორ დაადნობს? ავდექი და მეც ესე წამოველი.

— მერე ტერმომეტრი რომ 27 უჩვენებს?

— ეგ მე მხოლოდ ქუჩაში გავიგე!

— არა, არა, მაგას ვერ მოგითმენ. აი, და... ეს ქურქი ჩემი ქმრისაა, ამისთანა ერთი კიდევ სხვა აქვს ჩემ ქმარს. ჩაიცვი და წაიღე, შენი იყოს სამუდამოთ.

— ეგ როგორ შეიძლება?... გმადლობთ... შემრცხვა და ავწითლდი.

— როგორ თუ არ შეიძლება?—თვალი უყო სტუმრებს მტაცეს ამათაც ხელი, ჩამაცვეს ძალათ, გააღეს კარი, ამწიეს სიცილით და გარეთ გამომიტანეს.

— ღამე მშვიდობისათ!—კისკისით მოგვაძახა ანასტასიამ და კარები გადაგვირაზა.

— მშვიდობით, მშვიდობით!., ღამე მშვიდობისათ—მოაძახეს სტუმრებმა და კიბეებზე მარდათ ჩაირბინეს.

დავრჩი მარტო, არ ვიცოდი რა მექნა. ცოტა რომ დავწყნარდი, მოვიხედ-მოვიხედე, გავშინჯე ნაძალადევი ქურქი და გავიღიმე.

— ჩემ მამა-პაპას სცმია ეს, თუ ბაბუაშვილებს? ამ ქურქით როგორ გავიარო? ხომ ყველა გამეცემა? ხომ ყველა დამცინება?.. მეეტლეები ხომ სულ მე დამეკიდებიან:

— «Барин, а барин куды изволите?»

—მომაძახებენ.

რადა თავი მოგაბეზროთ, ქურქი ძვირფასი იყო. გარედან მშვენიერი მაუდი, შიგნიდან კუნგურს ბეწვი, ბეჭებზე კიდევ პერელინა. და სწორედ ისეთი იყო, როგორიც ხიდზე მდგომ თუჯის ვარანცოვს ქურქი. ჩემი უბედურება მხოლოდ იმაში იყო, რომ ქურქის პატრონი გაცილებით ჩემზე გრძელი გამოდიოდა. მერე რა მძიმე იყო ეს დალოცვილი, გეგონება დათვი შემომახტაო.

სხვა გზა არ იყო, გადავწყვიტე გაზაფხულამდის ამით მევლო, მერე კი დიდის მოწიწებით და მადლობით პატრონისთვის დამებრუნებინა.

შევეხვიე, ავიწიე, რომ ქურქში ფეხები არ გამხლართოდა და იმ ხიმალაიდან გორი-გორით არ წამოვსულიყავ და ისე გამოვწიე სახლისაკენ.

ქუჩაში რომ გამოველ, კიდევ ავწიე, მაგრამ ვერ ვიმაგრებდი, მოვდიოდი და მოვათრევდი, მოვათრევდი და მოვგვიდი ახლად დადებულ ფიფქ თოვლს.

ვათრიე ასე, ვათრიე „არბატიდან" მთელი გზა „პრესნიამდე" (კარგ 5—8 კილომეტრი) და სახლში რომ მოვედი, ქურქის ბოლოთი იმოდენა თოვლი მოვყვეტე და მოვათრიე, რომ ხანამ კარებს გამიღებდნენ, თურმე დედამიწას მივკარი.

— ვინ გნებავთ?—შემეკითხა მეეზოვე ბურტყუნით.

— ვეღარ მიცან? მე ვარ.

— თქვენა? მერე ეგ რა არის, ბატონო. ვის მოჰპარეთ?—გაიცინა.

— გიჟია, ოხერი! როგორ თუ მოვპარე, ამან რა იცის, რომ ამის ყიდვა მე არ შემიძლიან?— გავიფიქრე მე, მაგრამ ამ დროს ჩვენი ვეება ძაღლიც გამოვარდა და სულ დაეტრიბა ამათ თავში, ჯერ კინაღამ ზედ არ შემომაფრინდა და ძვირფას საჩუქარი მხრებზე არ შემომაგლიჯა, მერე კი ხმა გაიგო და უცბად გული იბრუნა.

— გასწი, გასწი მიკადო, გამატე შე სულელო, შენა!.. რა გზაში გადამეღობე?..

— აუ! აუ! ა...უ...უ!—გამიცინა ძაღლმაც და მხიარულად შეკუნტრუშდა.

— Ну так ба...а...рин,—წაილუღლუღა მეეზოვემაც,—и собака яго не узнала! Пожа... пожалте барин!..

შევდგი ფეხი, შევედ, მაგრამ ქურქი მოულოდნელად ჩამომძვრა მხრებიდან და თოვლში ამოიგორგლა.

— Э...э...э...эх!—ამოიძახა მეეზოვემ და დასწვდა ასაღებათ.

ბოლოთი ჩაფლული და დამძიმებული ქურქი თოვლს ძლივს ავაგლიჯეთ. გავიქნ-გამოვიქნიე, მივბერტყ-მოვბერტყე და ხელმეორედ წამოვიხურე.

— Спокойной ночи, Иван, спасибо!— მივაძახე მეეზოვეს და გავწიე ბინისაკენ.

კიბეებზე ჩამოსვლა ადვილი იყო, მაგრამ ასვლა კი მესამე სართულში გამიძნელდა.

სამჯერ დავაწკარუნე ზარი. სამჯერვე არ გამიღეს, მეტად ადრე იყო. ყველას ტკბილად ეძინა.

მეოთხედ ზარი ხანგრძლივ ვაწკარუნე. ამან დააფეთიანა მეზობლის მოსამსახურე და გაჯავრით ფეხზე წამოაგდო. კარები რომ გამიღო, მეგონა დაფრთხებოდა,, შეეშინდებოდა და შეჰყვირებდა კიდეც, მაგრამ ჩემ იღბალზე ისე გამიღო და მიხურა კარი, რომ თვალები ხეირიანათ არც კი გახელია. მართალია იფშვნეტდა. ძალას ატანდა, მაგრამ... ისევე წაბარბაცდა და ინსტინქტიურად თავის ლოგინში ჩაეშვა.

შეველ ოთახში, მივიხურე კარი, მივიხედ-მოვიხედე. რომ შინაურები არ შემეწუხებინა, ისევე დავაგდე ქურქში გამოხვეული.

— ეხ, სტუდენტობავ! რა ხარ შე ოხერო? ნიკოლოზ, როდის გვეღირსება შენი ჩამოგდება? ნეტავი წაავე ომი, ნეტავ თავ-პირი დამიტეხრომ!.. ამოდენა ხალხს რომ საომრად ერეკები, რახა ფიქრობ, რახ?.. ხალხი ცხვარია, თუ საკლავი ძროხა?.. მე კი ვიცი, რომ ხალხი ამას არ გაპატიებს, ვიცი რომ შენივე იარაღით, შენვე გაგიხვრიტავენ მაგ ცარიელ გოგრას. ამდენი სიმდიდრე, ამდენი ფუფუნება და ჩვენ კი, ჩვენ! მოსწავლე ახალგაზრდობა ასეთ გაჭირვებაში და ასეთ დუხჭირში უნდა ვიტანჯებოდეთ. ვიღაცა შაზოვი უნდა იყოს ჩვენი მფარველი, ვიღაცა ქველმოქმედები უნდა გვაპატრონებდნენ!—წაველ, წაველ სადღაც შორს, შორს ფიქრებში ამ სიარულში დავიღალე და ჩამეძინა. რამოდენიმე საათის შემდეგ ვიღაცამ ამიწია ქურქი და გამეღვიძა.

— რა გინდა? რას ძიგურებ ნეტა? ვეღარ მიცანი?—შევეკითხე ჩემ ცოლს, რომელიც ხან ქურქს შეჰყურებდა და ოინჯავდა, ხან მე შემომცქეროდა და იცინოდა.

— ეს ამოდენა თოვლი რომ შემოგიხვეტია ამ ოთახში არ გებრალები?

— შენ შენსას ჩივი. შენ თოვლსა ხედავ და ამ ქურქს კი ვერ ამჩნევ, შე დალოცვილიშვილო, „მშვიდობაში მოგახმაროს", მაინც მითხარ!

— როგორ? განა შენია? მერე ვინ მოგცა?

— დაწვრილებით მოუყევი ყველაფერი.

— მაშ ეხლა ადექ და ერთი-ორი შაურის კომბოსტო იყიდე, თორემ სადილი ვერ მოესწრობა.

ადგომა ადვილი იყო, მაგრამ კომბოსტოს მოტანა კი... ცოტა არ იყოს გამიძნელდა. ეხლა ნათლად დავინახე, თუ რა ძნელი შეიქმნა ჩემი თავის ცხოვრება. ქურქი ტანსაც მიმძიმებდა და სულსაც მიხუთავდა. ორი შაური კომბოსტოსთვის ამ ქურქით წავიდე? ამის პატრონს საკუთარი სახლებიც უნდა ჰქონდეს, ავტომობილიც და მოახლე-მოსამსახურენიც თავს უნდა დასტრიალებდნენ. ეხლა კი ვიგრძენ მთელი ის უბედურება და დაცინვა, რომელიც ესე შეუმჩნევლად ახლო მეგობარმა მიამიტად მომაყენა.

გაუყიდო ქურქი?.. არ იქნება, მინდა დაუბრუნო. როცა დათბება. მოვიხადო?.. არც ეს იქნება, გავიყინები.

დაუჯერე ცოლს, ავდექ, ავიკრიფე ქურქი და გამოველ გარეთ.

— Барин, а барин! Куды изволите?—მომიძახეს მეეტლეებმა.

წავიხურე ყურებზე ქურქი და აუჩქარე. ახლო დუქანში არ შევდივარ, ვიცი, რომ მიცნობენ, დაცინვას უნდა ვერიდო.

ვიარე, ვიარე და უცბათ ერთ მწვანილის დუქანში შევაღე კარი.

მემწვანილე ფეხზე წამოვარდა.

ეს, ეს არის ბედს ვეწვიეო, ალბათ გაიფიქრა და ამიტომ ნაზად წაავლო ორი თითი და თავაზიანად მომიხადა ქუდი.

— Здравствуйте...с...с. Чаго изволь-тес...с...с..?

—შამფურივით გემეჭიმა, ტუჩების გრეხით ფეხების მიტყუპებით შემეკითხა.

ჩემზე იმოქმედა, მომერიდა, შემრცხვა შაურის კომბოსტო უნდა მეთქვა, მაგრამ გავჩუმდი; მედუქნეც ჩუმად იდგა და თვალებში კატასავით შემომცქეროდა.

— უკაცრავად, გრაფი კოჩიკოვი, აქ სადა სცხოვრობს? მოვიგონე მე, მდგომარეობიდან თავის დასაღწევათ.

ეხლა კი საწყალი სულ მთლად დაიბნა. გაიბრიჭ-გამოიბრიჭა. მოიხადა ფეხზე ქუდი, კვლავ მიიტყუპა ფეხები და მიპასუხა:

— Простите барин, я не знаю!

— Ничего, ничего,—პრანჭვით ვუპასუხე და გამოველ.

— Барин, барин!—მომიძახიან მეეტლეები. რომ მივიხედე, რატომ ერთი ათი არ მომდევდა უკან.

— ეხლა?.. ეხლა რაღა ვქნა?.. საით წავიდე, ან სად ვიყიდო ორი შაურის კომბოსტო? ის არ მერჩივნა სიცივეში მეკანკალა? ბევრი ვიარე, ბევრი ვათვალიერე და აი, კიდევ შეველ ცოტა ხნის შემდეგ ერთ პატარა სამწვანილეში.

— Здравствуйте...с...с!—აქაც ქუდი მომიხადა მედუქნემ და [illegible] დამიკრა თავი. მაგრამ, მალე დაიხურა ქუდი, მოვარდა წნილით სავსე ბოჭკას, გადაიწია, გადაგორა და გზიდან მარდათ მომაშორა,

— Покорнейше прошу...с...с!—მერე გაიკეცა და შემიპატიჟა.

აბა აქ შემრცხვა აი, თორემ იქ რა უჭირდა? აქ არა თუ დამიპრანჭა, შემსახურა კიდეც ცოტა ხნის შემდეგ კი დავწყნარდი. მართლაც და რა ხმა იყო? თავიც რომ მოეკლა, მე რა? მე ხომ არ ვაიძულებდი? მე მინდოდა ორი შაურის კომბოსტო, მედუქნე კი ჩემ ქურქსა სცემდა პატივს და ემსახურებოდა. აბა რა მექნა, ამისათვის როგორ გამებედნა? და ამიტომ მოვიცილე.

— უკაცრავად, სტუდენტი ნოვიცკი ამ სახლში ხომ არა სცხოვრობს?

— სტუდენტი ნოვიცკი?

— დიახ.

— არ ვიცი ბატონო, ეხ საათში გავიგებთ—და მოემზადა გასასვლელად.

— აი, გამიწყრა ღმერთი, ახალ ხათაბალაში გავები!—გავიფიქრე მე და ვტაცე ხელი.

— ნუ შეწუხდებით, ნუ!.. ამას მე თითონ გავიგებ ეხლავ—და ამ სიტყვებით აქედანაც მარდათ გამოვვარდი.

— Барин, а барин!—კიდევ მომძახიან ქუჩაში მეეტლენი.

მე კი მეხუთება გული, მეკვრება სუნთქვა და მეშლება ნერვები. ლამის ეს ქურქი წამოვიხსნა და შიგ შუა ქუჩაში გადავისროლო. მაგრამ აი, დავინახე კიდევ დუქანი და ამ დუქნის წინ კომბოსტოს თავი. ვეცი ამ დუქანს, ქორივით დავაფრინდი კომბოსტოს, ავიღე ხელში და შევეკითხე.

— რა ღირს ეს?

— არ ვიცი ბატონო, გირვანქა შაური ღირს!.. ვნახოთ რამდენი გამოვა.

ვიცოდი, კომბოსტო მძიმე გამოვიდოდა და ფული კი იმდენი არ მეყარა ჯიბეში. ამიტომ, ვიდრე მოვაჭრე ამოწონავდა საქონელს, დავასწარ და შევეკითხე:

— მთელი არ მინდა, არა! თუ შეიძლება შუაზე გაჭერ.

— დიდი სიამოვნებით—და თვალის დახამხამებაში გადამიჭრა შუაზე.

კომბოსტო გამოვიდა აბაზი, ჯიბეში კი ერთი შაურის მეტი მქონდა.

— პური რიღათი ვიყიდო?—გამიელვა თავში. გადავსწყვიტე ლუდის ორი ბოთლი დამებრუნებინა პატრონისათვის. ის კი ბეჯ, 10 კ. მომცემდა და მაშინვე გამოვართვი კომბოსტო, ქაღალდში ნამცხვარივით შეხვეულ-შეკრული და გამოვედი.

წამოვედი, მაგრამ ვაი ამ წამოსვლას. ვიცი რომ ცოლის რისხვა მეხივით დამეცემოდა თავზე.

გამართლდა ჩემი წინასწარმეტყველება.

— შე სულელო შენა, რატომ არა ფიქრობ, ამოდენა კომბოსტო რომ მოგაქ? ძროხები ვართ, თუ კამეჩები?

— ერთიცა და მეორეც—ამაზე მეტი რა მეთქმოდა?

დღიდან-დღეზე, კვირიდან-კვირეზე თვიდან-თვეზე დავდიოდი და დავათრევდი კიდეურუს ქურქს მოსკოვის ქუჩებში. ვაი ჩემი ბრალი, თუ ჩემ უბანს გავცდებოდი. ჩემ უბანში კი მემწვანილეც შემეჩვია, მედუქნეც და მეეტლეც. მხოლოდ მე ვერ შევეჩვიე ამ ქურქს. ჩემ ბედზე თბილი დღეები დადგა და გაზაფხულის სიოსთან ერთად ჩემ გულში ტკბილი რწმენა და იმედი დაიბადა:

— ქურქს გავიძრობ, დაუბრუნებ პატრონს და დიდ მადლობასაც ზედ მივაყოლებ.

მე ასე მეგონა, მაგრამ საქმე სულ სხვა ნაირად დატრიალდა. ერთ მშვენიერ მზიან დღეს ძვირფასი ქურქი მომეხსნა მხრებიდან და ჩამოვარდა უფრო ადრე, ვიდრე მე თითონ მოვიხსნიდი.

აი, ეს როგორ მოხდა.

„პოვარსკაია"-ს ქუჩაზე ქართველთა საზოგადოების ბინა იყო. ამ [illegible] ვდღესასწაულობდით ერთ-ერთ რუს მწერლის სტუმრობას. საზოგადოებით დარბაზი გაივსო. ვიმღერეთ, ვითამაშეთ, ვილხინეთ და შემდეგ ვახშამს შეუდექით.

— ვახშმის თამადათ ჩვენი თავმჯდომარე, სუმბათაშვილი-იუჟინი ამოვირჩიეთ.

მორჩა ვახშამი, გვიან გათავდა ბანკეტი. სტუმრები წამოიშალნენ, იუჟინიც ადგა, დერეფანში გავიდა, ყველა ჩქარობდა ჩაცმას და გასვლას მე, როგორც შინაური, ვიდექ მეორე ოთახში და მხიარულად ვბაასობდი მეგობრებთან. სწორედ ამ დროს მომიახლოვდა ერთი მეგობარი და სიცილით ჩამჩურჩულა.

— სუმბათაშვილმა ქურქი მოგპარა, მიდის, ჩქარა, თორემ ბევრი სირბილი დაგჭირდებაო.

— რათ? ქურქით?

— ოოდე, ქურქი.

— როგორ?

— წადი და ნახე თუ არა გჯერა.

სუმბათაშვილი დერეფანში შემხვდა, ქურქი ჩაეცვა და მიშა ზანდუკელს რაღაცაზე მხიარულად ელაპარაკებოდა.

მე მიუახლოვდი, ავხედ-დავხედე და ვიცან ჩემი ქურქი, სუმბათაშვილის მხრებზე.

— ეხლა რა უყო, როგორ გაუბედო?—დავდექ და ვფიქრობდი. მაგრამ, როცა მსახიობმა ფეხი გადასდგა და ის იყო უნდა გასულიყო გარეთ, მე ვტაცე ხელი და მოვაბრუნე:

— ალექსანდრე ივანის ძე!

— ხო, რა იყო?

— ჩემი ქურქი მიგაქვთ.

— ეგღა მაკლდა!

— არ გეხუმრებით.

შესდგა მსახიობი, შემომხედა, გამიცინა და მითხრა:

— რომელი ღვინო დალიე, იმერული, თუ კახური?

— ორივე.

— იმიტომ აგზნებია დავთრები,—მაგრამ მაინც დაიხედა ქურქზე, გაშალა, გაშინჯა და რომ მართალი გამოდგა, გაუკვირდა.

ამ გარემოებიდან კარის-კაცმა დაიხსნა. ჩვენ ლაპარაკს ესეც ყურს უგდებდა. ამან უფრო ადრე დაიჯერა, მიიხედა და, რომ იუჟინის ქურქი თავის ადგილას ნახა, ჩამოხსნა, მოუტანა, მიართვა და უთხრა:

— აი თქვენი ქურქი ბატონო, მაპატიეთ, მე ამერია, იმიტომ, რომ ორივე ერთად ეკიდა. მეტად ჰგავს ეს ქურქები ერთმანეთს.

— ვის მოჰპარი ეს ქურქი?—შემეკითხა სიცილით იუჟინი, როცა იხდიდა ჩემს ქურქს.

— ვერბიცკაიამ მიასახსოვრა.

— ხო...ო...ო! ვერბიცკაია ბევრს ეხმარება. მაგრამ ეს ქურქი შენ რომ არ შეგფერის?, არც ტანათ, არც...

მართლაც რომ არ შემფეროდა ეს ძვირფასი ქურქი. მოვდიოდი ტრამვაით, ჩამოვხტი ჩემ სახლის წინ, დავიდგი ფეხი და..,

— პრრრუჰ!—ზედ ბეჭებზე კისრამდის ამერღვა. დამბერა ცივმა ნიავმა, ორად გაჰყო და ორად აფრიალა ქურქის ბოლოები გაყინულ ჰაერში.

— მადლობა ღმერთს, ეხლა კი მოიშორებ თავიდან—სიცილით დამხვდა ჩემი ცოლი სახლში.

პატრონს ქურქს ახე ველარ დაუბრუნებდი. ძალა-უნებურად მივიღე საჩუქრად. გაზაფხულზე კი წავიღე ლომბარდში და შემოდგომამდე დავაგირავე. მაგრამ შეხე ქურქის [illegible]! აქედანაც არ მომისვენა.

არ ვიცი რა მოხდა ვერბიცკაიას ოჯახში, რომ ანასტასიამ ქურქი უკანვე მომთხოვა.

აქ კი ჩავარდი საშინელ მდგომარეობაში. პატრონს მხოლოდ ლომბარდის ქვითარი და უბრუნე იმ წამსვე.

აი, ეს მომაგონდა, როცა გავიგე დიდებული მსახიობის გარდაცვალება. ამ სიკვდილმა ერთხელ კიდევ გამიცოცხლა და მომაგონა ის საშინელი ხანა, როცა ყოველი ღარიბი ახალგაზრდა აუტანელი ტანჯვა-ვაებით იძენდა სწავლას.

ილიკო ქურხული.

სასამართლო

იოსებ ქუთათელაძის საქმე

(20 ოქტომბრის სხდომა)

გრძელდება მოწმეების დაკითხვა. გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნენ უმთავრესად დამცველების მიერ გამოწვეული მოწმეები: **გრიგორიანი** (ა.-კ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი), **პეტრიდი** (კერძო გრენიარი ზუგდიდიდან), **ჟუკოვსკი** (გრენიორი, რომელსაც სათესლე სადგური აქვს ქუთაისში), **მაჭავარიანი, ბალანჩივაძე, ივანოვი** (მეაბრეშუმეობის თბილისის სადგურის უფროსი), **ბეჟხადიანი** („ზაკოსტორგ"-ის თანამშრომელი), პროფესორი **ჯანდიერი**.

აღნიშნულ მოწმეების მეტი ნაწილი ახასიათებს ბრალდებულს, როგორც მეაბრეშუმეობის საქმის კარგად მცოდნეს, რომელიც ყოველთვის ცდილობდა მეაბრეშუმეების და მეთესლეების გაერთიანებას ერთ კოოპერატიულ ორგანიზაციის სახით. მოწმეები აცხადებენ, რომ როგორც მათთან პირად ურთიერთობაში, ისე საქმიან დამოკიდებულებაში, ისინი იცნობენ ბრალდებულ იოსებ ქუთათელაძეს, როგორც მეაბრეშუმეობის საქმით დაინტერესებულ პირს, სათანადო უფლებებით აღჭურვილს.

ისინი ეხებიან „აბრეშუმი"-ს მოღვაწეობას, აღნიშნავენ რისი გაკეთება შეიძლო მას არსებულ პირობების მიხედვით, და ლაპარაკობენ, რომ რამდენადაც მათ უშუალო კავშირი ჰქონდათ მეაბრეშუმეობის საქმესთან, შეუძლიათ დაადასტურონ, რომ მარტო ბრალდებულ ქუთათელაძეზე არ იყო დამოკიდებული პარკზე ან აბრეშუმის თესლზე ფასების დაწესება, რომ ის ამ საკითხს ყოველთვის უფარდებდა სათანადო ორგანოებს.

მოწმე **პეტრიდი** აცხადებს, რომ მეთესლეობა, რომელსაც ის ეწეოდა, ატარებდა შინამრეწველურ ხასიათს. ამ საქმეში მას თავის ოჯახის წევრებს გარდა თითქმის არავინ ჰყავდა ჩაბმული. იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს დაიქირავებდა. მას არ სურდა სხვა მეთესლეებს შეკავშირებოდა და მათთან ერთად შექმნა რაიმე ორგანიზაცია, იოსებ ქუთათელაძე, აცხადებს მოწმე, მე ყოველთვის იმაზე მელაპარაკებოდა, რომ სხვა მეთესლეებთან ერთად კოოპერატიული ხასიათის ორგანიზაციაში გავერთიანებულიყავი, მაგრამ მე არ ვეთანხმებოდი და ვამჯობინებდი დამოუკიდებლად მუშაობას.

მთელი რიგი მოწმეები, რომლებიც სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მუშაობენ, ადასტურებენ, რომ ბრალდებული იოსებ ქუთათელაძე ყოველთვის იცავდა იმ აზრს, რომ მომხდარიყო მეაბრეშუმეობის საქმის გაერთიანება საქართველოში ერთი ცენტრის შექმნით, რომ ამ ორგანიზაციაში თავმოყრილი ყოფილიყვნენ, როგორც გრენიორები ისე პარკის გამსაღებელი ორგანიზაციები და თვით ცალკე მეაბრეშუმეები. სათანადო საპაიო ანარიცხების ნიადაგზე.

პროფესორი **ჯანდიერი**, რომელსაც კავშირი აქვს მეაბრეშუმეობის საქმესთან, აცხადებს, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმას, უნდა ითქვას, რომ გასულ 1925 და 26 წლებში გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული როგორც პარკის შესყიდვის, ისე მისი გასაღების და თესლის დამზადების მხრივ. პროფ. ჯანდიერის განმარტება შეეხება იმ პერიოდს, როცა ბრალდებული მუშაობდა ინსპექტორის თანამდებობაზე მეაბრეშუმეობის საქმეში.

საერთოდ დამცველების მიერ გამოწვეული მოწმეები ცდილობენ ხაზი გაუსვან ბრალდებულის დამსახურებას მეაბრეშუმეობის წინაშე.

დასაკითხია ორი მოწმე. მოწმეების დაკითხვა დამთავრდება დღეს და დღესვე დაიწყება მხარეების კამათი.

რძლის მოწამვლა.

(20 ოქტომბრის სხდომა).

გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა. მეტად საინტერესო ჩვენებას იძლევა საქ. პროფსაბჭოს იურისკონსულტი კუსიკოვი. ის აცხადებს, რომ ბრალდებული მათე კაზაჩენკო რამოდენიმეჯერ მისულა მასთან და უკითხავს, ვის მიკუთვნებენ შვილს, როცა ცოლ-ქმარი გაიყრებაო. ეს გარემოება ადასტურებს იმას, რომ მათე კაზაჩენკოს დიდი ხანია უნდოდა რძლის თავიდან მოცილება.

მთელი რიგი მოწმეები ადასტურებენ, რომ მათე კაზაჩენკო იყო უხეში, უდიერი და უხასიათო ადამიანი.

დღემდე კაზაჩენკოები დაპატიმრებული არ იყვნენ. გუშინდელ სხდომაზე პროკურორმა ამხ. კიკაბიძემ აღძრა შუამდგომლობა კაზაჩენკოების დაპატიმრების შესახებ, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.

საინტერესოა ერთი ცრუმოწმის ბედი. ბრალდებულ ანტონინა კაზაჩენკოს ძმის ცოლმა მეშკუდოვამ გადათქვა წინასწარ დაკითხვის დროს მიცემული ჩვენება, დაიწყო მტკიცება, რომ მშვენიერი მოპყრობა ჰქონდა ელენე ერმოლოვასო. შეეცადა ჩვენება მიეცა ბრალდებულების სასარგებლოთ, მაგრამ დაიბნა და ხან ერთი სთქვა და ხან მეორე.

მეშკუდოვას ქალი ცრუ ჩვენებისათვის მიცემულ იქნა პასუხისგებაში.

მეშკუდოვის ქმარმა კი ცოლის საწინააღმდეგო ჩვენება მისცა სასამართლოს. მან განაცხადა: მათე კაზაჩენკო მის რძალს რა ხეირს დააყრიდა, როცა ჩემს ოჯახსაც კი არევ-დარევა შეჰქონდაო.

მოწმეები კიდევ არიან დასაკითხავი.

მორიგი სხდომა შესდგება დღეს, 10 საათზე.

ყოფილ ცოლის მკვლელი

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გუშინ ირჩეოდა მოქ. ალექსანდრე **გოგიტაშვილის** საქმე.

მოქალაქე გოგიტაშვილს ცოლად ჰყავდა ოლია მერაბიშვილის ქალი. ოთხი წელი იცხოვრეს მათ ერთად, მაგრამ სისტემატიური უსიამოვნება, უდიერი მოპყრობა და ფიზიკური შეურაცხყოფა ქმრის მხრივ შეიქმნა მიზეზი იმისა, რომ ოლია მერაბიშვილის ქალმა მიატოვა ის და ცოტა ხნის შემდეგ გაჰყვა მოქ. მაჩაიძეს. გავიდა ოთხი წელი.

ა-წ. ივლისში მოქ. გოგიტაშვილი ყოფილ კომერციულ სასწავლებლის წინ თბილისში შემთხვევით შეხვდა თავის ყოფილ ცოლს, რომელსაც თავისი ბავშვი მოჰყავდა. გოგიტაშვილი მიეფარდა ქალთან, ჩასცა რამდენიმეჯერ ხანჯალი და იქვე მოჰკლა ოლია მერაბიშვილის ქალი.

ბრალდებული განმარტავს, რომ ყოფილი ცოლის შეხვედრამ მასზე ისე იმოქმედა, რომ დაკარგა წონასწორობა და ქვაც რომ ხელში შეხვედროდა და სხვა არაფერი ჰქონოდა, მაინც მოკლავდა ყოფილ ცოლს. ბრალდებული ამბობს, რომ როცა თავის ცოლს შეხვდა გზაში, არავითარი იარაღი არ ჰქონდა. შემთხვევით იმ დროს მის გვერდში ჩაიარა თათრხალათიანმა მოქალაქემ. რომელსაც მან უეცრად ამოსტაცა ქარქაშიდან ხანჯალი და მით სასიკვდილოდ დასჭრა თავისი ყოფილი ცოლი.

მოწმეების დაკითხვა და მხარეების კამათი უკვე დამთავრდა. დღეს უკანასკნელი სიტყვა მიეცემა ბრალდებულს და შემდეგ გამოტანილი იქნება განაჩენი.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ამხ. **ლაშხი**, პროკურორი ამხ. **პავლიაშვილი**, მდივანი — გულისაშვილი.

ქუთაისი

სამუსიკო ტეხნიკუმში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მომავალ წლის თებერვალში, როდესაც ათი წელი შესრულდება ქუთაისის სამუსიკო ტეხნიკუმების დაარსებიდან ამ ტეხნიკუმს თამამად შეეძლება იდღესასწაულოს თავისი არსებობის ათი წლის იუბილე.

თუმცა იუბილესთვის 10 წელი ძლიერ მცირეა, მაგრამ ქუთაისის ტეხნიკუმმა, რომელიც დაიბადა რევოლიუციის ქარ-ცეცხლში შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში, იმდენი რამ გააკეთა, რომ სამართლიანობა მოითხოვს—თითეული წელი მას 2—3 წლად ჩაეთვალოს.

ის დაარსდა 1918 წლის თებერვალში კომპოზიტორ **მ. ბალანჩივაძის** ინიციატივით.

რამდენიმე წლის შემდეგ ბ. ბალანჩივაძემ, რომელიც თბილისში იქნა მიწვეული, ტეხნიკუმი გადააბარა ნიჭიერ ტეხნიკოსს **ლარისა ქუთათელაძის** ასულს.

1923 წლიდან ტეხნიკუმს სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი და დახელოვნებული მუსიკოსი **ილია აბაშიძე**. აქედან იწყება ახალი ხანა სამუსიკო ტეხნიკუმის ისტორიაში.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ტეხნიკუმისათვის 1926—27 სასწავლო წელი, როდესაც მან უკვე ჩამოაყალიბა საკუთარი მომღერალთა გუნდი და თამამად გამოვიდა სცენაზე სრულად მომზადებული, დამუშავებული ხმებით არამც თუ უბრალო კონცერტებში, ოპერებშიაც კი. მდგომარე წლის გაზაფხულზე, ქუთაისში გამართულს საქართველოს მომღერალთა გუნდების შეჯიბრებაში ამ ახალგაზრდა გუნდმა ჯილდოც კი მიიღო.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ახალი ხაზი, რომელიც წარსულ ზაფხულში აიღო ტეხნიკუმის გამგეომ. ლექტორ **ტრ. ჯაფარიძის** დახმარებით მან მოაწყო მეტად საინტერესო ექსკურსია თავის მომღერალთა გუნდით დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრაში, სადაც მართავდა ლექცია-კონცერტებს.

კონცერტის წინ ლექტორი უკითხავდა ხალხს ლექციას ქართული სიმღერისა და მუსიკის შესახებ. შემდეგ იმართებოდა კონცერტი, რომელზედაც გუნდი **ი. აბაშიძის** ლოტბარობით ასრულებდა ქართულ სიმღერებს სხვადასხვა კუთხურ კილოებზე. ზოგან,—სადაც ეს ტეხნიკურად მოსახერხებელი იყო იდგმებოდა სცენა ოპერა „დემონი"-დან.

ასეთი ლექცია-კონცერტი მოეწყო: ა) რაჭის მაზრაში: ქ. ონსა და სოფ. ამბროლაურში—ორ ორჯერ (უკანასკნელში ერთი უფასოდ); სოფ. ხოტევსა და ნიკორწმინდაში—თითოჯერ; ხარისთვალზე—რაჭის სამაზრო აღმასკომის ხახალხო ქარხნის მუშებისათვის—ერთჯერ (უფასოდ) ბ) ქუთაისის მაზრაში: ქ. სამტრედიასა და სოფ. დიდ-ჯიხაიშში თითო ჯერ; გ) შორაპნის მაზრაში: ქ. ზესტაფონში—ერთჯერ და ქ. ჭიათურაში ორჯერ.

ბილეთების ფასები ყველგან ხელმისაწვდომი იყო: ორი შაურიდან მანეთამდი.

ამჟამად ტეხნიკუმში არის სულ 15 კლასი, 6 როიალისა და თითო ჰიანურის (ვიოლონის), ვიოლონჩელის, სასულე ორკესტრის, მომღერალთა გუნდის, სიმღერის ანსამბლის, როიალის ანსამბლის, პლასტიკისა და აკომპანიმენტის აპირობენ დრამატიული სტუდიის სკოლის გახსნასაც.

სასწავლებელში ამჟამად სულ 215 მოსწავლეა, რომელთაგან დიდი უმეტესობა (თითქმის 90 პროც.) მუშა-მოსამსახურეების შვილებია. მდგომარე წელს ტეხნიკუმს დიდძალი ახალგაზრდობა მოაწყდა; მაგრამ უადგილობის გამო 150 მთხოვნელიდან მიღებულ იქნა მხოლოდ 36. ეს გარემოებაც ნათლად ამტკიცებს, თუ რა თანაგრძნობა დაიმსახურა სასწავლებელმა საზოგადოების თვალში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ განათლების კომისარიატი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ხელოვნების განვითარებას, არ მოაკლებს სათანადო ყურადღებას დასავლეთ საქართველოში ამ ერთად-ერთს ჩამოყალიბებულსა და კარგად დაყენებულ სამუსიკო ტეხნიკუმს.

დონ-ვალიანი.

ხელოვნება

„სადკო"

ოპერა „სადკო" რიმსკი-კორსაკოვის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. ამ კომპოზიტორის შემოქმედებას უმთავრესად ახასიათებს სიხარული, მისწრაფება სინათლისაკენ, ცხოვრების ახალ წყობილებისაკენ, რომელიც დაშორებული უნდა იყოს ძველ დახავსებულ ფორმებისაგან.

ზღაპრულ თქმულებაში სადკო წარმოადგენს მგოსანს დიდ ნოვგოროდში. სადკო არის ხალხურ სიმღერების ახალგაზრდა მომღერალი, ის ძლიერ უყვარს ღარიბებს და სძულს მდიდარ კლასებს, ნოვგოროდის ვაჭრებს, ცხოვრების ძველი ფორმის წარმომადგენლებს. ახალგაზრდა მგოსნის ძიებებმა და მისწრაფებებმა განხორციელება ჰპოვეს მის სიყვარულში ზღვის მეფის ქალიშვილ, მშვენიერ ვოლხოვასადმი, რომელსაც ის ხვდება მთვარიან ღამეს ილმენის ტბასთან, შეიყვარებს მას და ივიწყებს თავის ცოლ ლიუბავას. მეფის ქალი ვოლხოვა—ეს არის სიმბოლო, ფანტასტიურ ქალიშვილის, რომლისთვისაც უცნობია მიწიერი განცდანი. მას შეუყვარდა სადკო და გატაცებული მისი სიმღერებით, აძლევს მას საშუალებას მიაღწიოს იმ მისწრაფებებს, რომლებისკენაც მიილტვის ახალგაზრდა მგოსანი. ასეთია თქმულება.

რიმსკი-კორსაკოვმა შექმნა ამ თქმულებებისათვის შეუდარებლად ლამაზი და ორკესტრულად მრავალფეროვანი მუსიკალური ილუსტრაცია. მთავარ პარტიას ოპერაში ასრულებდა აგრანოვსკი. არტისტი დახელოვნებულად ასრულებს ამ პარტიას, მას კარგად აქვს შეგნებული მგოსნის ხასიათი, როგორც სიმღერაში, ისე დრამატიულ გაგებაში. არტისტს ძლიერ ეხერხება ძველი რუსეთის თქმულებათა კილო. ის მღერის მშვენიერი, ნათელი დიქციით. მისი ხმა დიდებულად ბგერს და სიმღერაში ბევრია ბრწყინვალე, ლამაზი მომენტები.

ვოლჩანეცკაია იძლევა სადკოს ცოლის — ლიუბავას ნათელ სურათს. მომღერალის ხმა მკაფიო გამომეტყველებით ისმის, სიმღერა მრავალფეროვანია. გაურკვეველ შთაბეჭდილებას სტოვებს **კრასნიცკაია** მეფის ქალ ვოლხოვას პარტიაში. მომღერალს აქვს ლირიული სოპრანო, მისი ხმის მუსიკალობა უეჭველია, მაგრამ მეფის ქალ ვოლხოვას პოეტურ სახის შექმნა მან ვერ შესძლო. აქ საჭიროა მეტი განწყობილება და პოეზია.

კარგად ასრულებს მომღერალ ნეჟატას პარტიას **მაყაშვილი**, მხოლოდ მესამე აქტის პირველ სიმღერას ის თამამად ვერ ასრულებს. კარგია გარეგნობა.

უცხოელი სტუმრები ყველა კარგად მღერის —**შარაშიძე, კრუშო და ვენაძე**. ყველა პარტიები ძლიერ რთულია, მაგრამ შესრულებას არ უნდა მიეცეს კონცერტული ხასიათი, ეს არღვევს მოქმედებას. ნოვგოროდელ ვაჭრების ეპიზოდიურ პარტიებში კარგია **ქურხული და იგონინი**. ზომიერათ კომიკურია **დემიანენკო** — მასხარა. კომიკურია ზღვის მეფის პარტიაში **ლუბენცოვი**.

დიდი დამსახურება აქვს სარეჟისორო ნაწილს და ორკესტრს. დადგმაში ჩანს მისწრაფება პოეზიისაკენ, ჩანს გემოვნება, მაგრამ ზოგჯერ შთაბეჭდილებას აფუჭებს პროჟექტორის ცუდათ გამოყენება. ჩანს უდიდესი მუშაობა.

ფალიაშვილი დეტალებში სწორად გადმოსცემს ოპერა-თქმულების დამახასიათებელ მუსიკას. კარგად არის შესრულებული პოეტური შესავალი (ზღვის ღელვა), ბევრი მუსიკალური ეფექტებია წყალქვეშა სამეფოს ვაკხანალიაში.

ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

სამხედრო შინაარსის სურათები

სახელმწიფო სამხედრო კინო-მრეწველობა მიმდინარე საზამთრო სეზონში გამოუშვებს მთელ რიგ ახალ სამხედრო-სასწავლო შინაარსის სურათებს. ახალ სურათებში უმთავრესად არის ფიზკულტაღზრდის და გიგიენის დაცვის შინაარსის და წითელ-არმიელების ცალკე ნაწილების ცხოვრების სურათები. გამოშვებული იქნება შემდეგი სურათები: **„ცხენოსანი ჯარი", „არტილერია", „ტანკები", „ავიაცია", „წითელი მეზღვაური", „პროჟექტორი"**. და სხვ.

ყველა სურათებს ახლო ხანში მიიღებს სახ. სამხედრო კინომრეწველობის ა.-კ. განყოფილება. სურათები ნაჩვენები იქნება წითელ-არმიელებისა და მუშათა კლუბებში.

ესტრადის მუშაკთა გამოცდა

ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში დანიშნულია საექსპერტო კომისიის სხდომა ესტრადის მომუშავეთა კვალიფიკაციის გამოსარკვევად.

სახალხო სიმღერათა საგუნდო კურსები

შინა-მრეწველ ხელოსანთა კლუბთან კლუბის წევრებისაგან დაარსდა სახალხო მომღერალთა გუნდი მიხეილ კავსაძის ხელმძღვანელობით. გუნდის მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორჯერ — ოთხშაბათობით და პარასკევობით.

◆ **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ურიის ქალი".

◆ **ბეზროდნის კონცერტი.** შაბათს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ვიოლონჩელზე დამკვრელის ბეზროდნის მეორე კონცერტი.

◆ **მუშათა თეატრის** რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „ლიუბოვ იაროვაია".

◆ **„დეკაბრისტები"**, კინო „პალასში" ამ დღეებში ნაჩვენები იქნება „სოვკინოს" ახალი სურათი „დეკაბრისტები".

ბიბლიოგრაფია

ა. ლოზოვსკი

რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია ჩინეთში

„შრომის" გამოცემა. გვ. 180. ფასი 45 კაპ.

ჩინეთის რევოლიუციამ განიცადა დროებითი მარცხი. ჯერ-ჯერობით ჩინეთში გამარჯვებულია კონტრ-რევოლიუცია. ბრძოლა სამხრეთელებსა და ჩრდილოელებს შორის კიდევ გრძელდება, გენერლებს ჯერ კიდევ გასავალი აქვთ. ჩინეთის ხალხის ბედს დღემდე ისინი ათამაშებენ სამწუხაროდ მემარჯვენე გომინდანისა და საერთოდ გომინდანის რენეგატ ბელადების მეოხებით. ამიტომ რევოლიუციის დღევანდელი პერიოდი დახასიათებულ უნდა იქნას, როგორც რეაქციის თარეში. რევოლიუციის სისხლში ჩახრჩობის პერიოდი.

ამის მიუხედავად ჩინეთისადმი ინტერესი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შენელდეს. ჩინეთის რევოლიუციამ მხოლოდ დროებითი მარცხი განიცადა. ეს დამარცხება, როგორც სთქვა ამხ. [illegible], თუმცა ძნელია ამის თქმა თუ რამდენად ხანმოკლე იქნება დამარცხების პერიოდი. წინასწარ შეუძლებელია ამის თქმა თუ როდის, სახელდობრ რამდენი წლის შემდეგ გაღვივდება რევოლიუცია ახალ კალაპოტში.

როგორც არ უნდა იყოს, უდავოა ის, რომ გენერლების თამაში ჩინეთში დიდხანს არ გაგრძელდება, უცხოეთის იმპერიალიზმს არ ძალუძს მომავალში ხანგრძლივი არსებობა, ჩინეთი უეჭველად განთავისუფლდება იმპერიალიზმის, მილიტარიზმის და ვანტინგვეების ყალბ ნაციონალიზმისა და დემოკრატიზმისაგან.

ჩინეთის უკანასკნელ ამბების დროს ყველა დარწმუნდა, რომ ძნელია ჩინეთის რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების შეფასება, გადახლართულ რევოლიუციონურ მოვლენებში სათანადოთ გარკვევა ამ უზარმაზარ ქვეყნის ეკონომიკისა, სოციალურ ძალებისა, კულტურისა და საერთოდ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ელემენტარული ცოდნის გარეშე.

ამიტომ უნდა მივესალმოთ ყოველ წიგნაკს, სადაც ცოტათ თუ ბევრად სერიოზულად იქნება გაშუქებული ჩინეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ესა თუ ის მხარე. ერთ ასეთ საინტერესო წიგნაკს წარმოადგენს ამხ. ლოზოვსკის „რევოლიუცია და კონტრრევოლიუცია ჩინეთში", რომელიც წარმოადგენს ავტორის მიერ გაკეთებულ ვრცელ მოხსენებას.

ამხ. ლოზოვსკის თქმით, როდესაც ჩვენ უდგებით საერთოდ ჩინეთის და განსაკუთრებით თანამედროვე ჩინეთის შესწავლას, თვალში გვეცემა საკვირველი მსგავსება მე-20 და მე-12 საუკუნეების ჩინეთის შორის. ეს ნიშნავს იმას, რომ გეოგრაფიულად, ტერიტორიალურად, თანამედროვე ევროპიულ-ამერიკულ ტექნიკისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა გვერდით არსებობს პატრიარქალური, საშუალო საუკუნოების სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობაც". ეს არის მთავარი ჩვენის ფიქრით, რომელიც ართულებს, და წარმოუდგენლად აძნელებს თანამედროვე ჩინეთის შეცნობას.

თანამედროვე ჩინეთის მეორე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ „ჩინეთი მხოლოდ სახელწოდებით წარმოადგენს მთლიან ქვეყანას. ნამდვილად კი ჩინეთი სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით უკანასკნელ დრომდე რაღაც ფეოდალურ დროის მდგომარეობაში იმყოფება. სინამდვილეში, ყოველი პროვინცია პოლიტიკურად, ეკონომიურად და ენითაც კი დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს".

ამხ. ლოზოვსკი ეხება რა მოკლეთ იმპერიალისტების ბატონობის ფორმებს (სეტლმენტებით, უცხოეთის საბანკო სისტემა. საბაჟოები, მისიონერები, და სხვ.) გადადის ჩინეთის რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების დახასიათებაზე. აქ ის ეხება ამ ძალების (გლეხობა, მუშათა კლასი, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, სტუდენტობა და ბურჟუაზიული ინტელიგენცია), მათ ხვედრით წონას რევოლიუციაში და უპირდაპირებს ამ ძალებს კონტრრევოლიუციას.

ავტორის აზრით კონტრრევოლიუცია ჩინეთში ეყრდნობა შემდეგ ძალებს: 1) მემამულეთა და ნახევრად ფეოდალურ მიწადმფლობელობას, 2) ძველ სოფლის ადმინისტრატიულ აპარატს, „დუენტრებსა", „კულაკებსა" და ბანდიტებს: 3) კომპრადორული ბურჟუაზიას; 4) მსხვილ, საშუალო სამრეწველო, ფინანსიურ და სავაჭრო ნაციონალურ ბურჟუაზიას; 5) ბურჟუაზიულ ინტელიგენციას და 6) სამხედრო პირებს". გვ. 38).

განსაკუთრებით ვრცლად არის დახასიათებული ამხ. ლოზოვსკის მიერ გომინდანი და მისი პოლიტიკა, გომინდანის ცალკე ფრთების, ჯგუფების და გამოჩენილ ბელადთა შეხედულებანი, მათი პლატფორმები, იდეოლოგიური „სიურპრიზები", გენერალ ბელადების გავლენა გომინდანზე, უკანასკნელი ამბები და გომინდანის ბელადების გამცემლური მოღვაწეობა.

მთელ წიგნში საინტერესო თავს წარმოადგენს სუნ-იატ-სენის მოძღვრებისა და მისი მიმდევრების დახასიათება. სუნ-იატ-სენის პიროვნება ლოზოვსკის თქმით, იმდენად პოპულარულია ჩინეთში, რომ მის გამოყენებას ცდილობენ თვით შავბნელი კონტრრევოლიუციონერები და ფაშისტური პროფკავშირები—დამოკიდებულება სუნ-იატ-სენისადმი ღებულობს დღეს ნახევრად რელიგიურ, სარწმუნოებრივ ხასიათს.

„სუნ-იატ-სენიზმში—ლაპარაკობს ავტორი ორი მხარე განირჩევა: ერთი უაღრესად რევოლიუციონური, ხოლო მეორე—წვრილ ბურჟუაზიულ-უტოპიური. სუნ-იატ-სენის მოძღვრების რევოლიუციონური მხარე მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მან წამოაყენა ჩინეთის განთავისუფლების პრობლემა იმპერიალიზმის უღლისაგან, არამედ და უმთავრესად იმაში, რომ სუნ-იატ-სენს ეს განთავისუფლება შეუძლებლად მიაჩნია იმ შემთხვევაში, თუ ამას მხარს დაუჭერს გლეხობის მასიური მოძრაობა. სუნ-იატ-სენს სწამდა მასის ძალა და ეძებდა კიდეც მასში დასაყრდენს. ამაშია უეჭველად სუნიატსენიზმის რევოლიუციონური მხარე". (გვ 86).

კარგათაა გარკვეული ავტორის მიერ სუნ-იატ-სენის სამი პრინციპი და ის, თუ როგორ ულალატეს ამ პრინციპებს სუნ-იატ-სენის ყოფილმა მიმდევრებმა და როგორ იყენებს დღეს სუნიატსენის ჩინეთის კონტრ-რევოლიუცია.

მოკლე სარეცენზიო შენიშვნაში შეუძლებელია მეტი შეჩერება ამ მეტად საინტერესო წიგნაკზე. მისი წაკითხვა აუცილებლად უნდა ურჩიოთ ყველას, ვინც დღემდე ვერ გარკვეულა სათანადოთ მეტად რთულ და სერიოზულ ჩინეთის პრობლემაში.

ნ ვ—ძე.

რკინისგზაზე

ხელფასის თავის დროზე დასარიგებლად

უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ადგილი ქონდა მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის თავის დროზე დაურიგებლობის შემთხვევებს.

ამ შემთხვევების გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ამის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოთხოვნილებათა ფურცლები თავის დროზე არ ყოფილა შედგენილი.

მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ხელფასი უნდა რიგდებოდეს თავის დროზე ყოველგვარ მიზეზების გარეშე, ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობამ წინადადება მისცა თავის სამეურნეო ერთეულებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები ხელფასის გაცემის დაგვიანების წინააღმდეგ.

სამმართველოს აპარატის რეორგანიზაციის შესახებ

საბჭოთა კავშირის მუშ. და გლ. ინსპექციის სახ. კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს ჩატარობის რკინის გზების მმართველობის სისტემის რეორგანიზაცია.

როგორც გზათა კომისარიატიდან მიღებულ ცნობიდან ჩანს, პირველ რიგში ეს რეორგანიზაცია ცდის სახით გატარებული იქნება მოსკოვ-კურსკის რკინის გზაზე. დანარჩენ გზებს მმართველობის სისტემის რეორგანიზაცია ჯერ არ შეეხება.

შრომის გმირები

ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა დაამუშავა საჭირო მასალები გზის შრომის გმირებისათვის კომუნალური შეღავათების მინიჭების შესახებ.

მასალები განსახილველად გადაგზავნილია ა.-კ. პროფსაბჭოში, რომელიც განხილვის შემდეგ გადაუგზავნის მათ ამიერ-კავკასიის ცაკს სათანადო დადგენილების გამოსაცემად.

რკინის გზელების ჩასახლება ახალ ბინებში

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობის მიერ ბაქოში აშენებულ ორ სახლში და ბაქოს საბჭოს მიერ არმენიკენდში (ბაქოს ერთ-ერთი უბანი) რკინის გზისათვის აშენებულ ერთ სახლში, ჩასახლებული იქნა ვაგონებში მცხოვრები რკინის გზელები.

ამგვარად განთავისუფლდება 50-მდე ვაგონი, რომლებიც დაკავებულია ეხლა ბინების ქვეშ.

ღვინის მოსავალი

ქვემო იმერეთში

სექტემბრის დამლევს ქვემო-იმერეთის მევენახეობის რაიონებში დაიწყო რთველი; რომელიც გაგრძელდება ოქტომბრის დამლევამდე. ბაღდათის, ობჩის, დიმის რაიონებში, სადაც უკვე მოიკრიფა ვენახების დიდი ნაწილი, ყურძნის მოსავალი ძალიან ცუდია, საშუალო ერთი ქცევა ვენახი ამ რაიონებში იძლევა 40—50 ფუთს ყურძენს, მაშინ, როცა შარშან თვითეული ქცევა საშუალოდ 150 ფუთის, ანუ წრევანდელთან შედარებით 60—70 პროც. მეტს იძლეოდა. ყურძენი თავის ღირსებითაც ძალიან ნაკლებია შარშანდელზე. ქუთაისის ბაზარზე ფუთი ყურძენის ფასი 4 მანეთამდე აღწევს.

ჭადრაკი

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს—აირესი, 19 ოქტომბერი. კაპაბლანკა—ალიოხინის შეჯიბრის მე-17 პარტია უშედეგოთ დამთავრდა. მცოდნე პირთა აზრით კაპაბლანკას ცოტაოდენი უპირატესობა ჰქონდა მე-43 სვლაზე, როდესაც პარტია გადადებული იქნა. (ასდ)

მოჭადრაკეთა საკავშირო ტურნირი

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. მეთვრამეტე ტურში რომანოვსკიმ მოუგო ფრეიმანს, გრიგორიევმა—პერფილევს, ვილნერმა—ხოლოდკევიჩს, ბოტვინიკმა—რაუზერს, სმოროდსკიმ—მოდელს. უშედეგოთ დამთავრდა როხლინ-რაბინოვიჩის და მაკაგონოვ-სერგეევის პარტიები. ამ ტურის შემდეგ მაკაგონოვს ეძლევა მასტერის წოდება, ვინაიდან მან უკვე მოიგო პარტიების 50 პროცენტი. მასტერის წოდება მიიღო აგრეთვე მოდელმა. დუზ-ხოტიმირსკი—პავლოვ-პიანოვის, ნენაროკოვ—ილინ-ჟენევსკის და ბოგატირჩუკ-სმოროდსკის პარტიები გადადებულია. (ასდ)

მაესტროების ტურნირი

ლონდონი, 19 ოქტომბერი. ლონდონში სწარმოებს მოჭადრაკე მაესტროების ტურნირი. მეშვიდე ტურის შემდეგ პირველი ადგილი ეკავა **ტარტაკოვერს**, მეორე—**მარშალს** და **ნიმცოვიჩს**, მესამე—**რეტის** და **ვიდმარს**, მეოთხე—**ბოგოლიუბოვს, კოლლეს** და **ვინტერს**. მერვე ტურში ვინტერმა მოუგო **ნიმცოვიჩს, ბიურგერს**. **ფერხერსტს, ტარტაკოვერს** და **ეიტს**. ვიდმარ-ტომასის და რეტი-მარშალის პარტიები უშედეგოთ დამთავრდა. კოლლე-ბოგოლიუბოვის პარტია გადადებულია. (ასდ)

მეცნიერება და ტეხნიკა

ცოცხალი ორგანიზმები ცხელ წყაროებში

ამერიკელმა სწავლულმა ბიოლოგმა პროფ. **ბრიუსმა** ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოიკვლია ცხელი კირიანი წყაროები, რომლებიც მრავლათ მოიპოვებიან ამერიკაში.

გამოირკვა, რომ ცხელ წყალში მოიპოვება ცოცხალ ორგანიზმების მეტად მრავალრიცხოვანი ჯიშები. ასი გრადუსის პირობებში (ფარენგეიტით) პროფ. ბრიუსმა იპოვა ერთი ბუზის ჩანასახები. 96 გრადუსის პირობებში ნაპოვნი იქნა რამდენიმე სახის წყლის ხოჭო უმაღლესი ტემპერატურა, რომლის პირობებში ნახული იქნა ცოცხალი ორგანიზმები, აღმოჩნდა 124 გრადუსი. ასეთი ტემპერატურის მქონე ცხელკირიან წყლებში იპოვეს ერთი სახის წყლის ჭიები.

ორასი გრადუსი ტემპერატურის მქონე წყალში ვერ იპოვეს ვერც ცხოველთა და ვერც მცენარეთა სიცოცხლის ვერავითარი კვალი.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა მაღალი ტემპერატურისა ამგვარ წყაროებში სიცოცხლეს აბრკოლებს აგრეთვე წყალში გამდნარ კირ-მარილის დიდი რაოდენობა.

ადამიანის ხასიათი

ჩიკაგოს (შეერთ. შტატებშია) უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორმა ჩარლზ ჟედდმა გამოაქვეყნა გამოკვლევა ადამიანის ხასიათის შემუშავების შესახებ.

ჟედდი, გავრცელებულ შეხედულების წინააღმდეგ, ამტკიცებს, რომ ადამიანის ხასიათი არ არის უცვლელი მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში, აღზრდისა და გაწვრთნის საშუალებით შეიძლება „გადაკეთებულ" იქნეს მოწიფებული ვაჟკაციც. ხასიათის შემუშავებაში, ჟედდის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლის ჰაერი. ასეთი რთული „ზედნაშენები", როგორიც არის სოციალური ჩვეულებები და ის, რასაც ადამიანის „სულიერი მე" ეწოდება, იქმნება მთელ რიგ წლების განმავლობაში ურთულესი გამოცდილების ზეგავლენით.

პროფ. **ჟედდის** შეხედულებები საინტერესოა, როგორც იმის მაჩვენებელი, რომ ბურჟუაზიული მეცნიერებიც კი ადგებიან წლობით შეთვისებულ ხასიათის უცვლელობის უარყოფის გზას და იწყებენ ადამიანის ხასიათის შემუშავებაში გარემო პირობების როლის აღიარებას.

ნარევი

მილიონერი მაწანწალა.

სან-დიეგოში (კალიფორნია, შეერთებულ შტატებში) პოლიციამ დააპატიმრა ვიღაც ძონძებში გამოწყობილი მამაკაცი, რომელსაც პარკში სკამზე დასძინებოდა. რადგან მას თან არ აღმოაჩნდა არავითარი მოწმობა, პოლიციელებმა მაწანწალა წაიყვანეს მორიგ მოსამართლესთან. მაწანწალამ მოსამართლეს განუცხადა, რომ ის არის ედუარდ ბროუნი 60 ფაბრიკის, 30 სახლის და 30 მილიონი დოლარის პატრონი და რომ „მაწანწალა ცხოვრებას ატარებს ძლიერ განცდების მიღების მიზნით". მოსამართლემ ეს ჩვენება გამოგონებულად აღიარა და ბროუნს გადაუწყვიტა ათი დღით დაპატიმრება. მეორე დღეს სასამართლოში გამოცხადდა ბროუნის მოურავი, რომელმაც დაადასტურა მილიონერ-მაწანწალას ჩვენება. მაგრამ მოსამართლემ მაინც დატოვა ციხეში მილიონერი (ალბათ უკანასკნელს აზრათ არ მოუვიდა მოსამართლისათვის ქრთამის მიცემა).

მოლაპარაკე საათი

ჩიკაგოს (ამერიკა) საათების ერთ-ერთმა ფირმამ გასაყიდათ გამოუშვა „მოლაპარაკე" საათები, რომლებიც წარმოადგენენ საათის მექანიზმის შეერთებას გრამოფონთან. ამ საათებში ყოველი საათის შესრულება აღინიშნება არა დაკვრით, არამედ ადამიანის ხმით. ყოველ საათში ციფერბლატზე მიმაგრებულ მილიდან ისმის: „შესრულდა ამ და ამ თვის, ამ და ამ რიცხვის ესა და ეს საათი". საათი აღნიშნავს აგრეთვე ყოველ 15 და 30 წუთს. ამრიგად ეს საათები, რომლებიც ამჟამად შემოღებულია ამერიკის ბევრ დაწესებულებებში, ასრულებენ კალენდარის როლსაც.

რობესპიერის ხელთნაწერების პოვნა.

პროფ. მ. ნ. კუფაევმა, რომელიც საკავშირო სამეცნიერო აკადემიამ გაგზავნა შორეულ აღმოსავლეთის წიგნთსაცავების გასაცნობათ, ტომსკის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში იპოვა ძვირფასი მასალები საფრანგეთის რევოლიუციის შესახებ: ჟურნ. „მონიტორ"-ის კომპლექტი, საფრანგეთის რევოლიუციის ბელადების—რობესპიერის, ფიონის, დარგეს და სხ. ხელთნაწერეთი და წერილები, ბაბეფის მანიფესტები, ვოლტერის იშვიათი წიგნები და სხ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსა

აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთისათვის ბაქო-ბათუმის ნავთსადენის მოსაწყობად საჭირო მიწების მიჩენის შესახებ

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მეხუთე მუხლისა და 119 მუხლის „გ" პუნქტის საფუძველზე და ა. კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლ. ოქტომბრის 6-ს დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიეჩინოს აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთს საქართველოს სსრ-სა და მასში შემავალ აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის ტერიტორიის ფარგლებში სახელმწიფო სადგილ-მამულო ქონებიდან. საქალაქო მიწებიდან, შრომითი სარგებლობის მიწებიდან, აგრეთვე დაწესებულებებისა, საზოგადოებებისა, ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის მიჩენილი მიწებიდან, დამტკიცებული პროექტის მიხედვით საჭირო:

ა) მიწის ზოლი სიგანით სამ მეტრამდე ბაქო-ბათუმის ნავთსადენის მოსაწყობად და

ბ) მიწის ნაკვეთები სივრცით ექვსიდან ათ ჰექტრამდე თითო-ნავთსადენის გადამტუმბავი სადგურების ასაგებად.

2. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული ღონისძიებების სისრულეში მოყვანა დაეკისროს საქართვ. სსრ ტერიტორიაზე ქალაქგარეშე მიწებისათვის—საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ხოლო საქალაქო მიწებისათვის—სათანადო ქალაქის საბჭოს.

მიენდოს აჭარისტანის ავტონომიურ სსრ სახალხო კომისართა საბჭოს აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება აჭარისტანის ავტონომიური სსრ ტერიტორიაზე დააკისროს სათანადო ორგანოებს.

3. მიწების მიჩენა და ჩამორთმევა ზემოაღნიშნული სახელმწიფო საჭიროებისათვის მოხდება საქართველოს სსრ მიწის კოდექსით გათვალისწინებული მიწათმოწყობის საერთო წესისამებრ, ამა კოდექსის 129 მუხლის შენიშვნაში აღნიშნული წესების აუცილებელი შეფარდებით.

შენიშვნა. ყველა, სამიწათმოწყობო მოქმედებისათვის საჭირო ხარჯს გაიღებს აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთი.

—4. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული მისაჩენი მიწის ნაკვეთების მოსარგებლეთ უნდა აუნაზღაუროს აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთის ხარჯზე ყველა ის ხარჯი რაც მათ გაუწევიათ ამ მიწის ნაკვეთებზე და მათზე დადგმულ შენობასა და ნაგებობაზე მიწის მოსარგებლეთა ზარალის საზღაურის რაოდენობა განისაზღვრება მათი და აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთის გამგეობის შეთანხმებით. უკეთუ შეთანხმება არ მოხდა, საზღაურის რაოდენობა განისაზღვრება სამიწათმოწყობო დავათა გადამწყვეტის საერთო წესით (საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-111 ნაწილი, კარი მე-4).

5. უფლება მიეცეს აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთს ფაქტიურად დაიჭიროს მისაჩენი მიწის ნაკვეთები საჭირო სამიწათმოწყობო მოქმედებათა შესრულებისა და მიწის მოსარგებლეთათვის საზღაურის გადახდისთანავე დაუყოვნებლივ (მუხ. მე-4).

შენიშვნა 1. მისაჩენი მიწის ნაკვეთების ფაქტიურად დაჭერის წესი და ვადა განისაზღვრება აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და სათანადო ქალაქის საბჭოსთან (კუთვნილებისამებრ) შეთანხმებით, ხოლო, უკეთუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული—სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

შენიშვნა 2. უკეთუ მიწის მოსარგებლეებთან შეთანხმება ვერ მოხდა ზარალის საზღაურის რაოდენობის შესახებ, მიწათმომწყობი ორგანოს მიერ განსაზღვრული საზღაურის თანხას აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთი, დავის გადაწყვეტამდე, შეიტანს სათანადო სადგილმამულო ორგანოს დეპოზიტში.

6. უფლება მიეცეს აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთს უსასყიდლოდ გაიყვანოს ნავთსადენი რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების ფარგალში. იმ ტრასსებით, რაზედაც იგი შეეთანხმება საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ან სათანადო სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს—კუთვნილებისამებრ.

7. უფლება მიეცეს აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთს გამოიყენოს, წყალთა შესახებ მომქმედ კანონმდებლობის საფუძველზე ნავთსადენის გადამტუმბავი სადგურების საჭიროებისათვის წყალი მდ. მტკვარიდან, სურამულადან, ნატანებიდან და ტანიდან, ყარაიას სარწყავი სისტემის არხებიდან და რუებიდან და საჯავახოს რკინის გზის სადგურის ახლო მდინარე წყლებიდან. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით აღნიშნული წყლების სარგებლობის წესის შესახებ.

8. დაევალოს აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთს გაიყვანოს თავის ხარჯზე ისეთი ტრასსებით, რაზედაც იგი გზათა სათანადო ორგანოებს შეეთანხმება. საერთო სარგებლობის გზები ნაცვლად იმ გზებისა, რაც ამა დადგენილების ძალით მისაჩენ მიწის ნაკვეთებზე გადის.

ვიდრე აღნიშნული გზები გაიყვანებოდეს დაევალოს აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სახელმწიფო შენაერთს დასტოვოს თავისუფალ სავლელად და სარონინოდ ყველა საერთო სარგებლობის გზა, რაც ამჟამად მისაჩენი მიწის ნაკვეთებზე გადის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდ. აღმასრ. **ს. სტეფანოვი.**

1927 წ. ოქტომბრის 17.
თბილისი-სასახლე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

დიმიტრი პატარიძეს

პასუხი

თანახმად წყლის ტარიფის 111-ისა, წყლის შეღავათი ეძლევათ მხოლოდ კავშირის წევრებს, ბინის ქირის რაოდენობა კი განისაზღვრება საბინაო ტარიფის მუხ. 4-ით მუშა-მოსამსახურეთათვის მხოლოდ დაქირავებული შრომის საფუძვლებზე, მიუხედავად იმისა, ბინის ქირის გადამხდელი არის თუ არა კავშირის წევრი.

ამხ. ა. მჟავიას

თქვენ გვწერთ, რომ თქვენთან დროებით „შემოიხიზნა" უბინობის გამო ვინმე გვაზავა თავის ცოლშვილითურთ. ბინის დამქირავებლათ ითვლებით თქვენ და როგორც ასეთი, იხდით ბინის ქირას. გვაზავას არ სურს გადავიდეს სხვა ბინაზე და თქვენ, ფილტვებით ავადმყოფ ადამიანს, ყოველმხრივ გავიწროებს იგი. ამის გამო თქვენ გვთხოვთ რჩევა-დარიგებას, თუ როგორ უნდა მოიქცეთ ან და ვის უნდა მიმართოთ, რომ მოიშოროთ თავიდან ეს „უმადური" მოქალაქე.

გიპასუხებთ

მიმართეთ სათანადო განცხადებით საბინაო საქმეთა პროკურორს; იგი ვალდებულია, თქვენი სურვილის [illegible] ბინიდან მოკალათებული მოქალაქე გამოასახლოს ადმინისტრაციული წესით.

თამარა გვენცაძეს

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ გყავთ ოთხი გათხოვილი და, რომელთაც თავის დროზე მიეცათ მზითევი და წილი; გყავთ აგრეთვე ორი ძმა—ცოლიანი და ერთიც უცოლო. ა. წ. იანვარში თქვენც გათხოვდით და მამის ოჯახიდან არაფერი მიგიღიათ „ამჟამად თქვენი ძმები აპირებენ საერთო მიწ. და ქონების გაყოფას. თქვენ გსურთ აღნიშნული ქონებიდან მიიღოთ „თქვენი წილი" და ამის გამო ჩვენ გვეკითხებით, გეკუთვნით თუ არა მამის ქონებიდან „სრული წილი".

გიპასუხებთ

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 40-ის და მასთან დართულ შენიშვნისა, თქვენ თქვენს წილს მიიღებთ მხოლოდ თქვენ ახალ ოჯახში (ქმრის ოჯახში) და არა თქვენ მამის ქონებიდან, რომელზედაც თქვენ დაჰკარგეთ უფლებები თქვენი დაქორწინებით საერთო (მამა-პაპურ) ოჯახიდან გასვლით რის გამო თქვენ გახდით ახალი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი".

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი ქალაქის რაიონებში და მაზრებში ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის შესახებ მოხსენებების ჩასატარებლად იწვევს და გზავნის (დაწესებულება-წარმოებებში და სკოლებში) შემდეგ ამხანაგებს:

პირველ რაიონში: ვოსკანოვს, გეგენავას, დოლიძეს, ივანოვს, იმედაძეს, მ. კახიანს, კვიცარიძეს, ქართველიშვილს, შ. ლეჟავას, მაჰავარიანს, ფ. მახარაძეს, პაპავას, რუბენს, საბაშვილს, სუტირინს, თოდრიას, ჩხენკელს;

მეორე რაიონში: ასრიბეკოვს, ალაგარდიანს, არუთინოვს, ვაცეკს, გენკინს, გრიგორიანს, ს. ჯუღელს, ლისოვსკის, ნ. მახარაძეს, მაშკევიჩს, მეგრელიძეს, პიჩიკიანს, სვანიძეს, სოსიანს, ხურხატიანს, ხრისტოლიუბოვს, ჩაჩაპურიძეს, შავერდოვას, პ. საყვარელიძეს („მუშა"), ტატულოვს, ხაცკევიჩს, ცხაკაიას.

მესამე რაიონში: ვარ. ავაკოვს, ბაბაჯანოვს, ბაგიროვს, ბუკრეევს, ა. ვართანიანს, მ. ჰუსეინოვს, გეგეჭკორს, ჯავახაძეს, ყურულაშვილს, კარაკაშს, ლუკაშინს, მინასიანს, პოლოსოვს, ფანცხავას, ვ. სტურუას, შირვანსკის;

მეოთხე რაიონში: ათაბეკოვს, ბუდილევს, ბოლოტნიკოვს, ვარძიელს, ს. ვარდანიანს, ლ. ღოღობერიძეს, გობეჩიას, კაწარავას, კარკლინს, კასატკინს, კასიანს, კანდელაკს, ლევანდოვსკის, მათიკაშვილს, მგალობლიშვილს, მიქაძეს, მამულიას, ორაგველიძეს, პავერმანს, პიასეცკის, რახმანს, ლ. რუხაძეს, სნეგირევს, ვალაღიძეს, ა. თუმანიანს, ხუციშვილს, შეფტელს, ფესიუკს: მთვარელიძეს, ნემერზელის;

მაზრებში: ალი-ტაგი-ზადეს, მაქსიმოვს, ვაწაძეს, ბეჟანოვს, ნ. ლეჟავას, ვაშაკიძეს, ალიმირზა ნარიმანოვს, კორძახიას.

მოხსენებების ძირითად თემად თბილისის კომიტეტი ნიშნავს:

1. ოქტომბრის ათი წლის თავის ჯამი,
2. ხელისუფლებისათვის ბრძოლა (თებერვლიდან ოქტომბრამდე).

საინსტრუქციო მოხსენების დღე გამოცხადებული იქნება ცალკე.

საქ. ახ. ლ. კ. კ. მეოთხე რაიკომთან არსებული ახალგაზრდა მარქსისტთა შორის მომუშავე ბიურო, ამით აცხადებს თავიანთ აღრიცხულ ამხანაგების საყურადღებოდ, რომ 15 ოქტომბრიდან დაიწყო ხელახალი აღრიცხვა უკვე აღრიცხულ ამხანაგების: ბიურო სთხოვს ყველა ამხანაგებს, რათა დაუყოვნებლივ გამოცხადდენ აღსარიცხავად.

საქარ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ თავდაცვა-ავიაქიმიის ხელისშემწყობი საზოგადოების მეოთხე რაიონის ბატალიონის მეცადინეობა შესდგება დღეს, 21 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე.

— ოქტომბრის ათი წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად კლუბებში, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი იწვევს და გზავნის საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შემდეგ ამხანაგებს:

ალი-ტაგი-ზადე (მესამე რაიკომი), ზავენ ადამიანი (ამ.-კ. სახკომსაბჭო), გ. ალექსანიანი (სახ. ბანკი), ლ. ბეჟანოვი (მესამე რაიკომი), ბერეზინი (ამ.-კ. კომუნივერს.), ბოლოტნიკოვი (ამ.-კ. კომუნივერსიტეტი), ვინტინი (თბილისის კომიტეტი), ვაწაძე (თბილისის კომიტეტი), ა. ვანციანი (ამ-კ. სახ. ვაჭრ. კომის.), ვეინერი (ამ.-კავკ. კომუნივერს.), ვინტინა (თბილისის კომიტეტი), გულოიანი (ამ.-კ. კომუნივერს.), გეგენავა (ცენტრ. პარტსკოლა), ჟარკოვი (თბილისის კომიტეტი), ს. ზურაბოვი (ამ-კ. კომუნივერს.), ლერმონტოვი (ამ.-კ. კომუნივერს.), ლიტვიშკოვი (თბილისის კომიტეტი), მაქსიმოვი (თბილისის კომიტეტი), მთვარელიძე (ცენტრ. პარტსკოლა), რ. მელაძე (ამ.-კ. კომუნივ.), მაისურაძე (ამ.-კ. კომუნივერს.), ალი-მურზა ნარიმანოვი (მესამე რაიკომი), აბულაძე (მეოთხე რაიკომი), ი. პოლოსოვი, პოლიაკოვი (თბილისის კომიტეტი), როჟკოვი (თბილისის კომიტეტი), სმელოვი (თბილისის კომიტეტი), ტკაჩევი (თბილისის კომ.). ხანდკაროვი (თბილისის კომიტეტი), ხუციშვილი (ცენტრ. პარტსკოლა), ჩაჩაპურიძე (ცენტრ. პარტსკოლა), ჭუმბურიძე (მეოთხე რაიკომი, შტიკოვი (ამ.-კ. კომუნივერს.), თარხანოვი (მეოთხე რაიკომი), ტარასოვი (თბილ. კომიტეტი).

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილ. კომიტ. საკონფლიქტო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 21 ოქტომბერს, საქ. ახ. ლკკ. თბილისის კომიტეტში (რუსთაველის პროსპ. № 20) ამხ. ჩანკვეტაძესთან, დილის 9 საათიდან — ნაშუადღევის 3 საათამდე:

ვერულავა (ქალაქის აღმასკომი), ბ. მახარაძე (ქალაქის აღმასკომი), ალექსანდრე მაქსიმეს ძე ცინცაძე (სახ. უნივერსიტეტი), ვიქტორ მახარაძე (სახ. უნივერსიტეტი), სოჩინო გეჯალავა (სახ. უნივერსიტეტი), ვასილ აფაქიძე (სახ. ელ. ტრ.).

— **საქ. ახ. ლ. კ. კ. ტ. კ. კურსებთან არსებულ კომკავშირის უჯრედების ბიურო კოლექტივი** ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 26 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე უნივერსიტეტის შენობაში მოწვეულია უჯრედების გაერთიანებული დახურული კრება. ახ. კომკავშირის წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

— **სახ. უნივერსიტეტთან არსებულ ახ. ლ. კ. კ. უჯრედთა ბიურო კოლექტივი** სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს შემოიარონ ბიურო-კოლექტივის ოთახში ამხ. ბოჭორიშვილთან, დღეს 21 ოქტომბერს, დილის 12 საათზე: გ. ტოროშელიძეს, ევ. ენუქიძეს, გრ. საგინაძეს, ვ. ბახტაძეს, ან. მდივანს, ი. ფანცხავას.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ტერეზია, შვილები: ალექსანდრა, ისაია, კოწია, სერგო, ანგილინა, კალისა, ქეთუნა, რძლები: ნინა და ვერა, შვილის-შვილი თინიკო რაზმაძეები და სიძე გერმანე ხურციძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ა.-წ. 20 ოქტომბერს, მცირე ხნის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ნიკო (ნიკოლოზ) ზურაბის ძე რაზმაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება საშაბათს, 25 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, სოფ. უხუთში, (ქუთაისის მაზრა). (ი)

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: დედა ფადიმე და სარა ღლონტისა, ძმები: აპოლონ, ვლადიმერ და სევერიანე ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, ძვირფასი

აკაკი პავლეს-ძე ურუშაძის

უდროოთ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 22 ოქტომბერს, 1 საათზე, ქ. ლანჩხუთში. 203

აპოლლო
არტისტო
სოლეი
დარბაზი

მონოპოლიურად მხოლოდ ჩვენს ეკრანზე მხატვ. სურათი
„გ ა მ ც ე მ ი"
დადგმა ა. როომის.
ბავშვები 15 წლამდი არ დაიშვებიან

„ВУФКУ"-ს დიდი მხატვრული ნაწარმოები
„ა ლ ი მ"
ყირიმელი მოჯირითე
პარტერში ადგილები დანომრილია

უკანასკნელად თბილისში სეზონის ერთ-ერთი
საუკეთესო სურათი
„ქ ა რ ი"
მთავარ როლებში **პოდლესნაია** და **სალტიკოვი**

ო—17 ნ. 1388

ანონსი: მალე სომხ. სახკინმრეწვის მორიგი საუკეთესო სურათი „ავი სული"

გაზ. **„კომუნისტი"**

ხელის მოწერას გაზ. „კომუნისტზე"

ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში აწარმოებენ მხოლოდ „კომუნისტი"-ს კონტრ-აგენტები

თბილისი
ქუთაისი
ზუგდიდი
ოზურგეთი
ახალ-სენაკი
სამტრედია
ჭიათურა
ზესტაფონი

შორაპანი
ბორჯომი
ხაშური
თელავი
ხონი
სიღნაღი
აბაშა
ბაღდადი

გორი
ლანჩხუთი
სურამი
გურჯაანი
წალვერი
აბასთუმანი
მანგლისი
კოჯორი
ტყიბული

ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები ხელის მოწერას მიიღებენ მხოლოდ თავიანთი დაწესებულებების შიგნით და აუცილებლად ნაღდ ფულზე.

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორის გამგე **ა. ხირაძე.**

ფ. ტ. სახალხო კომისარიატის რწმუნებული ა.-კავკასიაში **ევ. ქვანტალიანი**

ო—2

სრულიად საქართველოს

სახელმწიფო დაზღვევის ანგარანი

ამით აცხადებს საქართველოს აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკების მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ შრომის და თავდაცვის საბჭოს ა. წ. 2 სექტემბრის დადგენილების თანახმად, რომელიც გამოცხადებულია ა. წ. 8 და 9 სექტემბერს №№ 205 და 206 გაზ. „იზვესტიაში"—ყველა კერძო მფლობელთა შენობები ქალაქებში (აფხაზეთში სოფლებშიდაც) მსხვილ-ფეხა რქიან საქონელი, ცხენები, ჯორები, ვირები, აქლემები და აგრეთვე ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურა (გარდა ახალ-სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის მაზრების და აჭარისტანისა) **ექვემდებარებიან და იზღვევიან საგანაკვეთო სავალდებულო დაზღვევის წესით.**

ზემოხსენებული დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი ორგანოების მიერ ჩატარებულია შენობების, სას.-სამ. საქონლის და კულტურის აღრიცხვა და 1-ლ ოქტომბრიდან შეუდგენ დაზღვევის გადასახადების აკრეფას სპეციალურათ ამისათვის დანიშნულ რწმუნებულების საშვალებით (ფულის ამკრეფელები) რომლებსაც მიცემული აქვთ შესაფერი მანდატები. ფულის მიღება სწარმოებს აგრეთვე ადგილობრივ ანგარანებში და სააგენტოებში შესაფერ ბეჭედ დასმულ ქვითარების გაცემით.

ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახადის შემოტანის ვადათ დანიშნულია 1927 წ. 31 დეკემბერი, რომლის შემდეგ გადაუხდელი პრემია გადადის ნარჩენათ და გადახდებათ უდავო ადმინისტრატიული წესით, 20 პროც. საურავის დარიცხვით, ყოველ გადაცილებულ დღეში.

კავშირის წევრებს, უმუშევართ, პენსიონერთ, წითელარმიელთ, ინვალიდებს და აგრეთვე სოციალურ უზრუნველყოფაზე აყვანილ პირთ ეძლევა 20 პროც. შეღავათი მათზე დარიცხული პრემიიდან, თუ წარმოადგენენ საწევრო წიგნაკებს და მოწმობებს. ნ. 87

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 25 ოქტომბერს 1927 წ. დღის 4 ს. სიმონოვის სამოსახლოში ვაკეს ზევით **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. არხიპო ტიმოფეევის მოძრავ ქონებას: ორ ძროხას (საუკეთესო ჯიშისა) შეფასებულს 111 მანეთად, 88 კაპ. მოქ. ბიჩენკოს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად მანგლისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 14 ოქტ. 1927 წ. თარიღით, № 859 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 88

საქართ. საბჭ. და სავაჭ. მუშაკ. პროფკავშირის

საანგარიშო მეცნიერებათა

კ უ რ ს ე ბ ი

ჩაწერა და ცნობების მიღება საღამოს 5—8 საათამდე დიდი ვანქის ქუჩა № 12 შრომის სკოლის შენობაში № 101

4 1—176 კურსების გამგე ა. ინწკირველი

თბილისის საბირჟო კომიტეტი და კერძო ვაჭრობა-მრეწველობის სექციის პრეზიდიუმი სთხოვს თბილისის ყველა სავაჭრო-სამრეწველო წამოწყებათა

კერძო მეპატრონეებს დაესწრონ

ინდუსტრიალიზაციის სესხის

შესახებ მოწვეულ

საერთო კრებას,

რომელიც შესდგება ა. წ. 23 ოქტომბერს დილის 11 საათზე თბილისის საქონლის ბირჟის შენობაში (მაჩაბლის ქ. № 2). ნ. 91

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი

გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 26 ოქტომბერს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 25 კობის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ევგენი ლომაძის უძრავ ქონებას: სამ სართულიან თუნუქით დახურულ სახლს, რომელიც შესდგება 12 ოთახისაგან, საჭირო ბინებით, კანალიზაციით და სხვ. შეფასებულს 5000 მანეთად, თბილ. საურთიერთო ნდობის საზოგადოების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახ. სასამართლოსაგან 28 თებ. 2 მარტ. 1927 წ. თარიღით, № 1170—1185 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა ჩატარდება ს.ს.ს. კოდექსის 311—312 მუხლების დაცვით და დაიწყება შემოძლეულ ფასიდან. ნ. 89

სათვალეების მორგება

უფასოდ



ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე

როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიპნოზი.

კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ 25—7

ექიმი **ჯალალოვი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 13 | 25.

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**

დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ.

მ ი ღ ე ბ ა

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონით და სინათლით მკურნალობა

ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ.

ტელ. 4—82 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 5—21

ექიმი **კ. ს. ფონ-ირტელი**

საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი

(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი. ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

ხელოვნურ კბილების

მომზადება და ჩასმა (კაუჩუკზე და ოქროზე) შეღავათიან ფასებში სწარმოებს სტომატოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე—პლეხანოვის გამზირი № 126 ავადმყოფობის მიღება სწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 4—6 საათამდე. 25—1

მედიც. დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული და სიფილისი.

დილ. 9—12, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 7, კ. მარქსის ძეგლთან, შესავალი ამ სახლის კუთხიდან. 5—2

ექიმი **მეგრაბიანცი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი

(ძიების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 25—1

თმის მკურნალობა

და

სამკურნალო კოსმეტიკა

ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.

ი. გ. კანტოროვიჩი

მიღება 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე. **კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.**

საბა-სულხანის ქ. (ყოფ. ფრეილინის). 1—25

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 1770, სამხედრო აღრიცხვის ბარათი დიმიტრი ტატუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. 201

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 727 ივანე ნესტორისძე ზვიადაძეს სახელზე, ჩ. გ. 200

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 4233 კოსტა ბესტაევის სახელზე, ჩ. გ. 205

დავკარგე საბჭ. და სავაჭ. მუშ. კავშ. საწ. წიგნაკი № 5550 რუბენ პეტრესძე ვარშამოვის სახელზე, ჩ. გ. 204

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68